რედაქტორისგან

„განათლებაში, რაც მარტივი შესაფასებელია არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია შესაფასებლადაც რთულია“ , წერს ადამ გარმორანი და უნებლიედ იწყებ ფიქრს: როგორ უნდა გამოვიყენოთ სასკოლო გარემო მოსწავლეებში სწორი ღირებულებების დასამკვიდრებლად?

სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა სოციალიზაციის უწყვეტი პროცესია. სკოლა ნორმებსა და ქცევის წესებს აწესებს, რაც მოსწავლეებს, მომავალში, საკუთარი როლის განსაზღვრაში ეხმარება.

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ და ვწერთ იმაზე, რომ მოსწავლეების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, მოლოდინები, მოტივაცია ყველგან და ყველაფერში უნდა იყოს გათვალისწინებული.

მასწავლებელი სრულად ვერ გამორიცხავს კლასში არასასურველი სოციალური თუ ეთიკური ნორმების დანერგვას, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ხელი შეუწყოთ მოსწავლეების სწორი სოციალური და აკადემიური უნარების განვითარებას. ჩვენ ხომ აზროვნების ჩამოყალიბებას ხელს მხოლოდ მაშინ ვუწყობთ, როდესაც მოსწავლეებს ექსპერიმენტებისაკენ, სიახლეებისაკენ ვუბიძგებთ.

თუკი მოზარდებს შეკითხვების დასმისკენ „წავაქეზებთ“ და ამ გზით ცოდნის შეძენაში დავეხმარებით და არა ფაქტების მექანიკურად დამახსოვრებაში.

როგორც ჩანს, სკოლებს და განსაკუთრებით, მასწავლებლებს უფრო რთული მისია აკისრიათ, ვიდრე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აკადემიური მიზნების მიღწევაა. ასე რომ, აუცილებელია, თავიდან ბოლომდე გავაცნობიეროთ ფარული რისკები და შევეცადოთ ნეგატიური სოციალური ღირებულებები დადებით უნარებად გარდავქმნათ და დავამკვიდროთ სკოლასა და მოსწავლეებში.

რამდენიმე დღის წინ სტუდენტმა, ლექციაზე, შენიშვნა მომცა. მითხრა, რომ ფრაზით, რომელიც საუბარში გამოვიყენე, სტერეოტიპების დამკვიდრებას უწყობდა ხელს. ის მართალი იყო. მე შევეცდები სხვა დროს უფრო მეტად გავიაზრო ყველა საფრთხე, რაც შეიძლება სიტყვებს ახლდეს. თქვენც გირჩევთ. ერთად ვცადოთ .

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N5(42), 2015

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ბ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** მანანა ბოჭორიშვილი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, ირინა აბულაძე, გიორგი გახელაძე, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, თამარ მოსიაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ცვატა ბერძენიშვილი, ნინო ლომიძე, დავით ბოლქვაძე, ლევან ალფაიძე, ირინა სამსონია, ანა ჯანელიძე, თამთა კობახიძე, ანი კოპალიანი, თამთა დოლიძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

ანა ჯანელიძე

4 | **რა არის სასკოლო მზაობის პროგრამა**

სასკოლო მზაობის პროგრამის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს შესაბამისობა, რაც გულისხმობს პროგრამის ყველა ასპექტის მორგებას თითოეული ბავშვის თავისებურებებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე.

მანანა ბოჭორიშვილი

11 | **პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსია**

აქტუალურია, როგორ იყენებს მასწავლებელი პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობების გზით მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას ანუ რა შეიცვალა მან თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში.

მაია ფირჩხაძე

18 | **თანამშრომლობითი სწავლა – მიზნების მიღწევის ეფექტური საშუალება**

თანამშრომლობითი სწავლა და ჯგუფური მუშაობა ნებისმიერი დისციპლინის შესწავლისას მნიშვნელოვანია. მასწავლებელს შეუძლია სწავლის ეს მეთოდი სხვადასხვგარი ფორმით და განსხვავებულ სიტუაციებში გამოიყენოს.

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

14 | **მოსწავლის არჩევანი**

კარგი მასწავლებელი არასოდეს კმაყოფილდება უკვე გამოცდილი პრაქტიკით და მუდმივ ძიებაშია, რათა მიაკვლიოს ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც მას საგაკვეთილო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში გამოადგება.

ნინო ლომიძე

34 | **თავისუფალი წერის ტექნიკა**

თავისუფალი წერა საკუთარი თავის რწმენასაც მატებს მოსწავლეს. მოკლე დროში, მარტივად და ძალდატანების გარეშე შესრულებული წერითი სამუშაო, რომელიც არც დაბალი შეფასების რისკს შეიცავს და არც წითელი კალმით არ აჭრელდება, სასარგებლოს და სასიამოვნოს იშვიათ ტანდემსაც ქმნის.

თამთა კობახიძე

47 | **შეფასება საკლასო და სასკოლო დონეზე**

მნიშნელოვანია, მასწავლებელმა შეფასების საკითხი განიხილოს ფართო ჭრილში და გაიაზროს, რა ძირეულ პრობლემებს შეიძლება გადააწყდეს პრაქტიკული მუშაობის დროს.

თამთა დოლიძე

50 | **მასწავლებლის დღიური**

მასწავლებლის მთავარი იარაღი აქტიური მოსმენაა (თომას გორდონი აქტიური მოსმენის მეთოდს „კარის გაღებას“ უწოდებს). მას უნდა შეეძლოს დაშიფრული სათქმელის ამოცნობა, თავად კი ყოველთვის ცხადად და გარკვევით ილაპარაკოს

ექსპერტი

თამარ მოსიაშვილი

22 | **მედიაწიგნიერება და სხვა გამჭოლი კომპეტენციები**

მედიაწიგნიერება მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებთან. მედიაწიგნიერების მიდგომის საკლასო ოთახში დანერგვა გულისხმობს, რომ მოსწავლე აანალიზებს და აფასებს მედიაპროდუქტს, ადარებს ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ან შეისწავლის სხვადასხვა ეპოქაში გავრცელებულ ინფორმაციებს და გაიაზრებს ეპოქის გავლენას მედიაგზავნილზე.

შინაარსი

რესურსი

ეკატერინე ყიფიანი

26 **როგორ ვესაუბროთ მშობლებს?**

კლასის მართვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ მოსწავლეებს მასწავლებელთან. მუდმივად უნდა ვზრუნავდეთ პოზიტიური კავშირის განმტკიცებაზე, რათა შევძლოთ სასწავლო მიზნების განხორციელება.



ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30

ინტერვიუ

ირინა სამსონია

8 **პასუხები, მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარის გარშემო**

თვითშეფასების კითხვარი რეალურად არის მასწავლებლის დამხმარე საშუალება პროფესიული განვითარების გზაზე, რადგან ის მოიცავს და დეტალურად აღწერს მასწავლებლის მთელ პრაქტიკას. ამდენად, მისი შევსებისას მასწავლებელს უწევს დაფიქრება ყველა დეტალზე, რასაც მისგან მოითხოვს ეს პროფესია.

გამოცდილება

ქეთევან ოსიაშვილი

32 **შეფასების როლი და მნიშვნელობა ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში**

შეფასების პროცესის სწორად წარმართვა მხოლოდ სასწავლო წარმატებების მისაღწევად არ არის მნიშვნელოვანი. ის თვითშეფასების და შეფასების უნარის ჩამოყალიბების თავისებურ ინსტრუმენტსაც წარმოადგენს,

ცვატა ბერძენიშვილი

37 **თვითეფექტიანობისა და თვითრეგულირებული სწავლის სწავლება**

კვლევებმა ცხადყო, რომ მოსწავლეებს მაშინ უვითარდებათ აკადემიურად უფრო ეფექტიანი თვითრეგულირებული სწავლის უნარი და სწავლის ეფექტიანობის განცდა, როცა მასწავლებლები რთავენ მათ ხანგრძლივ პერიოდზე გაწერილ კომპლექსურ შინაარსიან დავალებებში.

გლობალური განათლება

ლევან ალფაიძე

41 **როგორ განვსაზღვროთ განათლება 21-ე საუკუნეში?**

ჩვენ საკლასო ოთახში ისეთი ლიდერები გვჭირდება, რომლებიც საკუთარ თავს ამბიციურ მიზნებს უსახავენ, ხელს უწყობენ სხვების დარაზმვას ამ მიზნების მისაღწევად, გეგმავენ და აღასრულებენ მას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მასალის კარგად შესწავლა და, რაც მთავარია, თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რას ნიშნავს იყო მასწავლებელი, რომელიც მოსწავლის ცხოვრებისეულ გზას უკეთესობისკენ ცვლის.

ანი კოპალიანი

53 **შემდეგი ორმოცდახუთი წელი**

ახალი ტექნოლოგიები სრულიად ცვლის ცოდნის მიღების საშუალებებს, განათლება მომავალში ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება და თანაც უფრო იაფი. დღესდღეობითაც უკვე უპრეცედენტოდ ბევრ ადამიანს შეუძლია სწავლის ყველა საფეხური გაიაროს.

ანა ჯანელიძე

რა არის სასკოლო მზაობის პროგრამა

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ 2014-2015 წლებში შემუშავდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობის ფარგლებში. პროგრამის შემუშავებას აგრეთვე მხარს უჭერდა World Vision საქართველო. პროგრამის სახელწოდება *„თამაში“* პროგრამის ძირითადი ცნებების აღმნიშვნელი სიტყვების აკრონიმია: **თ**ანამშრომლობა, **ა**ღმოჩენა, **მ**ოტივაცია, **ა**რჩევანი, **შ**ემოქმედებითობა, **ი**ნდივიდუალობა. სასკოლო მზაობის პროგრამა გამიზნულია 5 წლის ბავშვებისთვის, რომლებიც მომდევნო აკადემიურ წელს სკოლის პირველ კლასში დაიწყებენ სწავლას. სასკოლო მზაობის პროგრამის მიზნებია:

- განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები;
- დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
- ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს;
- მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
- შეუქმნას ბავშვს სწავლისადმი პოზიტიური განწყობა.

სასკოლო მზაობის პროგრამა მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს, აღმზრდელის სახელმძღვანელოსა და აქტივობების კრებულს.

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი განსაზღვრავს 5 წლიდან სასკოლო ასაკის მიღწევამდე ბავშვებისთვის განვითარების ყველა სფეროში მისაღწევ შედეგებს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს“ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010) და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის წარმატებულ გადასვლას სკოლამდელიდან დაწყებითი განათლების საფეხურზე. სტანდარტი მოიცავს სწავლისა და განვითარების შემდეგ სფეროებსა და ქვესფეროებს:

- ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება
  - ფიზიკური განვითარება
  - ჯანმრთელობა
  - კვება
  - უსაფრთხოება
- სწავლისადმი მიდგომა
  - მოტივაცია
  - სასწავლო და საზროვნო უნარები
- სოციალურ-ემოციური განვითარება
  - ემოციური განვითარება
  - სოციალური განვითარება
- შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა
  - ესთეტიკა და კულტურა
  - რაოდენობრივი წარმოდგენები
  - ბუნება
  - ტექნოლოგია
  - ზოგადი ცოდნა
  - საზროვნო უნარები
- მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება
  - მეტყველება

- კომუნიკაცია
- წიგნიერება.

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, უკვე დამტკიცდა (31 აგვისტო, 2015).

აღმზრდელის სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს აღმზრდელებს ბავშვზე ორიენტირებული, ინდივიდუალიზებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვაში. აღმზრდელის სახელმძღვანელო დეტალურად განიხილავს პროგრამის იმ ოთხი ძირითადი საფუძვლის მნიშვნელობას, რომლებსაც ეყრდნობა პროგრამის კონცეფცია და შინაარსი. ესენია: თამაში, ჯგუფის ერთობა, აზროვნება და შესაბამისობა. სახელმძღვანელოში ასევე მიმოხილულია სასკოლო მზაობის ჯგუფის ფიზიკური გარემოს მოწყობის პრინციპები და ის რესურსები, რომელთა გამოყენებაც სასურველია სასკოლო მზაობის ჯგუფში ბავშვის მრავალმხრივი და სრულფასოვანი განვითარებისათვის. მიმოხილულია სასკოლო მზაობის ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობები და პროცესები, ის თემატური მიმართულებები, რომლებზე დაყრდნობითაც იშლება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. თითოეულ თემატურ მიმართულებას თან ახლავს საქმიანობათა ნიმუშები და რეკომენდაციები თემების დაგეგმვისათვის. სახელმძღვანელო აგრეთვე შეიცავს რეკომენდაციებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში კვირისა და თვის დაგეგმვისათვის, ბავშვზე დაკვირვების პროცესის წარმართვის, ჩანაწერების წარმოების, მისი საქმიანობისა და პროგრესის დოკუმენტირებისათვის.

სასკოლო მზაობის პროგრამა

სწავლისა და განვითარებისთვის

აქტივობების კრებული

მოიცავს სასკოლო მზაობის პროგრამის პრინციპების მიხედვით შედგენილ 30 კვირის გეგმებსა და შესაბამის აქტივობათა ნიმუშებს. აქტივობათა კრებული წარმოადგენს დამხმარე რესურსს, რომელიც აღმზრდელებს დაეხმარება თემებისა და საქმიანობების წარმართვასა და ახალი იდეების გენერირებაში.

პროგრამის ძირითადი საფუძვლები

აღმზრდელის სახელმძღვანელო დეტალურად აღწერს სასკო-

> სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში საქმიანობები თამაშის ფორმით მიმდინარეობს. თამაში სკოლამდელ ასაკში ქცევის წამყვან ფორმას წარმოადგენს, რომელიც იძლევა მრავალფეროვან შესაძლებლობას ხალისით სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისთვის.



ლო მზაობის პროგრამის ოთხ ძირითად საფუძველს, მათ მნიშვნელობას სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის და სტრატეგიებს მათი ეფექტური დანერგვისთვის.

თამაში

სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში საქმიანობები თამაშის ფორმით მიმდინარეობს. თამაში სკოლამდელ ასაკში ქცევის წამყვან ფორმას წარმოადგენს, რომელიც იძლევა მრავალფეროვან შესაძლებლობას ხალისით სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისთვის. პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია 5 წლის ბავშვებისთვის დამახასიათებელ ორი ტიპის თამაშზე: როლურ და წესებიან თამაშებზე. გარდა ამისა, პროგრამაში ხაზგასმულია, რომ სასკოლო მზაობის ჯგუფში დღის განმავლობაში მიმდინარე ნებისმიერი საქმიანობა უნდა მოიცავდეს თამაშის ელემენტებს, რათა რუტინული აქტივობებიც კი ბავშვებისთვის სახალისო იყოს.

ჯგუფის ერთობა

სასკოლო მზაობის ჯგუფში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბებას, სადაც თითოეული ბავშვი ჯგუფის წევრად გრძნობს თავს. მიკუთვნებულობის განცდა ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, ემოციურად უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოში განვითარდნენ და მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბების ბაზისს წარმოადგენს ბავშვებს შორის და ბავშვებსა და უფროსებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები. ჯგუფის ერთობის შექმნისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს თანასწორობა – აღმზრდელები ხელს უწყობენ თითოეული ბავშვის მაქსიმალურ ჩართულობას ნებისმიერ აქტივობაში. ჯგუფის ერთობის შექმნისთვის აღმზრდელები იყენებენ შემდეგ სტრატეგიებს: ხელს უწყობენ ბავშვებს შორის თანამშრომლობას, კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ურთიერთგაგებასა და ერთმანეთის დაფასებას; პატივს სცემენ ბავშვებს და ზრუნავენ, რომ ბავშვები პატივისცემით

> **სასკოლო მზაობის პროგრამის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს შესაბამისობა, რაც გულისხმობს პროგრამის ყველა ასპექტის მორგებას თითოეული ბავშვის თავისებურებებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე.**

ეპყრობოდნენ ერთმანეთს და უფრთხილდებოდნენ ნივთებსა და გარემოს; ხელს უწყობენ ბავშვებში ემპათიის გრძნობის ჩამოყალიბებას; ეხმარებიან ბავშვებს ბრაზის მართვაში; ასწავლიან კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას და იყენებენ ჯგუფის პოზიტიური მართვისა და ქცევის პოზიტიური გაძღოლის სტრატეგიებს.

აზროვნება

სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაღალი დონის აზროვნების უნარების განვითარებას, რაც გულისხმობს ანალიტიკურ, შემოქმედებით და პრაქტიკულ აზროვნებას. სხვადასხვა საქმიანობის დროს აღმზრდელი ბავშვებს ხშირად უსვამს კითხვებს ან სთავაზობს ამოცანებს, რომლებიც მოითხოვს მაღალი ააზროვნო უნარების გამოყენებას. პროგრამაში განსაზღვრულია რამდენიმე ეფექტური სტრატეგია მაღალი დონის ააზროვნო უნარების ხელშეწყობისთვის: ბავშვებისთვის კითხვების დასმა და დისკუსიის წარმართვა, პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მოგვარების უნარების განვითარება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლის ხელშეწყობა და წარმოსახვითი (როლური) თამაშების წახალისება.

შესაბამისობა

სასკოლო მზაობის პროგრამის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს შესაბამისობა, რაც გულისხმობს პროგრამის ყველა ასპექტის მორგებას თითოეული ბავშვის თავისებურებებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე. ჯგუფის გარემო, დაგეგმილი საქმიანობები და აღმზრდელის ქცევა უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული ბავშვის მაქსიმალურ მონაწილეობას სახალისო და განმავითარებელ აქტივობებში. სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში შესაბამისობის უზრუნველყოფის ძირითად სტრატეგიას წარმოადგენს უნივერსალური დიზაინი, რომელიც გულისხმობს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისა და გარემოს იმგვარად დაგეგმვასა და ორგანიზებას, რომ ის ხელმისაწვდომი და საინტერესო იყოს თითოეული ბავშვისთვის. შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სასკოლო მზაობის ჯგუფის აღმზრდელი პროგრამას არგებს ბავშვის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს – ართულებს, ამარტივებს ან ცვლის თამაშებსა და სხვა საქმიანობებს ბავშვების შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. აგრეთვე, პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს პროგრამის შინაარსის, საქმიანობებისა და რესურსების შესაბამისობის უზრუნველყოფა სასკოლო მზაობის ჯგუფის ბავშვების კულტურასთან. ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა უმნიშვნელოვანესია სასკოლო მზაობის წარმატებული მუშაობისთვის, რისთვისაც აღმზრდელები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან.

სასკოლო მზაობის ჯგუფის ფიზიკური გარემო და რესურსები

სასკოლო მზაობის ჯგუფის სივრცე თემატურ სივრცეებად (ცენტრებად) არის ორგანიზებული. ჯგუფში შესაძლებელია იყოს შემდეგი ცენტრები: სახელოსნოს სივრცე, წრეში შეხვედრების სივრცე, ბუნებისა და ფიზიკური სამყაროს ცენტრი, სოციალური და კულტურული სამყაროს ცენტრი, რაოდენობრივი წარმოდგენების ცენტრი, კონსტრუქციის ცენტრი, მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების ცენტრი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრი, საშემსრულებლო ხელოვნებისა და როლური თამაშების ცენტრი, წყნარი სივრცე. თუ ჯგუფის სივრცე არ იძლევა ყველა თემატური ცენტრის მოწყობის საშუალებას, შესაძლებელია, ზოგიერთი თემატური ცენტრი გაერთიანდეს და ერთ სივრცეში მოეწყოს, მაგალითად, სახელოსნო, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრი და ა.შ. სასკოლო მზაობის ჯგუფში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სივრცის ესთეტიკურად მოწყობას ისე, რომ ბავშვებისთვის გარემო მიმზიდველი და საინტერესო იყოს. აგრეთვე, ფიზიკური გარემოს მოწყობისას მნიშვნელოვანია სისადავის დაცვა, რათა გარემო არ იყოს ზედმეტად მასტიმულირებელი. ჯგუფის რესურსები ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე – დაბალ თაროებზე უნდა იყოს განლაგებული. აღმზრდელი ბავშვებს წაახალისებს, დამოუკიდებლად აიღონ სასურველი რესურსები და დააბრუნონ ადგილზე საქმიანობის დასრულების შემდეგ.

ირინა სამსონია

პასუხები მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარის გარშემო

ერთ-ერთი პრინციპული სიახლე, რომელსაც „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ პროფესიული განვითარების მიზნით სთავაზობს მასწავლებლებს, თვითშეფასების კომპონენტის გაძლიერებაა. სადავო არ უნდა იყოს, რომ ნებისმიერ პროფესიაში უაღრესად მნიშვნელოვანია თვითშეფასების უნარი, რადგან საკუთარი საქმიანობის ობიექტური და კრიტიკული ანალიზი ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას და მიზანმიმართული თვითგანვითარებისკენ უბიძგებს ადამიანს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა მოამზადა და დაამტკიცა მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი. ეს არის სრულიად ახალი ტიპის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს და დეტალურად აღწერს მასწავლებლის მთელ საქმიანობას. ამიტომ, ბუნებრივია, მის გარშემო გაჩნდა კითხვები, რომლებზეც გვიპასუხებს **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის მენეჯერი ირინა სამსონია.**

მასწავლებელი ვალდებულია, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში შეავსოს თვითშეფასების კითხვარი. რამდენად მნიშვნელოვანია ამ კითხვარის შევსება მასწავლებლისთვის? ახლავს ამ კითხვარს რაიმე ტიპის რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს, დაგეგმოს განსაზღვრული საქმიანობები იმ მიმართულებით, რაშიც დაბალი თვითშეფასება აქვს?

თვითშეფასების კითხვარი რეალურად არის მასწავლებლის დამხმარე საშუალება პროფესიული განვითარების გზაზე, რადგან ის მოიცავს და დეტალურად აღწერს მასწავლებლის მთელ პრაქტიკას. ამდენად, მისი შევსებისას მასწავლებელს უწევს დაფიქრება ყოველ დეტალზე, რასაც მისგან მოითხოვს ეს პროფესია. კითხვარი მთლიანად ეფუძნება ისეთ ნორმატიულ დოკუმენტებს, როგორებიცაა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და ეთიკის კოდექსი. შესაბამისად, მოქმედი მასწავლებლისთვის კარგად უნდა იყოს ნაცნობი ყველა პუნქტი, რომლებიც თვითშეფასების კითხვარშია წარმოდგენილი. აქ მთავარი ის არის, რომ თითოეულ მასწავლებელს მიეცეს შესაძლებლობა, საკუთარი პრაქტიკის ობიექტური შეფასებითა და თვითკრიტიკული ანალიზის გზით გაიზიაროს პასუხისმგებლობა საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, მიზანმიმართულად დაგეგმოს თავისი საქმიანობა პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ამდენად, თვითშეფასების კითხვარი შეგვიძლია პროფესიული განვითარების ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტად მივიჩნიოთ.

რაც შეეხება შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას, მას შემდეგ, რაც მასწავლებელი კითხვარის შევსების შედეგად გამოავლენს საკუთარ სუსტ მხარეებს, ის სქემით განსაზღვრული საქმიანობებიდან ირჩევს ისეთებს, რომლებიც მას ამ ხარვეზების აღმოფხვრაში დაეხმარება და, იმავდროულად, კარიერული წინსვლისთვის საჭირო კრედიტქულებს მოუტანს. ამაში მას ეხმარება სკოლის მიერ არჩეული მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორი. ფასილიტატორები არჩევისთანავე გადამზადდებიან ამ მიმართულებით.

მასწავლებელმა, რომელსაც მიაჩნია, რომ „ყველა მოსწავლეს უდგება ინდივიდუალურად, სტერეოტიპებისა და წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობის გარეშე, მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის პიროვნული ღირებულება და უნიკალურობა“, თვითშეფასების კითხვარის მოთხოვნის (A1a_t_თვითრეფლექსია -1) შესაბამისად, რა მტკიცებულება უნდა წარმოადგინოს /აღწეროს?

სიტყვა „მტკიცებულება“ არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელმა თვითრეფლექსიისთვის გამოყოფილ ველში რაიმე დოკუმენტური მასალა უნდა შეიტანოს. საკმარისია, თხრობითი ფორმით აღწეროს, რას აკეთებს, როგორ იქცევა მოსწავლეებთან სხვადასხვა სიტუაციაში ამ კუთხით, მოიყვანოს კონკრეტული მაგალითი/მაგალითები საკუთარი პრაქტიკიდან.

თვითშეფასების კითხვარში წერია: „ვახდენ სკოლაში და სკოლის გარეთ არსებული რესურსების კლასიფიკაცია-კატეგორიზაციას; მოვიძიებ, ვარჩევ და ვიყენებ მათ სასწავლო მიზნის შესაბამისად“. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სკოლები და მასწავლებლები სხვადასხვა პირობებში არიან, კერძოდ, სკოლაში და სკოლის გარეთ არსებული რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამ კუთხით დაბალი თვითშეფასების შემთხვევაში როგორ გაიუმჯობესონ პედაგოგებმა პრაქტიკა? ზოგი მასწავლებელი იოლად მოახერხებს ამას, ზოგიერთს განსაზღვრული ძალისხმევა დასჭირდება, ზოგისთვის კი ეს თითქმის შეუძლებელი იქნება.

ცხადია, ყველა სკოლას არ გააჩნია თანაბარი შესაძლებლობები რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამ პუნქტის არსი ის არის, როგორ, რამდენად ეფექტურად ახერხებს მასწავ-

ერთ-ერთი პრინციპული სიახლე, რომელსაც „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ პროფესიული განვითარების მიზნით სთავაზობს მასწავლებლებს, თვითშეფასების კომპონენტის გაძლიერებაა.

ლებელი არსებული რესურსების გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში კი შექმნას სასწავლო მიზნების მისაღწევად და არა ის, რამდენად მრავალფეროვანი რესურსებით არის აღჭურვილი სკოლა, რომელშიც ასწავლის.

თვითშეფასების კითხვარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია „სწავლისა და სწავლების სტრატეგიები", რომელიც 17 პუნქტის მიხედვით თვითშეფასებას მოიცავს. ამ ბლოკს ახლავს თვითრეფლექსიის ორი პუნქტი, რომელთაგან ერთ-ერთი მოითხოვს, მასწავლებელმა მაგალითები/ მტკიცებულებები მოიყვანოს საკუთარი პრაქტიკიდან. რა ტიპისა და მოცულობისა უნდა იყოს ეს აღწერილობები? როგორ დადგინდება ამ აღწერილობების/მაგალითების/მტკიცებულებების ავთენტურობა?

მტკიცებულებათა ავთენტურობა ამ შემთხვევაში არ არის შეფასების ობიექტი, რადგან თვითრეფლექსიის ეს ნაწილი გულისხმობს მასწავლებლის მხრივ საკუთარი გამოცდილების გაზიარებასა და კონკრეტული მაგალითების მოყვანას იმის წარმოსაჩენად, რამდენად წარმატებულად ახერხებს ის მოცემულ ქვესფეროში გაერთიანებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თვითრეფლექსია მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას, ქვედა ზღვარი განსაზღვრული არ არის, მაგრამ, ცხადია, არ უნდა შემოიფარგლებოდეს ერთი ფრაზით ან წინადადებით. თვითშეფასების კითხვარში ამ ველის ხარისხიანად შევსება იმას ნიშნავს, რომ მისი შინაარსი (მტკიცებულებები/მაგალითები) ადეკვატურია, ანუ შეესაბამება ქვესფეროში გაერთიანებულ პუნქტებს და, ამასთან, კორელაციაშია მასწავლებლის თვითშეფასებასთან.

კითხვარი მოცულობითი და დეტალიზებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ერთნაირად გულწრფელი არ იქნება კითხვარის შევსებისას. რას გამოიწვევს თვითშეფასების კითხვარის არაობიექტურად შევსება?

ცენტრის მხრივ რაიმე სანქცია არ არის დაწესებული. უბრალოდ, მასწავლებელს კარგად უნდა ავუხსნათ, რომ თვითშეფასების კითხვარის არაობიექტურად შევსებით ის მხოლოდ საკუთარ თავს ავნებს, საკუთარ თავს წაართმევს შესაძლებლობას, მიიღოს აუცილებელი მხარდაჭერა პროფესიული განვითარების კუთხით. გარდა ამისა, თუ მასწავლებლის შეფასების ჯგუფისთვის აშკარა გახდა, რომ კონკრეტული მასწავლებელი არაობიექტურად აფასებს საკუთარ საქმიანობას, ის ვალდებულია, მიიღოს ზომები ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორის ფუნქცია კი ისაა, რომ საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციები გაუწიოს თითოეულ მასწავლებელს თვითშეფასების კითხვარის შევსების პროცესში.

პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსია

მანანა ბოჭორიშვილი

სკოლებში საგანმანათლებლო ცვლილებების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მოქმედი მასწავლებლების ფიქრებსა და ქმედებებზე. ექსპერტები აღიარებენ, რომ სკოლა წარმატებულია, როდესაც:

1. სკოლაში მუშაობენ პროფესიონალი მასწავლებლები;
2. სამუშაო გარემო ისეა ორგანიზებული, რომ უზრუნველყოს მასწავლებლების ენთუზიაზმი და მათი მიღწევების დაფასება.

ორივე ეს ფაქტორი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. სამუშაო ადგილზე შექმნილი პირობები პროფესიული კმაყოფილების მომგვრელიც უნდა იყოს და, ამასთანავე, მაღალი კვალიფიკაციის კადრებსაც იზიდავდეს და ინარჩუნებდეს.

მასწავლებელმა, რომელიც განუწყვეტლივ ზრუნავს პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე, კარგად იცის, სწავლების რომელი სტილი ურჩევნია. ზრდასრულთა განათლების სპეციალისტები გამოყოფენ რამდენიმე ტიპის მასწავლებელს:

1. **აქტიურად მოქმედი მასწავლებელი** – სწავლობს კეთებით, ქმედებით. უპირატესობას ანიჭებს ახალ, საინტერესო გამოცდილებას. მისი მთავარი პრინციპია: „ერთხელ ყველაფერი უნდა სცადო“.
2. **პრაგმატისტი მასწავლებელი** – სწავლობს აზროვნებით, ფიქრით. ახასიათებს იდეების, თეორიების გადასინჯვა, რათა მათ ჭეშმარიტებაში დარწმუნდეს. ცდილობს ახალი იდეების პრაქტიკაში დანერგვას, უყვარს პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა და დამოუკიდებლად სწავლა. ხშირად სვამს კითხვას: „როგორ შეიძლება ამის პრაქტიკაში განხორციელება?“ მისი მთავარი პრინციპია: „თუ პრაქტიკაში ამართლებს, ე.ი. კარგია“.
3. **თეორეტიკოსი მასწავლებელი** – სწავლობს დაკვირვებით და ჭვრეტით. მისთვის იდეები ძალზე მნიშვნელოვანია. ხშირად სვამს კითხვას: „ამას აქვს აზრი?“ ახასიათებს სწავლისადმი ანალიტიკური, კონცეპტუალური მიდგომა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ლოგიკურ აზროვნებას და რაციონალურ შეფასებას. ის უკეთ სწავლობს დირექტივების საშუალებით, როდესაც მეტი ყურადღება ეთმობა თეორიებსა და სისტემურ ანალიზს. მისი მთავარი პრინციპია: „თუ ლოგიკურია, ე.ი. კარგია“.
4. **რეფლექსურად მოაზროვნე მასწავლებელი** – სწავლობს შეგრძნებებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ჯგუფსა და წყვილებში მუშაობით მიღებული გამოცდილება მისთვის მუდამ

> „აქტუალურია, როგორ იყენებს მასწავლებელი პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობების გზით მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას. ანუ რა გააუმჯობესა მან თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში და როგორ ახდენს მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიას.“

> **რეფლექსიის დროს მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, გააანალიზოს, დაასაბუთოს ან გააკრიტიკოს თავისი გადაწყვეტილებები, იფიქროს ამა თუ იმ სასწავლო ტექნიკის გამოყენებისას მოსწავლეთა რეაქციებზე და მათ უკუკავშირზე.**

შედეგიანია. აინტერესებს კოლეგებთან ურთიერთობის ემოციური ელემენტები. მისი მთავარი პრინციპია: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“.

მნიშვნელოვანია, როგორ იყენებს მასწავლებელი პროფესიული განვითარებისთვის გამიზნული აქტივობების გზით მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ანუ რა გააუმჯობესა მან პედაგოგიურ პრაქტიკაში და როგორ ახდენს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიას.

საზოგადოდ, რეფლექსია (ლათ. reflexio) „უკან მიბრუნებას“ ნიშნავს. ამასთან, რეფლექსია - თვითანალიზი თავად მასწავლებლის განათლებაზე, პასუხისმგებლობასა და თვითკონტროლზეა დამოკიდებული.

რეფლექსია დაკავშირებულია მიზანმიმართულებასთანაც, ვინაიდან მასწავლებელი მიზნის დასახვისას თავისებურად გაიზრებს კიდეც, როგორ მიაღწიოს მას.

მასწავლებელს ხშირად უწევს თავისი პროფესიული საქმიანობის რეფლექსია. არსებობს სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციები, რომელთა დახმარებითაც იოლდება წერილობითი რეფლექსიის მომზადება. გთავაზობთ სარეკომენდაციო კითხვებს, რომლებიც შეიძლება დაგეხმაროთ რეფლექსიის დროს:

- რა ტიპის საჭიროებები გამოიკვეთა თქვენი პროფესიული საქმიანობის შეფასებისას? (სასურველია, ყურადღება გაამახვილოთ საგნობრივ პროგრამაზე, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე... ამით მასწავლებელი ერთგვარად დაასაბუთებს, რას ეყრდნობოდა საჭიროების დადგენისას.
- თქვენი პროფესიული საჭიროებებიდან გამომდინარე, რა ტიპის აქტივობები აირჩიეთ?
- რა ცოდნა და გამოცდილება შეიძინეთ თქვენ მიერ არჩეულ აქტივობათა განხორციელების შედეგად?
- როგორ გამოიყენეთ მიღებული ცოდნა და გამოცდილება პროფესიულ საქმიანობაში? რა შეიცვალა თქვენს პედაგოგიურ პრაქტიკაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შედეგად? რა მიღწევები გაქვთ?

მოცემული კითხვარის მიხედვით იმდენნაირი ანალიზის დაწერა შეიძლება, რამდენი მასწავლებელიცაა. გთავაზობთ ამ კითხვების მიხედვით მომზადებულ პროფესიული განვითარების რეფლექსიის ნიმუშს.

რეფლექსიის ნიმუში

მასწავლებელი – მ. ხ.
საგანი – ბიოლოგია
სკოლა – 333-ე

2012 წელს პროფესიული საქმიანობის თვითშეფასებისას გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა, გავცნობოდი მე-7 კლასის საბუნებისმეტყველო სტანდარტის მიხედვით შექმნილი ახალი ინტეგრირებული საგნის, „საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლების“, სწავლების მეთოდოლოგიას (2011 წლის 11 მარტს №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა – საგნობრივი სტანდარტი თავი XLI. VII კლასი, საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლები).

ჩემი პროფესიული საჭიროებებიდან გამომდინარე, ავირჩიე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკრედიტებული ტრენინგპროგრამის „საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლები“ (2 კრედიტი) გავლა, რამაც საშუალება მომცა, პრაქტიკულად გავცნობოდი ესგ საგნობრივი სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული ექსპერიმენტების დაგეგმვის, ჩატარებისა და უკუკავშირის მეთოდოლოგიას ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მიმართულებით. მიღებული ცოდნა გამოვიყენე ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში და მე-7-10 კლასებში აქტიურად დავნერგე კვლევითი პროექტები, რომელთა გამოყენების შესახებაც დავამუშავე საკონფერენციო თემა. ეს ნაშრომი წარვადგინე 2014 წლის 31 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერების პედაგოგთა ეროვნულ კონფერენციაზე, რომელიც PROFILES-ის კონსორციუმის ორგანიზებით გაიმართა. მასალა იხილეთ ბმულზე: http://profiles-georgia.iliauni.edu.ge/images/document.pdf

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 2012-2015 წლებში ჩემი სილაბუსი/სასწავლო გეგმა და პედაგოგიური პრაქტიკა დაიტვირთა ესგ საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებული ექსპერიმენტებით, ცდებით და კვლევითი პროექტებით. ამან საგრძნობლად აამაღლა სწავლა-სწავლების ხარისხი, რაც აისახა მოსწავლეთა მონიტორინგის შედეგებსა (იხ. მონიტორინგის შედეგები) და ჩემი მოსწავლეების საატესტატო გამოცდების შედეგებზე.

21.09.15
მ.ხ

საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლის საქმიანობის ანალიზი და თვითანალიზი მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. თვითშეფასებისას, მასწავლებლის საჭიროებებისა და მიზნების გათვალისწინებით, შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევაა საჭირო.

თავისუფალი ფორმატის თვითშეფასების ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ფართოდ გამოიყენება რეფლექსიის წერილობითი ან ზეპირი ფორმები.

რეფლექსია ხშირად მასწავლებლის პორტფოლიოს ნაწილად წარმოგვიდგება, თუმცა ის დამოუკიდებლადაც ხორციელდება. მისი მიზანია, მასწავლებელმა გააანალიზოს საკუთარი დამოკიდებულება თავისი პროფესიული განვითარებისადმი, სწავლების პროცესისადმი, ასევე – როგორი ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან, რამდენად თავდაჯერებულია თავის კომპეტენციებში. რეფლექსიის დროს მასწავლებელს შეუძლია გააანალიზოს, დაასაბუთოს ან გააკრიტიკოს თავისი გადაწყვეტილებები, იფიქროს ამა თუ იმ სასწავლო ტექნიკის გამოყენებისას მოსწავლეთა რეაქციებსა და უკუკავშირზე.

თვითშეფასების ინსტრუმენტები, ფორმატის მიხედვით, პირობითად, სამ ძირითად კატეგორიად იყოფა:

1. თავისუფალი;
2. სტრუქტურირებული;
3. ინტეგრირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.tpdc.ge/uploads/damxmare%20isntrumentebi.pdf
2. http://www.tpdc.ge/uploads/rubrikebi.pdf
3. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2007 წ. განმარტებითი ლექსიკონი
4. «Вопросы психологии». Москва, 2000 г.
5. Тренинг, Настольная книга тренера, Автор: Торн Кей, Маккей Дэвид, 2002 Год, ISBN: 5-318-00119-X, 0-7494-2084-7

მაია ჯალიაშვილი

მოსწავლის არჩევანი

კარგი მასწავლებელი არასოდეს სჯერდება უკვე ნაცად პრაქტიკას და მუდმივ ძიებაშია, რათა მიაკვლიოს ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც საგაკვეთილო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში გამოადგება.

სწავლების პროცესში, ისევე როგორც, საზოგადოდ, ცხოვრებაში, არჩევანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რაც უფრო ვრცელია ასარჩევ საგანთა თუ მოვლენათა არეალი, მით მეტი ძალისხმევაა საჭირო, რომ საკუთარი თვალსაზრისი გამოხატო, ჯერ გაარჩიო და მერე აირჩიო. როგორც მოსწრებულად შენიშნავს ჯემალ ქარჩხაძე, სიკეთისა და ბოროტების გარჩევა იოლია, არჩევაა ძნელი. ამიტომაცაა, რომ პრიმიტიულ საზოგადოებაში, რომელიც ერთის (ბელადის, დიქტატორის და სხვ.) მიერ იმართება, იზღუდება არჩევანის შესაძლებლობა. ნაკლებია ფიქრი, ნაკლებია წუხილი... მაგრამ სადაც ნაკლებია წუხილი – ნაკლებია ადამიანობაც. ამრიგად, მოსწავლე სწავლის პროცესში უნდა მიეჩვიოს, რომ გადაწყვეტილების მიღება არ არის იოლი. ის მრავალ სირთულესთან, როგორც იტყვიან, თავის ტკივილთან არის დაკავშირებული.

სკოლაში, გაკვეთილზე, მასწავლებელიც ირჩევს და მოსწავლეც. ეს ორი არჩევანი ყოველთვის არ თანხვდება ერთმანეთს. მასწავლებლის ნება ხშირად გადაფარავს ხოლმე მოსწავლის სურვილს. ეს კი ყოველთვის როდია ძალაუფლებით ტკბობის შედეგი – ზოგჯერ ეს მოსწავლისთვის სიკეთის კეთების რწმენითაა განპირობებული.

მოზარდის გადაწყვეტილება ხშირად უპირისპირდება გარემოს (მშობლები, ოჯახი, თანატოლები, ჯგუფები, საზოგადოებრივი აზრი და სხვ.), ამიტომ იქმნება ფსიქოლოგიური ბარიერები, რომელთაგან ის ზოგს გადალახავს, ზოგს – ვერა. სკოლა მოწოდებული უნდა იყოს იმისთვის, რომ მოსწავლეთა თავისუფალი აზროვნება განავითაროს. ეს ნებისმიერი საგნის სწავლებისას აუცილებელია.

მასწავლებელს რთული ამოცანა აქვს: ისე აირჩიოს რაღაც, რომ არ შეზღუდოს მოსწავლის ნება-სურვილი, რომელიც ხან გაცნობიერებულია და ხან გაუცნობიერებელი. დეკარტისეული „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ არჩევანსაც გულისხმობს. ეს ადამიანის უპირველესი უნარია.

როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეს, რომ თავისუფალი არჩევანი გააკეთოს? რა თქმა უნდა, მას უნდა შევუქმნათ ისეთი გარემო, რომელიც აგრძნობინებს, რომ მისი „არსებობა“ მნიშვნელოვანია. ამას კარგად გრძნობენ ბეჯითი და ნიჭიერი მოსწავლეები, მაგრამ რა ვუყოთ სხვებს, ზარმაცებსა და უდისციპლინოებს?

ცხოვრება ზრდასრულსაც და მოზარდსაც მუდმივად აყენებს არჩევნის წინაშე, რაც გადაწყვეტილების მიღების უნარს გულისხმობს. ამ უნარს ადამიანი ზრდასთან ერთად იძენს, დაბრკოლებების გადალახვისა თუ შეცდომების, მარცხის გაცნობიერების შედეგად. ეს უნარი მტკიცდება, იხვეწება და საბოლოოდ სწორედ იგი განსაზღვრავს ადამიანში პიროვნულობის ხარისხს.

ისტორიულ პირთა თუ ლიტერატურულ პერსონაჟთა ხასი-

ათიც სწორედ იმ სიტუაციებში მჟღავნდება, სადაც ისინი გადაწყვეტილებას იღებენ. გადმოცემით, იულიუს კეისარმა მდინარე რუბიკონის გადალახვისას თქვა: „წილი ნაყარია!“ – და ძალაუფლება აიღო ხელში. ვიღაც უკან გაბრუნდა გორდიასის კვანძის დანახვაზე, მაკედონელმა კი ის ერთი დაკვრით გადაჭრა.

როგორ მივაჩვიოთ მოსწავლე არჩევანის გაკეთებას? უპირველესად, უნდა მივცეთ შეცდომის უფლება. შეცდომა არ უნდა იქცეს დაბრკოლებად, რომელიც მოსწავლეს შეაშინებს, სწავლის მოტივაციას დაუკარგავს და არჩევანის გაკეთებისას უკან დაახევინებს; ამ საქმეს სხვას, მასწავლებელსა თუ უფრო ჭკვიან, გაბედულ და აქტიურ თანაკლასელს მიანდობს, თვითონ კი თავს ჩააგონებს, რომ არაფერი გამოუვა და პასიურ აუტსაიდერად იქცევა.

მასწავლებელმა მუდმივად უნდა ეძებოს ამ ჩიხიდან გამოსავალი, უნდა ერიდოს მეტისმეტად კრიტიკულ შეფასებას, გამოიყენოს სასწავლო პრაქტიკაში კარგად ცნობილი

ე.წ. „სენდვიჩის მეთოდი“: ჯერ კარგი მოძებნოს მოსწავლის ამა თუ იმ დავალების შეფასებისას, ამ კარგს გაუსვას ხაზი, მერე შეცდომაზე მიუთითოს, ბოლოს კი ისევ კეთილგანწყობილი თუ წამახალისებელი შენიშვნა დაურთოს. ამგვარად მოსწავლეს თვითშეფასების ხარისხი არ შეუმცირდება. პირიქით, მასწავლებელი მას შეცდომის გამოსწორებისკენ უბიძგებს.

მასწავლებლებიც ცდებიან, ზოგი – ხშირად, ზოგი – იშვიათად, ამიტომ თავმოყვარეობის შელახვად არ უნდა მიაჩნდეთ, თუ თავიანთ შეცდომას აღიარებენ, გააანალიზებენ, მოსწავლეთა თანდასწრებით გაარკვევენ მის მექანიზმსა თუ წყარო-მიზეზს. ეს კარგი მაგალითი იქნება ბავშვებისთვის, თავადაც ამგვარადვე გაიაზრონ და შეაფასონ საკუთარი შეცდომები, აღიქვან არა რაღაც საბედისწერო, არამედ სწავლების, ყოველდღიურობის თანმხლებ მოვლენებად.

პედაგოგმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ცხოვრება სკოლაშიც გრძელდება და გაკვეთილებზე მიღებული გამოცდილება უმნიშვნელოვანესია. ნებისმიერი საგნის სწავლება ხომ, საბოლოო ჯამში, იმას ემსახურება, რომ მოსწავლე ჩამოყალიბდეს პიროვნებად, რომელიც სირთულეებთან გამკლავებას, ნებისმიერ ვითარებაში გამოსავლის პოვნას შეძლებს. აღმოსავლური იგავია: აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ევროპის

ჩემპიონი ჩინეთში გაემგზავრა იქაური სახელგანთქმული ოსტატის სანახავად. მისვლისას აუხსნა, რა უნდოდა – არაერთი ბრძოლა მოვიგე რინგზე, მოწინააღმდეგის დამარცხების ყველა ხერხსა და მეთოდს დავეუფლე, ახლა მსურს, ცხოვრების ასპარეზზე გავიმარჯვო... თუ ბნელ, ავაზაკებით სავსე უბანში გავივლი, როგორ მოვერიო შეიარაღებულ ბანდიტებს, რომლებიც შეიძლება თავს დამესხანო? ფეხმორთხმულმა მოხუცმა მშვიდად ახედა რჩევისა და განსაკუთრებული ილეთების სწავლების მომლოდინე ახალგაზრდას და მშვიდად, ყოველგვარი ირონიის გარეშე უთხრა: მე გასწავლი, როგორ არ მოხვდე იმ უბანში, სადაც ჯიბგირების თავდასხმის საფრთხეაო.

იმისთვის, რომ მოსწავლე არჩევანის გაკეთებას მიეჩვიოს, პედაგოგიურ პრაქტიკაში არაერთი ხერხი და მეთოდი არსებობს. ამჯერად მხოლოდ ერთს შევეხებით, რომელიც უფრო აქტუალურია თანამედროვე სწავლებისას. ეს არის მოსწავლის როგორც ექსპერტის წარმოჩენა და ხელშეწყობა. სიტყვა „ექსპერტობა“ მავანს შესაძლოა გაზვიადებად მოეჩვენოს, მაგრამ ეს მხოლოდ მეტაფორული ნათქვამია და იმას გულისხმობს, რომ მოსწავლეს მივცეთ შესაძლებლობა, თავისუფლად გააკეთოს არჩევანი, წარმოაჩინოს ის ცოდნა და უნარი, რომელიც აქვს და რომლის შესახებ შესაძლოა არც მასწავლებელმა, არც თანატოლებმა, ზოგჯერ მშობლებმაც კი არ იცოდნენ.



- მოსწავლის მცირე ხნით ექსპერტად „გადასაქცევად“ მასწავლებელმა თვითონაც შეიძლება მოიფიქროს რაიმე ხერხი. ამჯერად ჩვენს სტრატეგიას გთავაზობთ: პედაგოგმა თვეში ერთხელ (ან რამდენჯერმე) უნდა გამოყოს საათი გაკვეთილზე სხვანაირი, არატრადიციული მუშაობისთვის.
- თავდაპირველად, როცა ამგვარ პრაქტიკას გადაწყვეტს, უნდა ჰკითხოს მოსწავლეებს: ვის რა აინტერესებს? კითხვას ზოგი ხალისით გამოეხმაურება, ზოგი – არა.
- რიგრიგობით გამოიძახოს დაფასთან მოსწავლეები და ყველას თავისი გატაცება, ჰობი დააწერინოს. დაფაზე, სავარაუდოდ, გაჩნდება ჩამონათვალი: მუსიკა, კინო, მხატვრობა, კომპიუტერული თამაშები, ანიმე, სპორტი და სხვ.
- მასწავლებელმა უნდა დააზუსტებინოს, გააშლევინოს ჩამონათვალი, მაგალითად, მუსიკის რომელი მიმართულება მოსწონთ, სპორტის რომელ სახეობაში ერკვევიან და ა.შ.
- შეიძლება, რეიტინგიც კი შედგეს და გაირკვეს, მოცემულ კლასში რამდენი მოსწავლე რითაა გატაცებული.
- ამის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს პრეზენტაციების მომზადება მათთვის სასურველ თემებზე.
- მასწავლებელს შეუძლია, ამგვარი რამ ცალკეულ მოსწავლეებს დაავალოს, მაგრამ ეს დავალება ბავშვის არჩევანს უნდა ემყარებოდეს. შეიძლება პრეზენტაციის ჯგუფურად მომზადებაც.
- მოსწავლეები, სავარაუდოდ, თვითონაც მოიფიქრებენ მრავალფეროვან პრეზენტაციებს. შეიძლება, მასწავლებელიც დაეხმაროს მათ და ურჩიოს, რომ კარგი იქნება, თუ თავიანთ გამოსვლას გაამდიდრებენ ფოტოებით, ვიზუალური და აუდიომასალებით. თანამედროვე

ტექნოლოგიები ამის შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს და ფართო არჩევანსაც სთავაზობს.

- შემდეგ, სურვილისამებრ, შეიძლება გაიმართოს დისკუსია იმ თემაზე, რომელიც მოსწავლემ (თუ მოსწავლეთა ჯგუფმა) წარმოადგინა.
- შეიძლება, მასწავლებელმა შეფასებისა და შთაბეჭდილებებისთვის გამოყოს მრავალფურცლიანი რვეული (ან ალბომი), რომელშიც მოსწავლეები თავისუფალ დროს წარმოდგენილ პრეზენტაციას შეაფასებენ.
- შეიძლება, მასწავლებელმა ამ პრეზენტაციის ამსახველი ფოტოებიც გადააღებინოს რომელიმე მოსწავლეს და კლასის არქივში შეინახოს. მისი პორტფოლიოც გამდიდრდება ამგვარი შემოქმედებითი ღონისძიებებით.

ამრიგად, ნებისმიერი მოსწავლე შეიძლება განსაზღვრული დროით ვაქციოთ ექსპერტად და ამით თვითშეფასება ავუმაღლოთ. ეს მას დაეხმარება კონკრეტული საგნების შესწავლისას, შემატებს საკუთარი თავის რწმენას, აგრძნობინებს ყურადღებას, რომლის ნაკლებობაც მანამდე უფრო და უფრო უმცირებდა მოტივაციას.

შესაძლოა, დაიბადოს კითხვა: რა საჭიროა ამგვარი ექსპერიმენტი? თანაც ყველა მოსწავლე ხომ არ გამოირჩევა რამის ცოდნითა თუ რამისადმი ინტერესით? ალბათ არ არსებობს მოსწავლე, რამე რომ არ აინტერესებდეს და, შესაბამისად, მისი ცოდნისა თუ მასში გარკვევის სურვილი არ გააჩნდეს. ყოველ მოსწავლეს ექნება თავისთვის მნიშვნელოვანი საქმის ცოდნაც. შესაძლოა, ეს არ უკავშირდებოდეს სკოლას, სასკოლო პროგრამებს, მაგრამ მასწავლებელმა ბავშვის ნებისმიერი გატაცება უნდა გამოიყენოს სწორედ საგნების უკეთესად შესასწავლად, საზოგადოდ, სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად.

საამისოდ სხვადასხვა ხერხი არსებობს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთზე გავამახვილებთ ყურადღებას. კარგი მასწავლებელი არასოდეს სჯერდება უკვე ნაცად პრაქტიკას და მუდმივ ძიებაშია, რათა მიაკვლიოს ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც საგაკვეთილო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში გამოადგება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა კოლეგათა გამოცდილების გაცნობა და შესაბამისი პრაქტიკის გაზიარება. ასეთია, მაგალითად, პერსონალური ინსტრუქცია, რომელიც გულისხმობს ყოველი მოსწავლისთვის საშუალების მიცემას, თავად დაგეგმოს კონკრეტული საგნის სასწავლო მიზანი (სტანდარტის შესაბამისი), დაისახოს ინდივიდუალური ამოცანა, რა თქმა უნდა, მასწავლებლის დახმარებით. ეს არ არის იოლი საქმე, თუ კლასებში მოსწავლეთა რაოდენობას გავითვალისწინებთ, მაგრამ შეუძლებელიც არ არის. გამოცდილება მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს, ერთგვარი კლასიფიცირების შედეგად მსგავსი მონაცემებისა და სურვილების მქონე მოსწავლეები ერთად დააჯგუფოს, ე.ი. დაახლოებით ერთნაირი ინსტრუქციებით „მართოს“.

ისევე როგორც ნებისმიერი სტრატეგიის გამოყენებისას, აქაც მნიშვნელოვანია მასწავლებლის შემოქმედებითი უნარი და მოქნილობა. საჭიროა, მან ვითარების შესაბამისად ცვალოს, მოიფიქროს ახალი და შესაფერისი გზა შექმნილი დაბრკოლების, მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი წინაღობის გადასალახავად. სწავლება ხომ მიმდინარეობს არა ვაკუუმში, არამედ მრავალხმიან გარემოში, სადაც ყოველი ხმა ინდივიდუალურია. თითოეულ მათგანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა მაქსიმალური განვითარებისა, იმ პოტენციის გამოვლენისა, რომელიც მოზარდს ბუნებრივად შეიძლება ჰქონდეს.

> **როგორ მივაჩვიოთ მოსწავლე არჩევნის გაკეთებას? უპირველესად, უნდა მივცეთ შეცდომის უფლება. შეცდომა არ უნდა იქცეს დაბრკოლებად, რომელიც მოსწავლეს შეაშინებს, სწავლის მოტივაციას დაუკარგავს და არჩევნის გაკეთებისას უკან დაახევინებს.**

თუ ინდივიდუალობა ჩაიხშო, რათა ცხოვრება უფრო გამარტივდეს, მივიღებთ იმგვარ საზოგადოებას, როგორიც აღწერილი აქვს ოლდოს ჰაქსლის თავის ანტიუტოპიურ რომანში „საოცარი ახალი სამყარო“. მწერალი აჩვენებს, რად შეიძლება იქცეს მხოლოდ ტექნოლოგიურ განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოება. ცნობილია, რომ ადამიანები კომფორტისკენ, ყოველივეს გაიოლებისკენ მიისწრაფვიან, ამიტომაცაა, რომ თანამედროვეობისთვის დამახასიათებელია ზედაპირულობა, იმის არჩევა, რაც ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. ვაჟასეული „მამყოფე შეწუხებული“, ან „გონებას ფიქრი სტანჯავდესო“ დღეს ბევრს გაუგებარ სურვილად მოეჩვენება. ოლდოს ჰაქსლიმ თავის რომანში წარმოიდგინა საზოგადოება, რომელსაც შეუძლია, წინასწარ დაგეგმოს და კონვეიერივით, ქარხნული წესით გამოუშვას ადამიანთა სხვადასხვა ტიპი: ალფები, ბეტები, ეფსილონები და ა.შ. ყოველი ჯგუფი წინასწარ განსაზღვრული ფუნქციით მოევლინება ქვეყნიერებას და თავისუფლებისა და არჩევანის გარეშე იცხოვრებს.

მაია ფირჩხაძე

თანამშრომლობითი სწავლა – მიზნების მიღწევის ეფექტური საშუალება

თანამედროვე სასწავლო პროცესის მთავარი მიზანი დამოუკიდებელი, განათლებული ადამიანის აღზრდაა, რომელიც არასოდეს იტყვის უარს ახალი ცოდნის შეძენასა და გამოცდილების გამდიდრებაზე. პედაგოგიური საქმიანობაც შესაფერისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და აქტიური სააზროვნო პროცესების წარმართვისკენ უნდა იყოს მიმართული. ამისთვის ეფექტური და ხელსაყრელია თანამშრომლობითი სწავლის მეთოდი.

როგორც მკვლევრები (დ. ჯონსონი, რ. ჯონსონი, 1999) მიუთითებენ, თანამშრომლობითი სწავლა გამოირჩევა ნაყოფიერებით, ოპტიმიზმით, მიღწეული შედეგებით, კვლევითი და საკომუნიკაციო უნარების მასშტაბებითა და ხარისხით. მაღალი შედეგების მისაღწევად ის უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვა მეთოდები, რომლებიც მოსწავლეთა შორის კონკურენციაზეა ორიენტირებული, განურჩევლად იმისა, ეჯიბრებიან თუ არა ერთმანეთს მოსწავლეთა ჯგუფები.

იმის გათვალისწინება, რომ თანამშრომლობითი სწავლა და ჯგუფური მუშაობა დროის მოთხოვნაა და არა უბრალოდ მოდური ტენდენცია, ხელს უწყობს პედაგოგიური საქმიანობის წარმატებასაც. თუმცა სასწავლო პროცესის წარმატებას განაპირობებს არა მარტო მოსწავლეთა სათანადო ორგანიზება, არამედ მასწავლებლის სწორად განსაზღვრული მიზნებიც.

მასწავლებლის მიზნები თანამშრომლობითი სწავლისას:

- მინდა, შორიდან შევხედო ჩემს მოსწავლეებს;
- ყველაფერი შევამჩნიო, დავინახო;
- შევადარო, შევუპირისპირო;
- მე მჯერა ჩემი მოსწავლეების;
- ისინი ყველაფერს შეძლებენ.

პრაქტიკული საქმიანობისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გადაავლოს თვალი საკუთარ მიზნებს და განსაზღვროს, ცოდნის აგების რომელ საფეხურზე ასვლა სურს გაკვეთილზე, რა შედეგის მიღება უნდა (მაგალითად, უპასუხოს კითხვას: ანალიზი თუ სინთეზი?).

სავარაუდო პასუხები:

- ყველაფერი ერთში, ანუ ვირჩევ ჯგუფური მუშაობის ფორმას!
- ჩემი მოსწავლეები ასე უკეთესად მუშაობენ და სწავლობენ!
- ერთად უფრო მხიარულად არიან;
- „ცუდი მასწავლებელი ჭეშმარიტებას ქადაგებს, კარგი მასწავლებელი კი ასწავლის, როგორ იპოვონ ის“.

რეფლექსიის ეტაპზე მნიშვნელოვანია მიზნებისა და შედეგების გულდასმით შედარება. ამისთვის სასურველია, უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

ა) მიაღწიეთ თუ არა მიზანს?

ბ) თუ კი, რამ შეუწყო ხელი ამას?
გ) თუ არა, რამ შეუშალა ხელი?
დ) რა სირთულეების გადალახვა მოგიხდათ?
- არასაკმარისი თეორიული ცოდნა;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უუნარობა;
- ჯგუფების შეუთანხმებელი მუშაობა;
- სხვა სირთულეები.

თანამშრომლობითი სწავლების დროს მასწავლებლის ფუნქცია იცვლება – ის ცოდნას გადასცემს არა მზა ფორმით, არამედ გაკვეთილის რეჟისორი და ორგანიზატორი ხდება, ინსტრუქციას აწვდის მოსწავლეებს, აკომპლექტებს ჯგუფებს, აკეთებს კომენტარებს დავალებებზე, აკონტროლებს ჯგუფების მუშაობას, არაპირდაპირ თანამშრომლობს ჯგუფთან, აფასებს და აჯამებს ჯგუფის მუშაობას (სქემა 1):

სქემა 1

ჯგუფში მოსწავლეთა ორგანიზებისთვის (ჯგუფის ორგანიზატორისთვის)

1. მუშაობის მიზანი: განვიხილოთ საშუალებები _____
2. მუშაობის შედეგები: რეკომენდაციების შედგენა, პრობლემის გადაჭრის ვარიანტები, გეგმების შედგენა და ა.შ. _____
3. ჯგუფში მუშაობის მთავარი წესი – არ უნდა დაიკარგოს არც ერთი იდეა
4. კითხვები განხილვისათვის: რა აერთიანებთ ჯგუფის წევრებს? რით განსხვავდებიან? რა იწვევს ეჭვს და რატომ? ვინ შეავსებს?
5. დავალება ჯგუფური მუშაობისთვის: ლიტერატურის გამოყენებით შეადგინეთ რეკომენდაციები პრობლემის გადაჭრის თაობაზე; მუშაობა – ჯგუფური; დრო – 10-15 წუთი.
6. კითხვები თანამშრომლობითი მუშაობის შეჯამებისთვის:
   ა) ვინ და როგორ აირჩიეს ლიდერად, სპიკერად?
   ბ) ვინ დაეხმარა მუშაობაში? რამ შეუშალა ხელი?
   გ) ყველა აქტიურობდა თუ არა?

თანამშრომლობითი სწავლის პროცესის საფეხურებია:

ა) მოსწავლეთა მიერ საკუთარი ჰიპოთეზის, ვერსიის წამოყენება;
ბ) იდეების განხილვა, გენერაცია;
გ) ჯგუფური გადაწყვეტილების მიღება;
დ) შედეგების შეფასება;
ე) მუშაობის მთელი პროცესის შეჯამება.

მასწავლებლის შემოქმედებითი დამოკიდებულებით სწავლების ეს ფორმა გაკვეთილს მეტ ხალისსა და ინტერესს სძენს, თითოეულ მოსწავლეს აძლევს თავისი უნარების გამომჟღავნების საშუალებას. მიუხედავად ამისა, საბოლოო წარმატება მაინც მასწავლებლის მიერ კარგად ორგანიზებული ჯგუფების მუშაობაზეა დამოკიდებული.

მოსწავლეთა დაჯგუფების კრიტერიუმები:
- ინტერესი;
- დაბადების თვე;
- ტანსაცმელი;
- აქტიურობა;
- შემთხვევითი შერჩევა (გადათვლა ან ფარული კენჭისყრა);
- ლიდერის დასახელება (რომელიც თვითონ ირჩევს თავისი ჯგუფის წევრებს) და ა.შ.

რის საფუძველზე და როგორ დავაკომპლექტოთ თანამშრომლობითი ჯგუფები? როგორი უნდა იყოს მათი შემადგენლობა? რა ხერხები გამოვიყენოთ ოპტიმალური შედეგებისთვის?

თანამშრომლობით ჯგუფებს სხვადასხვა საფუძველი აქვთ, რომელთაგან უმთავრესია:
- პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება (წარმატებას მივაღწევთ, თუ ერთად ვიქნებით);
- ურთიერთგამხნევება (ერთმანეთის დახმარება სწავლაში, ურთიერთგამხნევება და წახალისება, ჯგუფის წინსვლა);
- ინდივიდუალური და ჯგუფური ანგარიშვალდებულება (თითოეული ჯგუფის წევრს აქვს საკუთარი ვალდებულებები და მათი შესრულებით შესაძლებელია ჯგუფის საერთო მიზნის მიღწევა);
- ინტერპერსონალური და პატარა ჯგუფში მუშაობის უნარები (კომუნიკაცია, ნდობა, ლიდერობა, გადაწყვეტილებების მიღება და კონფლიქტების მოგვარება);
- ჯგუფის წინსვლა (დაკვირვება იმაზე, თუ როგორ მუშაობს გუნდი და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისთვის, რომ გუნდის მუშაობა გაუმჯობესდეს).

მუშაობის ეფექტურობისა და ჯგუფის წარმატებისთვის უმჯობესია, თუ:

1. **მოსწავლეებს არ დავაჯგუფებთ შესაძლებლობების მიხედვით** (დაბალი აკადემიური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები

ჰეტეროგენულ ჯგუფებში უფრო უკეთესად მუშაობენ, ვიდრე მათივე დონის მოსწავლეებთან დაჯგუფებისას);

2. **თანამშრომლობითი ჯგუფები პატარა იქნება** (3-5 მოსწავლე თითოეულ ჯგუფში, თუმცა მასწავლებელს შეუძლია, საჭიროებისამებრ ცვალოს ჯგუფის ზომა).

მრავალფეროვანი თანამშრომლობითი მუშაობისთვის სასურველია, მოსწავლეები დავყოთ **არაფორმალურ, ფორმალურ და საბაზო ჯგუფებად.**

არაფორმალური ჯგუფი იქმნება ერთად მსხდომი მოსწავლეების დაჯგუფებით გაკვეთილის ან რამდენიმე წუთის განმავლობაში. მისი მიზანი შეიძლება იყოს: დავალების პირობების დაზუსტება, ყურადღების კონცენტრირება, ინფორმაციის უკეთ გააზრება ან გაკვეთილის შეჯამება.

ფორმალური ჯგუფები იმისთვის იქმნება, რომ მოსწავლეებს დავალების საფუძვლიანად შესრულებისთვის საკმარისი დრო ჰქონდეთ. ამის კვალობაზე, ფორმალურ ჯგუფში მუშაობამ შესაძლოა რამდენიმე დღე ან კვირა გასტანოს. ასეთი ჯგუფების ყოველ წევრს თავისი ფუნქცია ენიჭება: ჩამწერი, შემაჯამებელი, ტექნიკური მრჩეველი, მკვლევარი, ანალიტიკოსი, სპიკერი, „დროის მცველი". თითოეულმა ჯგუფმა თავისი პროდუქტი უნდა შექმნას. დაგეგმილი დროის განმავლობაში მოსწავლეები ერთად იმუშავებენ და გადაწყვეტენ, რა პროდუქტი შექმნან, როგორი დიზაინით, როგორ წარადგინონ და რა კონკრეტული მიზნისთვის და ა.შ. მუშაობის პროცესში მასწავლებელი აკვირდება, რამდენად ამჟღავნებენ მოსწავლეები სოციალურ უნარებს, როგორ ართმევენ თავს პრობლემებს, სათანადოდ აფასებენ თუ არა საკუთარ მუშაობას... დასასრულ, მოსწავლეებმა პრეზენტაციაზე ჯგუფის ნამუშევარიც უნდა წარადგინონ და თითოეული წევრის წვლილიც შეაფასონ.

საბაზო ჯგუფები შედარებით ხანგრძლივ დროზეა ორიენტირებული, მაგალითად, ერთ სემესტრზე ან ერთ სასწავლო წელზე. ასეთ დროს მიღებული უნარ-ჩვევები მოსწავლეებს მთელი წელი ეხმარება.

თანამშრომლობითი სწავლა და ჯგუფური მუშაობა ნებისმიერი დისციპლინის შესწავლისას მნიშვნელოვანია. მასწავლებელს შეუძლია, სწავლის ეს მეთოდი სხვადასხვაგვარი ფორმით და სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენოს. ის უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანსაღი ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნებას, პიროვნულ ზრდას, ღირებულებათა პატივისცემას, იდეების რეალიზებას, დიდი მოცულობის სამუშაოს წარმატებით შესრულებას; გამბედაობას მატებს მოსწავლეს და სტიმულს აძლევს შემდგომი წინსვლისთვის. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მისი ეფექტურობა მხოლოდ სისტემატური გამოყენებისას მიიღწევა (მაგალითად, კვირაში ერთხელ). განსაზღვრული ზომიერება კი აქაც უნდა დავიცვათ: მოსწავლეებს უნდა დარჩეთ დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის და საჭირო უნარების დამოუკიდებლად ათვისებისთვის.

მაგალითი: შემოქმედებითი ხასიათის დავალება ისტორიის გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლისას (სქემა 2):

კლასი: VII

სქემა 2

შემოქმედებითი ხასიათის დავალება
1. შეადგინეთ სინქვეინი თემაზე **„ისტორიული პირები"**: ჰანიბალი, იულიუს კეისარი, ანტონიუსი და კლეოპატრა, ოქტავიანე ავგუსტუსი
2. შეადგინეთ ისტორიული ამოცანები თემაზე: **„მნიშვნელოვანი მოვლენები"**: პუნიკური ომები, ალექსანდრე დიდის ლაშქრობები, ათენის დემოკრატია, ძველი სპარტა, ოლიმპიური თამაშები
3. **დაწერეთ ესე თემაზე:** „რომის იმპერატორები": ტრაიანე, ნერონი, ოქტავიანე, კონსტანტინე

მოსწავლეთა რეფლექსია მუშაობის დასრულების შემდეგ: **„ავაბიჯოთ წარმატების კიბეზე"** (სქემა 3) :

სქემა 3

დასასრულ, მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეაფასებს თანამშრომლობითი მუშაობის შედეგებს (სქემა 4) :

იმის გათვალისწინება, რომ თანამშრომლობითი სწავლა და ჯგუფური მუშაობა დროის მოთხოვნაა და არა უბრალოდ მოდური ტენდენცია, ხელს უწყობს პედაგოგიური საქმიანობის წარმატებასაც.

სქემა 4



თანამშრომლობითი სწავლა და ჯგუფური მუშაობა ნებისმიერი დისციპლინის შესწავლისას მნიშვნელოვანია. მასწავლებელს შეუძლია, სწავლის ეს მეთოდი სხვადასხვაგვარი ფორმით და სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენოს.

და მაინც, როგორიც უნდა იყოს მოსწავლეთა პასუხი, რაც უფრო ხშირად დავუსვამთ ჩვენ, მასწავლებლები, საკუთარ თავს კითხვას, რისი მიღება გვინდოდა დღეს მოსწავლეებისგან, რისთვის დავყავით ისინი ჯგუფებად, მით უფრო პროფესიონალური იქნება ჩვენი მუშაობა. მიზნებსაც წარმატებით მივაღწევთ.

თამარ მოსიაშვილი

მედიაწიგნიერება და სხვა გამჭოლი კომპეტენციები

მასწავლებლებს ყოველთვის არ ესმით მედიაწიგნიერების აუცილებლობა, არ ესმით, რატომ უნდა დახარჯონ დრო მოსწავლეებთან მისი დონის ასამაღლებლად. მასწავლებლებს მრავალ პრობლემასთან უწევთ გამკლავება. ისინი შრომობენ, რათა მათმა მოსწავლეებმა უკეთეს შედეგს მიაღწიონ, დამატებით მუშაობენ დაბალი აკადემიური მოსწრებისა თუ რთული ქცევის მქონე ბავშვებთან, მათ მშობლებთან, უმცირესობებთან, ებრძვიან ძალადობას სკოლასა და თემში.

და აი, ისინი სვამენ კითხვას: რატომ მედიაწიგნიერება? განა არ არსებობდა მედიაწიგნიერების გარეშე ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები?

ინტერნეტმა ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი გახადა. ინდუსტრიული ეპოქიდან ციფრულში გადავედით. სწორედ ახალი ეპოქა მოითხოვს განათლების ტრანსფორმაციას. არაერთხელ თქმულა, რომ არსებული ინფორმაციის დამახსოვრება ადამიანის გონებას არ შეუძლია. და მაინც, რატომ მედიაწიგნიერება? რატომ დგას დღის წესრიგში ცვლილებები სკოლაში?

ცვლილება ამ საუკუნის მოთხოვნაა.

> *„2010 წელს, მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში, მსოფლიოში გავრცელდა 1 ზეტაბაიტი მოცულობის ინფორმაცია, რაც 1 ტრილიონ გიგაბაიტს ან 250 მილიარდ დი-ვი-დის (DVD) უდრის. ეს იგივეა, ამჟამად დედამიწაზე მცხოვრებ თითოეულ ადამიანს 60 დი-ვი-დი რომ შეექმნა. პროგნოზის თანახმად, 2020 წლისთვის ინფორმაციის მოცულობა 35 ზეტაბაიტამდე გაიზრდება (The Leaky Corporation, 2011).*
>
> *ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაოდენობა მართლაც უზარმაზარია და უფრო და უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პრობლემა აღარ არის. პრობლემაა მისი იმგვარად ორგანიზება, რომ ინფორმაციის სასარგებლოდ გამოყენება შევძლოთ, არ მივცეთ საშუალება, ქაოსში მოგვაქციოს. მაგალითად, თუ გუგლის საძიებო სისტემაში ჩაწერთ: „ინფორმაციით გადატვირთვა“, – 0,07 წამში 7,3 მილიონ შედეგს მიიღებთ. ჯერ ვერ შეთანხმდნენ, რა უწოდონ ამ მდგომარეობას – მონაცემთა ასფიქსია, მონაცემთა ნისლი, ინფორმაციით გადაღლის სინდრომი, შემეცნებითი გადატვირთვა, დროის შიმშილი („ზედმეტი ინფორმაცია“, 2011) თუ სხვა რამ“ (**ჯეიმზ პოტერი, მედიაწიგნიერება).***

ამასთან, საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ მედიაწიგნიერება პოზიტიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო ჩართულობაზე. ახალგაზრდები, რომლებიც იმ სკოლებში დადიოდნენ, სადაც მედიაწიგნიერება ისწავლებოდა, პოლიტიკურად აქტიურები არიან და ფართო თვალსაწიერით გამოირჩევიან. მედიაწიგნიერების მაღალი დონის მქონე ახალგაზრდების 84% მიიჩნევს, რომ მათ ეს უნარები სკოლაში განივითარეს (Kahne, 2011).

სამწუხაროდ, საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი დიდი თუ მცირე კვლევა, რომელიც აღწერდა საერთაშორისო გამოცდილებას მედიაწიგნიერების კუთხით და იმ ტენდენციებს, სასკოლო კულტურაში მედიაწიგნიერების დანერგვის შედეგად რომ იკვეთება.

აღარც მედიაწიგნიერებაა განათლებისგან გამიჯნული. გვინდა, მოსწავლეები გაიწაფონ წერა-კითხვაში, ანგარიშში, ვასწავლით ლიტერატურას, სამშობლოსა და მსოფლიოს ისტორიას. ვიცით, რომ ეს ცოდნა მათ ცხოვრებაში გამოადგებათ. მედია ჩვენი ცხოვრების ნაწილია და აყალიბებს კიდეც ჩვენს წარმოდგენებს, საზოგადოებრივ აზრს. მედიაწიგნიერება ეხმარება მოსწავლეებს, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გახდნენ აქტიური მოქალაქეები და გააკეთონ გააზრებული არჩევანი. მასწავლებელმა უნდა დააკავშიროს მედიაპროდუქტი შესასწავლ საკითხთან ან სასწავლო პროცესში შექმნას მედიაპროდუქტი და გაუზიაროს სხვადასხვა აუდიტორიას.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა (2011 წლის რედაქცია) 9 პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას გამოყოფს. მედიაწიგნიერება ერთი მათგანია. ამ მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტში აღიარებულია, რომ ცხრა პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციის ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და თვითდამკვიდრებისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მედიაწიგნიერების კომპეტენცია მოსწავლეს ყველა საგნის სწავლების დროს უნდა განუვითარდეს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში პრიორიტეტული კომპეტენცია **მედიაწიგნიერება** ასეა განმარტებული:

> *„საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად თანამედროვე სამყაროში ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტებმა, რომლებიც ერთსა და იმავე დროს იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე ძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო*

ინტერნეტმა ინ-ფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი გახადა. ინდუსტ-რიული ეპოქიდან ციფრულში გადავე-დით. სწორედ ახალი ეპოქა მოითხოვს განათლების ტრანს-ფორმაციას. არაერ-თხელ თქმულა, რომ არსებული ინფორმა-ციის დამახსოვრება ადამიანის გონებას არ შეუძლია.

მოიცვა. ამიტომ მოსწავ-ლეს უნდა შეეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გაა ზრება, ინტერპ-რეტირება, გამოყენება და შექმნა, მეორე მხრივ კი მედიასამყაროში ორიენ-ტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის გაფილტვრა) და მიღე-ბული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედია-წიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას" (ესგ, 2011-2016).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ცხრა გამჭოლი კომპეტენციის ცალ-ცალკე განხილვა რთულია. მედიაწიგ-ნიერება მჭიდროდაა დაკავში-რებული სხვა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებთან. მედიაწიგნიერების მიდგომის საკლასო ოთახში დანერგვა გულისხმობს, რომ მოსწავლე აანალიზებს და აფასებს მედიაპ-როდუქტს, ადარებს ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ან შეისწავლის სხვადასხვა ეპოქაში გავრ-ცელებულ ინფორმაციებს და გაიაზრებს მედიაგზავნილზე ეპოქის გავლენას. ამასთან ერთად, მედიაწიგნიერება გუ-ლისხმობს, რომ სწავლის დროს მოსწავლეები თავად ქმნიან მედიაპროდუქტს და უზიარებენ სხვადასხვა აუდიტორიას.

სასწავლო პროცესში მრავალ-ფეროვანი სასწავლო სტრატე-გიებისა და მუშაობის ფორმების გამოყენება მედიაწიგნიერებით განათლებას მჭიდროდ აკავში-რებს სხვა გამჭოლ კომპეტენ-ციებთან. მედიაწიგნიერებითი განათლება გულისხმობს, რომ:

- მოსწავლეები ამუშავებენ მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, გამოთქვამენ იდეებსა და მოსაზრებებს, იღებენ გადაწყვეტილებებს და ფიქრობენ პრობლე-მების მოგვარების გზებზე **(წიგნიერება)**.
- მოსწავლეები ამუშავებენ ელექტრონულ ტექსტებს, შეუძლიათ ტექსტური შეტ-ყობინების პროგრამების და, საზოგადოდ, ინფორმა-ციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყე-ნება. დღეს ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ციფრული ფორმატისაა, პროფესიული და სოცი-ალური მედია ინფორმაციას ამ ფორმატით უზიარებს აუდიტორიას, მოქალა-ქეებიც ამავე ფორმატით აზიარებენ მას (**ციფრული წიგნიერება** (იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერე-ბა)).
- ხშირად ინფორმაცია გამო-სახულია ციფრებით, ცხრი-ლებითა და გრაფიკებით. მოსწავლეები გაიაზრებენ ამ მონაცემებს, ადგენენ მიმართებებს რიცხვებს შორის და რაოდენობრივად ადარებენ მათ **(რაოდენობ-რივი წიგნიერება)**.
- გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერება გულისხმობს



> **მედიაწიგნიერება მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებთან. მედიაწიგნიერების მიდგომის საკლასო ოთახში დანერგვა გულისხმობს, რომ მოსწავლე აანალიზებს და აფასებს მედიაპროდუქტს, ადარებს ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ან შეისწავლის სხვადასხვა ეპოქაში გავრცელებულ ინფორმაციებს და გაიაზრებს მედიაგზავნილზე ეპოქის გავლენას.**

ეკოლოგიური საკითხების შესწავლას და სხვადასხვა პერსპექტივაში მათ განხილვას. ეკოლოგიურ საკითხებს მედია ინტენსიურად აშუქებს, შესაბამისად, მედიარესურსები სწავლების მნიშვნელოვანი წყაროა **(ეკოლოგიური წიგნიერება)**.

- დღევანდელი მსოფლიო წარმოუდგენელია კულტურული მრავალფეროვნების გარეშე. ევროკავშირი სხვადასხვა ენის, კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის მქონე 700 მლნ ადამიანის სამშობლოა. დღეს ევროკავშირში 40 ოფიციალური ენაა და ევროკავშირის მოქალაქეები დაახლოებით 200 ენაზე ლაპარაკობენ (Elsner 2011: 12). არც საქართველოა გამონაკლისი. თანამედროვე ტექნოლოგიები მასწავლებლებს მხოლოდ ლინგვისტური მრავალფეროვნებისა და მრავალენობრივი კომპეტენციების განვითარებაში კი არ ეხმარება, არამედ ზრდის ლინგვისტური და კულტურული ტრადიციების შესახებ ცოდნას, ტოლერანტობას და აღრმავებს კულტურათა შორის დიალოგს (UNESCO 2011) **(მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია)**.
- ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში მედიარესურსების გამოყენება ხშირად გულისხმობს რუკების, დიაგრამების, სქემების, ნახატების, მელოდიების საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებასა და ინტერპრეტირებას **(სემიოტიკური კომპეტენცია)**.
- სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვისას მნიშვნელოვანია მოსწავლეთა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობა. მოსწავლეს უნდა შეეძლოს მედიაპროდუქტის ანალიზისა და ახალი პროდუქტის შექმნისთვის საჭირო სტრატეგიების დამოუკიდებლად შერჩევა **(სწავლის სწავლა)**.
- სამოქალაქო აქტიურობა და მონაწილეობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდა დემოკრატიის მქონე ქვეყნებისთვის. მედიაწიგნიერება ამ მხრივ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. შესაძლებელია მოსწავლეებისთვის ისეთი პროგრამების შექმნა, რომლებიც მიმართული იქნება მათი მონაწილეობისა და სამოქალაქო აქტივიზმის ზრდისკენ. მედიაწიგნიერება საშუალებას იძლევა, აჟღერდეს მოზარდის ხმა და ცვლილებისკენ გადაიდგას ნაბიჯები **(სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია)**.

მედიაწიგნიერებითი განათლების კონცეფციის მიხედვით, მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენების დროს მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა დასვას მედიაწიგნიერების მთავარი კითხვები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება, შეაფასოს მედიაპროდუქტი რამდენიმე კომპონენტთან მიმართებით. ეს კომპონენტებია: აუდიტორია, გზავნილი და მნიშვნელობა, გამოხატვა და სინამდვილე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მედიაწიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2010
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011
3. Sherri H. Culver & Thomas Jacobson Filadelfia, Pennsylvania (USA) Media Literacy and Its Use as a Method to Encourage Civic Engagement, DOI: 10.3916/C39-2012-02-07
4. (Kahne, 2011)(2011). Youth online activity and exposure to diverse perspectives. New Media & Society, 14(3), 492–512

ეკატერინე ყიფიანი

როგორ ვესაუბროთ მშობლებს

მშობლებს ყოველთვის სურთ, რომ შვილებს დაეხმარონ სწავლაში. რაც უფრო იზრდებიან ბავშვები, მით მეტად დამოუკიდებლები ხდებიან. გავაცნოთ მშობლებს სასწავლო პროგრამა და ვუთხრათ, როგორ შეიძლება დაეხმარონ შვილებს სასკოლო პროექტის მომზადებაში.

სკოლაში კლასის დამრიგებლად მუშაობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ბავშვის პიროვნული და მორალური განვითარება ხშირად სწორედ დამრიგებელზეა დამოკიდებული. ახალბედა დამრიგებლები გამოცდილ პედაგოგებს სთხოვენ რჩევას და მერე მთელი ცხოვრება მადლიერი არიან იმ კეთილი ადამიანებისა, რომლებმაც გულახდილად გაუზიარეს გამოცდილება.

მახსენდება ძველი თაობის მასწავლებლების რჩევა: „თუ მოსწავლე სკოლაში არ მოვიდა, იმ დღესვე დაურეკე მშობელს და ჰკითხე გაცდენის მიზეზი. შესაძლოა, მშობელმა შვილი სკოლაში გამოუშვა, მაგრამ ბავშვი სხვაგან წავიდა“. ერთ მშობელს ძალიან გაუხარდა ასეთი ყურადღება. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაც გამაცნო და ოჯახური მდგომარეობაც. ძალიან შორი გზიდან უწევდა თურმე სკოლაში სიარული, ასთმა აწუხებდა. მშობელმა ჩვენი ყურადღება დააფასა და როცა ბავშვი აცდენდა, ყოველთვის რეკავდა სკოლაში, იგებდა დავალებებს... წლის ბოლოს ის მოსწავლე საუკეთესო აკადემიური მოსწრებით გამოირჩეოდა.

ზოგჯერ ახალი დამრიგებლები სათითაოდ ურეკავენ მშობლებს და ეცნობიან. მშობლებიც კითხულობენ ახალი მასწავლებლის ამბავს, ეკითხებიან შვილებს და სხვა მშობლებს, როგორ მოსწონთ ის. ხშირად საგნის სწავლება უფრო იოლია, ვიდრე ბავშვებთან კარგი ურთიერთობის დამყარება. კლასის მართვა იმაზეა დამოკიდებული, როგორი ურთიერთობა აქვთ მოსწავლეებს მასწავლებელთან. გამუდმებით უნდა ვზრუნავდეთ პოზიტიური კავშირის განმტკიცებაზე, რათა სასწავლო მიზნების განხორციელება შევძლოთ.

ბავშვებთან ურთიერთობის განსამტკიცებლად მშობლებთან ურთიერთობაა საჭირო. თუ მშობელს სკოლაში მოსასვლელად არ სცალია, დამრიგებელმა უნდა გამონახოს დრო დასარეკად. საუბარი მოკლე, ლაკონიური უნდა იყოს. დავიწყოთ კარგი ამბით, ბოლოს კი ვახსენოთ ბავშვის უდისციპლინობა ან გაკვეთილის მოუმზადებლობა.

კალიფორნიელი მასწავლებელი ელენა აგილერა იხსენებს, როგორ დაძლია პრობლემები ურთულეს კლასში. მან მოსწავლეებს უთხრა, რომ მათი კარგი ქცევისა და კარგი საქმეების შესახებ აუცილებლად ამცნობდა მშობლებს. ასეც იქცეოდა. ბავშვებმა გაიგეს, რომ მასწავლებელი ნამდვილად უკავშირდებოდა მათ მშობლებს. შემდეგ ელენამ გამოკითხვა ჩაატარა, ისურვებდნენ თუ არა მოსწავლეები, მათი კარგი ქცევისა და მაღალი აკადემიური მოსწრების შესახებ სხვამ ახლობლებსაც გაეგოთ. თითოეულმა მოსწავლემ, სულ ცოტა, ხუთი ადამიანი მაინც დაასახელა. დროდადრო მასწავლებელი იმ ადამიანებსაც ურეკავდა და კარგ ამბებს ატყობინებდა. მოსწავლეებმა კი უფრო მეტად მოინდომეს, რომ ქცევა და ნიშნები გამოესწორებინათ.

ინგლისელი მასწავლებელი კატია უაითი იხსენებს, როგორ დარეკა ერთ-ერთი მოსწავლის

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

დიანა ანფიმიადი

სკოლაში წასვლა

ყოველი ახალი სექტემბერი ახალი გამოწვევაა ჩვენი საზოგადოებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის – იქნებ წელს უკეთ მოვახერხოთ ბავშვების ინტეგრირება, იქნებ წელს უფრო მეტი ვიცოდეთ, იქნებ წელს უფრო მეტი ვიშრომოთ და უფრო მეტად შევიყვაროთ...

თუ მასწავლებელი ხარ, ეცადე, სხვების წინაშე არ შეარცხვინო, უკმეხად არ მიმართო, შეურაცხყოფა არ მიაყენო, მაქსიმალურად ჩართო კლასის მუშაობაში, იცოდე, რომ ის სხვებისგან არაფრით განსხვავდება, იქნებ თანაკლასელებზე მეტიც იცოდეს.

თუ მოსწავლე ხარ, იცოდე, რომ მის გვერდით ყოფნა, მისი დახმარება შენი მოვალეობაა, მასთან ურთიერთობა კი – ძალიან, ძალიან საინტერესო თავგადასავალი.

თუ მშობელი ხარ, აუცილებლად უთხარი მასწავლებელს, რომ არაეთიკურია მშობელთა კრებაზე, ხმამაღლა, ყველას გასაგონად ვისიმე დიაგნოზისა თუ ქცევის თავისებურების განხილვა. იცოდე, რომ ვიღაცების გამორჩევა, ვიღაცებისთვის თავის არიდება და დისტანცირება კარგს არაფერს მოუტანს შენს შვილს. მან ყველანაირ ადამიანთან ურთიერთობა, ყველას სიყვარული უნდა ისწავლოს.

თუ სკოლის ადმინისტრაცია ხარ, აუცილებლად მოაწყვე შენს სკოლაში რესურსოთახი, დაასაქმე გამოცდილი, განათლებული, თანაგრძნობის უნარის მქონე პედაგოგი თუ ფსიქოლოგი, არავითარ შემთხვევაში არ განარჩიო ერთი მოსწავლე მეორისგან.

თუ განათლების სამინისტრო ხარ, დაგეგმე და განახორციელე უფრო მეტი პროექტი ინკლუზიური განათლების გასაუმჯობესებლად, ასწავლე უფრო მეტ პედაგოგს, აღჭურვე უფრო მეტი სკოლა, მოამზადე და დაასაქმე უფრო მეტი პროფესიონალი.

თუ ქვეყანა ხარ, ასწავლე და შეიყვარე შენი საუკეთესო ნაწილი.

წარმატებას გისურვებ!

ჰოდა, მოვიდა სექტემბერიც. სოციალური ქსელი გამოპრანჭული, ბედნიერი, გახამებულსამოსიანი ბავშვების ფოტოებით, მათი მშობლების აღტაცებული კომენტარებით, მოსაზრებებითა და შთაბეჭდილებებით გაიჭედა:

– ჩემს გოგოს დღეს სკოლის პირველი დღე აქვს, წარმატებას გისურვებ, დედიკო!

– ახალი დღე, ახალი სკოლა, ახალი ურთიერთობები, ჩემს ბიჭზე უფრო მე ვნერვიულობ!

– ჩვენი მასწავლებელი თბილი და კარგი გოგონა ჩანს, იმედია, ეს შთაბეჭდილება არ გაგვინელდება...

და ა.შ. და ა.შ.

ახალი ცხოვრება, ახალი ურთიერთობები, ახალი გამოწვევები და იმედგაცრუებები... და ახალი შიშები. მინდა, განსაკუთრებით შიშებზე გელაპარაკოთ.

წელს სკოლაში ის ბავშვიც წავა, ვისაც ძალიან გაუჭირდება გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა და იქნებ საკლასო ოთახში სეირნობამ დაამშვიდოს.

ის ბავშვიც, ვისაც კომუნიკაცია უჭირს, თანდათანობითი, ყოველდღიური შეგუება სჭირდება.

ისიც, ვისაც ცუდად ესმის ან ძლივს ხედავს დაფას.

ისიც, ვინც ეტლით მოძრაობს და ადაპტირების გარეშე საკლასო ოთახში შესვლა გაუჭირდება.

ისიც, ვისაც უცხოებისა ეშინია.

ისიც, ვისაც გადატანილი სტრესის გამო კალმის ხელში დაჭერისას თითები უკანკალებს.

ისიც, ვისაც მხოლოდ კალმის ბოლოს ღეჭვა ამშვიდებს.

ისიც, ვისთვისაც აკრძალვა თუ უარი ძნელი გასაგებია.

ისიც, ვინც თანდათან უნდა შეეჩვიოს სისტემურობას, დავალებებს, გაკვეთილებს.

ისიც, ვინც ნებისმიერი ხმაურისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა.

ისიც, ვისაც შეხებისა ეშინია.

ისიც, ვინც შეიძლება სრულიად უადგილო წამოძახილით დაიმშვიდოს თავი.

ისიც, ვინც არ არის მიჩვეული მითითებების შესრულებას.

ისიც, ვინც განსაკუთრებით ცელქია ან, პირიქით, მეტისმეტად მორცხვია და გაუბედავი.

ისიც, ვისაც გაკვეთილზე ეძინება და ძალიან, ძალიან უჭირს, ამდენი ხნის განმავლობაში არ ჩათვლიმოს.

მოკლედ, წელს სკოლაში სპეციალური საჭიროების მქონე ბევრი ბავშვი წავა. ინტეგრირებული კლასი, რესურსოთახი, სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი – ამ ყველაფერზე დიდ იმედებს ამყარებენ მშობლები, რომელთაც ხშირად საკლასო ოთახში შვილების გვერდით ჯდომა ან ოთახის კართან ატუზვა უწევთ.

ნასტასია არაბული

უკან, სკოლაში

ადრეც ასე იყო ეს ამბავი, ეჭვი მაქვს, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა. სკოლაში დაბრუნების დრო ახლოვდება და იწყებ თავგადასავლების მოფიქრებას, რომლებსაც მეგობრებს და მასწავლებლებს მოუყვები, ტანსაცმლის შერჩევას, რომელიც გაზრდილს და გარუჯულს ყველაზე მეტად მოგიხდება, წიგნების მოგროვებას... ზოგი ადრე ადგომასაა გადაჩვეული, ზოგს 45 წუთი ჯდომა გაუჭირდება, ზოგი შეყვარებულით დაბრუნდება და ასე... სექტემბერი ახალ წესრიგზე გადაწყობის დროა, თანაც არა მხოლოდ პატარებისთვის – ჩვენთვისაც, დიდებისთვის, რომლებსაც ორმაგი პასუხისმგებლობა გვაკისრია, ვინაიდან დიდწილად სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ახალი წესრიგი.

წინათ ასე არ იყო, მაგრამ ახლა აგვისტოს შუა რიცხვებიდან ინტერნეტი სავსეა სტატიებით იმის შესახებ, როგორ გადავეწყოთ ახალ წესრიგზე უმტკივნეულოდ. აქცენტი იმაზე დაისმის, რა ასაკის ბავშვმა უნდა მოიმზადოს თავად საკვები შესვენებაზე საჭმელად, რომელი მობილური აპლიკაციები უნდა გადმოწერონ მშობლებმა იმისთვის, რომ უკეთ გაანაწილონ დრო შვილების საჭიროებათა მიხედვით, რომელი კლასგარეშე აქტივობებია რეკომენდებული სხვადასხვა ტიპის ბავშვებისთვის, უნდა ჩაერთონ თუ არა მოსწავლეები ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის მოსამზადებელ (მათ შორის – სარემონტო, დასუფთავებისა და კეთილმოწყობის) სამუშაოებში, როგორ შეიძლება უკვე გამოყენებული საკანცელარიო მასალების მეორეული გამოყენება, რომლებია ის უსარგებლო ნივთები, რომლებსაც აუცილებლად წააწყდებით სასკოლო ბაზრობებზე, მაგრამ იშვიათად თუ გამოგადგებათ, უნდა უყიდონ თუ არა მშობლებმა შვილებს სწავლის პირველი დღისთვის კაშკაშა ნივთები და ა.შ.

ამ სტატიების ნახვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ისევე შეუძლია, როგორც მე – ინტერნეტი ხომ ყველასთვის ღიაა, ამიტომ ციტირებას არ მოვყვები; პირად მოგონებებზე დაყრდნობით რამდენიმე მცირე რეკომენდაციას ჩამოვწერ, რომლებიც შესაძლოა მასწავლებლებსაც გამოადგეთ და მშობლებსაც.

* სკოლაში 5 წლისა მივედი. 6-ისა ნოემბრის ბოლოს გავხდი. იმდროინდელი მძიმე სოციალური მდგომარეობისა და ჩემი სკოლაში მიყვანის გადაწყვეტილების ნაუცბათევობის გამო ჩანთით მეზობელმა უზრუნველმყო. კაბა არ მახსოვს – როგორც ჩანს, არც მაშინ ვანიჭებდი ტანსაცმელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ახლაც მგონია, რომ განსაკუთრებული ნივთები ზრდასრულებისთვის უფროა, ვიდრე ბავშვებისთვის. სოციალური სტატუსის გამყარებას უფრო ემსახურება, ვიდრე ბავშვის საჭიროებას.

* არდადეგებს მუდამ ბებია-ბაბუების სოფლებში ვატარებდი და თუ რომელიმე თანაკლასელი, მაგალითად, ზღვაზე გადახდენილ თავგადასავლებს მოჰყვებოდა, ცნობისმოყვარეობისა და სულ ცოტა გულდაწყვეტის განცდა მეუფლებოდა. ნუ დაელოდებით ბავშვებისგან თავგადასავლების გრძელ სიას ზაფხულის არდადეგების შემდეგ – შესაძლოა, მნიშვნელოვანი არაფერი გადახდენიათ თავს, ან გადახდათ და საკმარისი მნიშვნელობა არ მიანიჭეს. თუ ვინმე იტყვის, რომ მოსაწყენი ზაფხული ჰქონდა, ლინდგრენის პერსონაჟები გაახსენეთ – რა მშვენივრად ერთობოდნენ, მაგალითად, სალტკროკელები იმ უბრალო ზაფხულს, როცა განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა.

* ჰკითხეთ ახალი ნაცნობების, მეგობრების ამბები – ახალი ურთიერთობები ხომ გაზრდის საუკეთესო საშუალებაა.

* თითქმის 20 წლამდე მეგონა, რომ „კარგი ტიპები“ არ საუზმობდნენ. მეტიც – საერთოდ არ ჭამდნენ. და ეს გულგრილი დამოკიდებულება საკვების მიმართ რაღაცნაირად მომხიბვლელი მეჩვენებოდა. მარტო არ ვარ, ბევრს მიაჩნია ასე, ამიტომ უნდა ვეცადოთ, ავუხსნათ ბავშვებს მსუყე საუზმისა და სავალდებულო სამხრის, ჯანსაღი და კომბინირებული კვების მნიშვნელობა და იმაშიც დავარწმუნოთ, რომ შინიდან ხილის ან სხვა ჯანსაღი სასუსნავის წაღება კარგია.

* სკოლის წლებში ჩემი ყველაზე ერთგული მეგობარი ფოტოაპარატი იყო. თუ პატარებისთვის რამის ჩუქებას გადაწყვეტთ, ისეთი ნივთი აჩუქეთ, რაც მათ უნარებს განავითარებს, ახალ ინტერესებს გაუჩენს.

* ჰკითხეთ რაზე ოცნებობენ, რას სურთ მიაღწიონ წლის ბოლომდე, ჩაინიშნეთ მათი სურვილები და გაახსენეთ ერთი, ორი, რამდენიმე წლის შემდეგ. კარგი და მხიარული გასართობია წარსულში დარჩენილი საკუთარი სურვილებისთვის თვალის გადავლება. მიგახვედრებს, როგორ გაზრდილხარ, რამდენი რამ შეცვლილა. ერთგვარი სავარჯიშოა საკუთარი თავის შესაცნობად.

* დაბოლოს, იმისთვის, რომ მივიღოთ, უნდა გავცეთ. აუცილებლად დაფიქრდით იმაზე, რას გააკეთებთ წელს ისეთს, რაც აქამდე არ გაგიკეთებიათ, რას შესთავაზებთ თქვენს მოსწავლეებს, რას წაიკითხავთ, რის მიღწევას დაისახავთ მიზნად.

დავით გორგილაძე

ფართოდ დახუჭული თვალები

გზაზე აბრაამი მოდიოდა. ჩვენთან შეჩერდა, აბრაამი მქვიაო – გაგვეცნო. სალამი აგვართვა. ღვინით მთვრალსა ჰგავდა, ოღონდ ზომიერად მთვრალს. არც რომ იქითაა და არც რომ აქეთ, არამედ შუაში. ფეხშიშველა მოვიდა, ფეხსაცმელები ხელთ ეპყრა. მშობლიურ მიწაზე ასე დავაბიჯებო – აბრაამმა თქვა. ამ ნათქვამში ბევრი გალაკტიონი იყო. მე რომ ვსველდები, ფეხსაცმელები მაინც მშრალი რჩებაო. როცა დაინახა, რომ სტუდენტი გოგონა ეწეოდა, ეგ არაფერიო – დაამშვიდა, თვითონაც ამოიღო ფილტრიანი და გააბოლა...

ამ ზაფხულს, სტუდენტებს ზედამხედველად გავყევი საველე პრაქტიკაზე, თერთმეტი დღითა და ათი ღამით. დიდად არც ველისა გამეგება რაიმე და მითუფრო არც მასზედ პრაქტიკის, მაგრამ თავ ზემოთ ძალა არ აღმოჩნდა და ბედს აღარ გავუძალიანდი. შარშანდელი, სათაფლიაში გადახდენილი ფათერაკების ხსოვნა უფრო მაშინებდა და მიკლავდა გულს, ათი დღე-ღამე უწყლობაში რომ გავატარე. ამჯერად ლაგოდეხის ნაკრძალში ვიყავით დაბანაკებულნი, გურგენიანის ჩანჩქერიდან რამდენიმე კილომენტრში. აქ წყალი ოხრად მოდიოდა – გინდაც დასალევი, გინდაც ჩასაყურყუმელავებელი. დიდად ლამაზი რამე ყოფილა ეგ ჩანჩქერი. ჩვენი მთავარი საქმე იქაურობის დასუფთავება იყო. აზიზად და გულმოდგინედ ვეკიდებოდით ამ მოვალეობას.

...და გვითხრა აბრაამა ამ მთისა და იმ ბარისა, თავისი ცხოვრებისა, ამ ქვეყნის სიყვარულისა, იმ ბუნების მადლისა. გონება ისე არ მეხედნება, ტყავში ისე ვერ ვეტევი, მუხლი ისე არ მემორჩილება, ყოველწლეულ ამ მიწასა და ამ ხეებს თუ არ ჩავეხუტეო. საქმე შეგვიქო, ჭკუა გვასწავლა და დასასრულს თავისი ფილტრიანი იქვე მოისროლა.

ასეთი იყო აბრაამი, მაგრამ მხოლოდ აბრაამი არ იყო ასეთი. აბრაამს იქ ორეულები ჰყავდა, რომლებიც ჰგავდნენ მას არა იერსახით ან კეფაზე ხალით, არამედ სამშობლოს სიყვარულით. სიყვარულით, რომელიც აბრაამებს სხეულში მეტასტაზებივით აქვთ გამჯდარი, ძარღვებში მდინარესავით დაუდით. ნაღდი სიყვარულით.

გურგენიანის ცხოვრება ეგეთია. იქაურობას ზღვა ხალხი სტუმრობს – ბევრი ქართველი და ბევრიც უცხოელი. ერთი ისაა, რომ ამათ შორის განსხვავება დიდზე დიდია. არა, გარეგნულად კი ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ განსხვავებული ქცევა აქვთ გამჯდარი გენებში: ტურისტები ქვემოდან ცეცხლშენთებულებს ჰგვანან და როცა აღმართს ან კლდეს მიუახლოვდებიან, თითქოს მუხლი უმაგრდებათ. თან მიაქვთ საძილე აღჭურვილობა და მხოლოდ იმდენი საკვები, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ გრძელსა და რთულ გზაზე გული არ შეუღონდეთ. უკან გამობრუნებისას კი თავიანთი ნაგავი უკან ჩამოაქვთ და ურნაში ყრიან. ქართველების უმეტესობა ტლანქად მიაბიჯებს და ვერ გაამტყუნებს კაცი - ხელში უჭირავთ კარგი სამწვადე, ნიგოზივით ხორცი, ცივად მოხარშული დედალი, კონტეინერში ალყა-ალყა ჩალაგებული თევზი, საგანგებოდ შემწვარი კატლეტები, დედასავით საყვარელი კახური პურები, უშველებელი საზამთრო, ფანტა-კოკა-კოლა-სპრაიტი, ქორწილის გადასახდელად საკმარი ღვინო და ჭირვეული მსმელებისთვის – კონიაკი. ანუ, ზუსტად იმდენი საჭმელი, რამდენიც საკმარისია იმისთვის, რომ გრძელსა და რთულ გზაზე გული შეგიღონდეს. სასმელი კი იმდენი, რამდენიც საკმარია საიმისოდ, რომ დიდებული სილამაზის სანახავად კლდეებზე აბობღებულმა ვერაფერი დაინახო.

ჭამონ კაცო. ღმერთმა შეარგოთ. ყველას თავისი საქმე და საკეთებელი აქვს, მაგრამ საათივით აწყობილ ქვეყანაში, სადაც ადამიანები გარემოს, და შესაბამისად საკუთარ თავს, პატივს სცემენ, მათი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც მათი ნაგავი სხვის სხეულსა და ცხვირს შეაწუხებს. ზღაპრების კითხვა მიყვარს, მაგრამ წერა არ გამომდის. ჰოდა, საქართველო სულაც არაა ასეთი, საათივით აწყობილი ქვეყანა. მრავალჭირნანახში თავზესაყრელი თავისუფლებაა. იმდენი თავისუფლება, რომ ვის აჩუქო აღარ იცი.

იმ 10 დღის მანძილზე, ჩანჩქერისა თუ ნაკრძალის დალაგების პროცესში, 100-ჯერ მაინც მოვისმინეთ ღვთისგან დალოცვილი ქართული ბუნებისა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის სადღეგრძელო. მერე კი – იმ ასივე მიგდებული ბოთლის აღება მოგვიწია, რომლიდან გადმოდენილი სითხითაც ამ სადღეგრძელოებს ამბობდნენ. მარტო ბოთლი რა სახსენებელია, ვაჟკაცები ყველაფერს ხელუხლებლად ტოვებდნენ (ვარგისი საკვების გარდა): პოლიეთილენის პარკებს, რომლებშიც ეს საკვები იყო მოთავსებული; ერთჯერად თეფშებს – ცხიმით მოთხვრილს; გამოშიგნული საზამთროს ქერქებს; კონსერვის ქილებს; საცვლებსა და ჩუსტებს რომლებითაც ჩანჩქერის ქვეშ შევიდნენ; სიგარეტის ნამწვებს, კოლოფებზე რომ აღარაფერი ვთქვა. ალაგ-ალაგ ვხვდებოდით ტარიელ-ავთანდილების თანმხლები მანდილოსნების მიერ გამოცვლილ ქალის საფენებს. ამ დროს ხელაპყრობილები ვლოცავდით მათ, ვინც მხოლოდ ბოთლები და კონსერვის ქილები დაგვიტოვა.

თუმცა, ყველა მთვრალი ქართველი იმდენად მთვრალი როდია, რომ მთელ დინგი-დუნიას დაანახოს საკუთარი ფეკალიები. გურგენიანის ჩანჩქერთან, ზოგიერთები, სიფხიზლის უკანასკნელ მარცვალს იმისთვის იყენებენ, რომ თავიანთი ნაგავი ქვებს შორის, ხეებს მიღმა ან გამოქვაბულებში დამალონ. მერე კი ფართოდ დახუჭული თვალებითა და ღიღინ-ღიღინით ჩამოიარონ სალი კლდეები და გზად „მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა“ დაამღერონ.

ზაფხულობით თქვენი სტუდენტები გვეხმარებიან, სხვა სეზონებზე კი დოღის ცხენებივით დავრბივართ იქაურობის დასასუფთავებლადო, მითხრა იქაურმა რეინჯერმა, ბატონმა ზაქრომ, საკუთარი საქმის მოყვარულმა და გულიანმა კაცმა. მერე? რა ეშველება ამ საქმეს – მეთქი, ვკითხე. ორი-სამი წელიწადიც უნდა გავუძლოთ და მერე აზროვნება შეეცვლებათ და საქმესაც ეშველებაო, მიპასუხა. ამინ იყოს – მეთქი, ვუთხარი.

ამასწინათ, ერთმა ჩემმა Facebook-ელმა მეგობარმა დაწერა, რომ გარემოს მიმართ ხალხის ასეთი გულგრილობა სოციალურ-პოლიტიკურ-მატერიალური ფონის ბრალია. მისი არგუმენტებიც ბოლომდე ჩავიკითხე და იმათიც, ვინც ამ აზრს მხარი აუბა, მაგრამ ვერაფერს მივხვდი. მის მიერ დასახელებული მიზეზი და დამდგარი შედეგი ისევე შორს დგანან ერთმანეთისგან, როგორც გია სურამელაშვილი და მაღალ-ყელიანი სვიტრი. განა იმ ადგილას მოსაქმება, სადაც ჭამ და რომლის სადღეგრძელოსაც ამბობ, ჯიბეში ფულის ნაკლებობის ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის ბრალია? ქართული ოცნების? იქნებ უფრო ნაციონალური მოძრაობის? სად ერეკლეო...

წამოსვლის წინ, როცა კარვები ავშალეთ და თერთმეტი დღის ნაკვალევი მოვსპეთ, წამით გავივლე ტვინში: იქნებ ზაქროს ნახსენებმა სამმა წელმა ათ დღეში გაიარა და საქმესაც ეშველა - მეთქი, მაგრამ ქართველთა სუფრაზე მიმავალნო, იმედები დატოვეთ გარეთ. ფიქრი დასრულებული არ მქონდა, რომ ბილიკს გავხედე. გზაზე კი – აბრაამი მოდიოდა.

ნინო ჭიაბრიშვილი

როგორ დავეხმაროთ ბავშვს, გახდეს ყურადღებიანი

პირველ რიგში, ყურადღების მრავალი განმარტებიდან ერთ-ერთს შემოგთავაზებთ: გონების რაღაცისადმი მიმართვის აქტი ან მდგომარეობა.

ახლა კი, იმის შესახებ, როგორ დავეხმაროთ ბავშვებს ყურადღების განვითარებაში.

1 ვუსმენთ ზარს

დარეკეთ ზარი და სთხოვეთ წრეში მჯდომ ბავშვებს, მოუსმინონ ზარის ვიბრაციას. უთხარით, ჩუმად ისხდნენ და ხელი მხოლოდ მაშინ ასწიონ, როცა ზარის ხმა შეწყდება. სთხოვეთ, კიდევ ერთი წუთი ისხდნენ ჩუმად და ყური დაუგდონ სხვა ხმებს, რომელსაც ზარის შეწყვეტის შემდეგ გაიგებენ. ჩამოუარეთ ბავშვებს და სთხოვეთ ისაუბრონ იმ ხმების შესახებ, რომელიც ამ ერთი წუთის განმავლობაში მოესმათ. ეს სავარჯიშო არა მხოლოდ სახალისოა და ბავშვებს გამოცდილების გაზიარების გამო მოსწონთ, არამედ ნამდვილად ეხმარება მათ დააკავშირონ აწმყოს კონკრეტული მომენტი და მათეული აღქმის მგრძნობელობა.

2 ცხოველები სუნთქავენ

დაურიგეთ თითოეულ ბავშვს რბილი სათამაშო (ან ნებისმიერი მცირე ზომის საგანი). თუ ოთახში საკმარისი ადგილია, სთხოვეთ ბავშვებს დაწვნენ იატაკზე და რბილი სათამაშოები მუცელზე დაიდონ. უთხარით, რომ ერთი წუთის განმავლობაში ჩუმად იყვნენ, ყური დაუგდონ საკუთარ სუნთქვას, დააკვირდნენ როგორ მოძრაობენ რბილის სათამაშოები ზევით–ქვევით, ასევე მოუსმინონ საკუთარ სხვა გრძნობებსაც. სთხოვეთ წარმოიდგინონ, თითქოს მათ თავებში მოსული ფიქრები ბუშტებად გადაიქცნენ და გაფრინდნენ. რბილი სათამაშოს მუცელზე დადება ამ სავარჯიშოს ხალისს მატებს და საშუალებას აძლევს ბავშვებს დარწმუნდნენ, რომ აუცილებელი არ არის ხალისიანი გასართობი აქტივობა მუდამ ხმაურიანი და ქაოსური იყოს.

3 დაჭიმვა და რელაქსაცია

იატაკზე დაწოლილ ბავშვებს სთხოვეთ დახუჭონ თვალები და სხეულის ყველა კუნთი შეძლებისდაგვარად მაგრად დაჭიმონ. უთხარით დაჭიმონ ფეხის თითები და ტერფები, კუნთები ბარძაყებზე, თეძოები, მუცელი, შეკრან მუშტი, წამოსწიონ მხრები იატაკიდან, ისე რომ თავი უმოძრაოდ ჰქონდეთ. სთხოვეთ რამდენიმე წამის განმავლობაში ასეთ დაჭიმულ მდგომარეობაში იყვნენ, ხოლო შემდეგ მთლიანად მოდუნდნენ. სხეულისა და გონების „მოდუნების" ეს სახალისო აქტივობა ბავშვებს „არსებობის" ხელოვნების გააზრებაში ეხმარება.

4 უსუნე და თქვი

გადაეცით ბავშვებს რაიმე სურნელოვანი, მაგალითად, ფორთოხლის ან ვაშლის ნაფცქვენი, ლავანდის ან ჟასმინის ყვავილი. სთხოვეთ დახუჭონ თვალები და მთელი ყურადღება მხოლოდ საგანზე გადაიტანონ. არომატი (სხვა საგნებთან ერთად!) მართლაც შეიძლება იყოს შფოთვისგან თავდაღწევის მძლავრი ინსტრუმენტი.

5 შეხების ხელოვნება

მიეცით თითოეულ ბავშვს რაიმე საგანი, მაგალითად, ბურთი, ბუმბული, რბილი სათამაშო, ქვა და ა.შ. სთხოვეთ დახუჭონ თვალები და პარტნიორს აღუწერონ, მათი აზრით, რას გრძნობს საგანი. შემდეგ სთხოვეთ, რომ პარტნიორებმა ადგილები გაცვალონ. ეს და წინა სავარჯიშო მარტივი, თუმცა საიმედო გზაა ვასწავლოთ ბავშვებს საკუთარი და სხვისი განცდების გამიჯვნა და განსხვავებული გამოცდილებისადმი დადებითი დამოკიდებულება.

6 გულისცემა

სთხოვეთ ბავშვებს ერთი წუთის განმავლობაში ადგილზე იხტუნონ. შემდეგ დასხდნენ და ხელები გულთან მიიდონ. უთხარით დახუჭონ თვალები, იგრძნონ საკუთარი გულისცემა, სუნთქვა და დააკვირდნენ სხეულის სხვა ცვლილებებს.

7 გულახდილი საუბარი

დაჯექით ბავშვებთან ერთად და სთხოვეთ, ისაუბრონ საკუთარ გრძნობებზე. რას გრძნობენ? როგორ ხვდებიან, რომ სწორედ „ამას" გრძნობენ? სხეულის რომელი ნაწილით გრძნობენ? ჰკითხეთ, ყველაზე მეტად რომელი გრძნობები მოსწონთ.

ჰკითხეთ, რა შეუძლიათ გააკეთონ, რომ თავი უკეთ იგრძნონ, თუ არასასურველი გრძნობები ეწვევათ. გაახსენეთ, რომ ყოველთვის შეუძლიათ უსიამოვნო ფიქრების ბუშტებად გადაქცევა, დაჭიმვისა და მოდუნების სავარჯიშოს გამოყენება სიმშვიდის დასაბრუნებლად, საკუთარი სუნთქვისა და გულისცემის მოსმენა, თუკი მოდუნება სურთ.

იმედი მაქვს, რომ ყურადღების დასწავლის ამ სავარჯიშოებს ბავშვები ნებისმიერ დროს გამოიყენებენ, როცა დამშვიდება, დასვენება დასჭირდებათ და თავს უკეთ იგრძნობენ. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი დედამიწაზე ყველა ბავშვი ამ ინსტრუმენტებს გამოიყენებს. თუნდაც ერთი თაობის რა საოცარი ცვლილების მოწმე გავხდებით!

> **კლასის მართვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ მოსწავლეებს მასწავლებელთან. მუდმივად უნდა ვზრუნავდეთ პოზიტიური კავშირის განმტკიცებაზე, რათა შევძლოთ სასწავლო მიზნების განხორციელება.**

სახლში და მოჰყვა მთელ ისტორიას ბავშვის ცუდი ყოფაქცევის შესახებ. მას დიდხანს უსმენდნენ, მერე კი უთხრეს, რომ მშობლის ნაცვლად დეიდას ესაუბრებოდა და თუ სურვილი ექნებოდა, ამ ამბავს აუცილებლად გადასცემდნენ მშობელს. მასწავლებელმა ხმა ვეღარ ამოიღო. ბავშვის შესახებ ინფორმაცია ხომ ძალიან კონფიდენციალურია და მხოლოდ მშობელს შეიძლება გაანდო.

უპირველეს ყოვლისა, გვირჩევენ, კარგად მოვემზადოთ ორწუთიანი სატელეფონო საუბრისთვის. გადავამოწმოთ ტელეფონის ნომერი. ჩამოვწეროთ, რისი თქმაც გვინდა. პრეტენზიულ მშობლებთან დარეკვისას კი საჭიროა შევახსენოთ, ბოლოს როდის გავესაუბრეთ, უკვე მერამდენედ ვურეკავთ იმავე ან სხვა პრობლემის გამო.

დარეკვასაც თავისი ეტიკეტი აქვს. უნდა დავურეკოთ მაშინ, როცა სცალიათ: არც მეტისმეტად ადრე და არც მეტისმეტად გვიან. ვკითხოთ, სცალიათ თუ არა სასაუბროდ.

საუბარი მოსწავლის დადებითი მხარეების განხილვით უნდა დავიწყოთ. მშობლებს ძალიან სწყინთ, როცა შვილზე ცუდს ეუბნებიან. ვაგრძნობინოთ მშობელს, რომ მის შვილს ვაფასებთ, რომ მას ბევრი კარგი თვისება აქვს, მაგალითად, სკოლას ხშირად აღარ აცდენს, ან მხოლოდ ერთხელ არ ჰქონდა საშინაო დავალება, მაგრამ მისი ზოგიერთი ქცევა გამოსასწორებელია. ბოლოს შეიძლება ვუთხრათ, რომ მზად ვართ, ყველანაირად დავეხმაროთ და სასურველია, მშობელმაც გააცნოს ბავშვს სკოლის მოთხოვნები და მაღალი მოლოდინები. მერე კი აუცილებლად შევატყობინოთ მშობლებს, თუ სიტუაცია გამოსწორდა; თუ არა, კიდევ ერთხელ ვთხოვოთ დახმარება; ვაცნობოთ ბავშვის წარმატებები აკადემიურ და სოციალურ სფეროებში.

> **თუ ვაპირებთ, რომ მშობელს ბავშვის რომელიმე პრობლემური ქცევის შესახებ ვაცნობოთ, მომზადებული უნდა გვქონდეს რჩევაც – როგორ შეიძლება ამ ქცევის გამოსწორება.**

როდესაც მშობლებს შევხვდებით, აუცილებლად უნდა მოვიკითხოთ მათი შვილი. ვკითხოთ, რით ერთობა ის თავისუფალ დროს, ვის უკავია მნიშვნელოვანი ადგილი მის ცხოვრებაში, რა არის მათი შვილის საუკეთესო თვისება, როგორი იყო პატარაობისას. დავუმტკიცოთ მშობლებს, რომ მათი შვილების ამბები გვაინტერესებს.

გულისყურით მოვუსმინოთ მათ, როდესაც გვესაუბრებიან. მათ ბევრი ისეთი რამ იციან თავიანთ შვილებზე, რაც აუცილებლად გამოგვადგება.

მშობლებს ყოველთვის სურთ, შვილებს სწავლაში დაეხმარონ. რაც უფრო იზრდებიან ბავშვები, მით უფრო დამოუკიდებლები ხდებიან. გავაცნოთ მშობლებს სასწავლო პროგრამა და ვუთხრათ, როგორ შეიძლება დაეხმარონ შვილებს სასკოლო პროექტის მომზადებაში.

თუ ვაპირებთ, მშობელს ბავშვის პრობლემური ქცევის შესახებ ვაცნობოთ, მომზადებული უნდა გვქონდეს რჩევაც, როგორ შეიძლება ამ ქცევის გამოსწორება.

შევუწყოთ ხელი მშობლებს, ზოგიერთი საკითხის შესახებ გადაწყვეტილება თავად მიიღონ. მივაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც ამა თუ იმ საკითხის შესახებ აზრის ჩამოყალიბებაში დაეხმარება, მერე კი მათ დასკვნებს მოვუსმინოთ.

როგორც პირადად, ასევე საჯაროდ მადლობა გადავუხადოთ მშობლებს და დავაფასოთ მათი შრომა და თანადგომა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. How can parent tell if teachers are doing a good job? Larry David et. all. http://www.educationworld.com/a_admin/admin/admin367.shtml
2. Positive phone calls. Elena Aguilar. http://www.edutopia.org
3. Get parents on the line to dial down mischief. Katie White. TES, 20 June, 2014

ქეთევან ოსიაშვილი

შეფასების როლი და მნიშვნელობა ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში

„შეფასების პროცესის სწორად წარმართვა მხოლოდ აკადემიური წარმატებების მისაღწევად არ არის საჭირო; ის თვითშეფასებისა და შეფასების უნარების ჩამოყალიბების თავისებურ ინსტრუმენტსაც წარმოადგენს.“

ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში შეფასებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. განუზომელია მისი როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესის სრულყოფასა და გაუმჯობესებაში. ამასთან, სირთულეები, რომლებსაც ბავშვის სწავლა-აღზრდის დროს ვაწყდებით, შესაძლოა სწორედ შეფასებას უკავშირდებოდეს. არცთუ იშვიათად მოსწავლესა და მასწავლებელს, მშობელსა და მასწავლებელს შორის ურთიერთობის გართულება შეფასების პროცესთან არის დაკავშირებული.

რამდენად იძლევა დღევანდელი შეფასების სისტემა შეფასების პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვისა და მოსალოდნელი სირთულეების თავიდან აცილების შესაძლებლობას? არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმის პროცესში ყველაზე დიდი ცვლილება სწორედ შეფასების სისტემამ განიცადა.

ამასთან, ქართული პედაგოგიური საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნული ცვლილებების მიმართ საკმაოდ არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. პედაგოგთა დიდი ნაწილი უარყოფითად შეხვდა განხორციელებულ ცვლილებებს. თავიანთ დამოკიდებულებას ისინი იმით ხსნიდნენ, რომ, მათი აზრით, გართულებული შეფასების სისტემა უამრავ თავსატეხს გაუჩენდა ისედაც გადატვირთულ პედაგოგს, რომელიც გამოსავალს იმაში იპოვიდა, რომ არაფორმალურად მაინც ისევ შეფასების ძველ სისტემას დაუბრუნდებოდა. თუ შეფასებასთან დაკავშირებით ჩვენს სკოლებში არსებულ მდგომარეობას თვალს გადავავლებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოლოდინი ერთგვარად გამართლდა კიდეც. სამწუხაროდ, დღეს შეფასება, თავისი მნიშვნელობის მიუხედავად, სასწავლო პროცესის უბრალო დანამატად არის ქცეული და ბავშვები ინფორმაციას საგაკვეთილო პროცესში გამომჟღავნებული ცოდნის შეფასების შესახებ ზარის დარეკვის შემდეგ და მასწავლებლის საკლასო ოთახიდან გასვლის წინ იღებენ. ამასთან, ეს შეფასებები, როგორც წესი, უბრალოდ ქულებით არის გამოხატული. ხშირად ბავშვები ამ ქულებს მხოლოდ საკლასო ჟურნალში ჩახედვის შემდეგ იგებენ, რაც მათში უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდას ბადებს. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ართულებს ურთიერთობას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ერთი მეათეკლასელი ბიჭუნა, რომელმაც საკლასო ჟურნალში საკუთარი გვარის გასწვრივ მისთვის არასასურველი ნიშანი აღმოაჩინა, უკმაყოფილებას და გაოცებას ვერ მალავდა: „ვერ ვხვდები, რატომ დამიწერა დღეს მასწავლებელმა 7, ორი დღის წინ კი – 10. ჩემი დღევანდელი პასუხი ხომ ადრინდელზე გაცილებით უკეთესი იყო!“

მართალია, შეფასების ამჟამად არსებული სისტემა საკმაოდ დიდ შრომასა და მომზადებას მოითხოვს პედაგოგისგან, მაგრამ შეფასების პრინციპების (სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა) დაცვა გაცილებით უმტკივნეულოს ხდის აღნიშნულ პროცესს და მოსწავლეს საკუთარი შეფასების მიმართ სამართლიანობის გრძნობას უღვივებს. თუ ბავშვს თავისი ცოდნის შეფასების შემდეგ კითხვები უჩნდება და მიღებული შეფასების დასაბუთებას მოითხოვს, ჩვენ მიერ გამოყე-

ნებული შეფასების მეთოდები გადახედვას და სრულყოფას საჭიროებს. ხშირად ქულის დაწერა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბავშვმა ობიექტურად და სამართლიანად მიიჩნიოს შეფასება – სასურველია, დაწერილ ქულას ჩვენი კომენტარები და არგუმენტირებული მსჯელობაც ახლდეს თან. უფრო მეტიც: ხშირად ბავშვი ჩვენი გამომეტყველებითაც იღებს ინფორმაციას მისი ცოდნისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. ერთი გოგონა აღფრთოვანებული იყო იმით, რომ, როგორც თავად ამბობდა, მასწავლებელი კმაყოფილებით და ღიმილით ისმენდა მის პასუხს. ყოველივე ამის შემდეგ კი მან გაოცება და ბრაზი ვერ დამალა, როცა ამ მასწავლებლისგან მისთვის არასასურველი შეფასება მიიღო. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვებს არავერბალური კომუნიკაციის უნარი საკმაოდ კარგად აქვთ განვითარებული და ჩვენი მიმიკიდან ხშირად მეტ ინფორმაციას იღებენ, ვიდრე სიტყვებიდან. ამდენად, სასურველია, შეფასების დროს პედაგოგის გამომეტყველება, კომენტარები და დაწერილი ქულები თანხვდებოდეს ერთმანეთს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასურველია, შეფასებითი ურთიერთობა მთელი გაკვეთილის განმავლობაში, გაკვეთილის ყოველ ეტაპზე მიმდინარეობდეს. ცალკეული აქტივობების შემდეგ შეფასების სახით კომენტარებს მაინც უნდა ვიყენებდეთ. მას გაკვეთილის ბოლოსთვის არ უნდა ვიტოვებდეთ.

რეფორმის შედეგად შეფასების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები განსაკუთრებით მტკივნეული დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის აღმოჩნდა. მათი აზრით, ბავშვებს ძალიან უყვართ მაღალი ნიშნების მიღება და ქულებით შეფასებაზე უარის თქმა უმცროსკლასელთა სასწავლო მოტივაციის დაქვეითებას შეუწყობს ხელს. თუმცა დაწყებითი კლასების პედაგოგთა შორის მრავლად არიან ისეთებიც, რომლებიც კმაყოფილებას ვერ მალავენ განხორციელებული ცვლილებების გამო და აცხადებენ, რომ ნიშნებზე უარის თქმა მათ ბავშვებთან ურთიერთობისას მრავალი პრობლემის დაძლევაში დაეხმარა. პედაგოგების ასეთი პოზიცია ჩვენთვის გასაგებია, ვინაიდან დაწყებით კლასებში პატარები თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად ამოქმედებით პედაგოგის ყოველი დავალების შესრულებას ცდილობენ, თუმცა, მათი სასკოლო მზაობის დონიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ზოგი წარმატებით ართმევს თავს დავალებას, ზოგი კი მარცხს განიცდის. ნიშნით შეფასების შემთხვევაში მასწავლებელს უწევს როგორც მაღალი, ასევე დაბალი ქულების დაწერა. დაწყებითი კლასების მოსწავლეს დაბალი ქულებისა და უარყოფითი შეფასების მიღება ხშირად სასწავლო მოტივაციას უქვეითებს და სკოლისა და სწავლის მიმართაც უარყოფითად განაწყობს. კომენტარებით კი, თუ მათში კეთილგანწყობას გამოვამჟღავნებთ, ბავშვი წარმატების იმედს არ დაკარგავს. ვფიქრობთ, დაბალი ნიშნის დაწერის ნაცვლად უკეთესი იქნება, თუ უმცროსკლასელებთან ასეთ კომენტარებს გამოვიყენებთ: „კიდევ ერთხელ სცადე, აუცილებლად გამოგივა“; „გულს ნუ გაიტეხ, შეეცადე, დაკვირვებით წაიკითხო – პასუხს ნამდვილად იპოვი“; „ხანდახან ყველა ცდება, გულს ნუ გაიტეხ, აუცილებლად იპოვი სწორ პასუხს“; „ყოველთვის გვჯეროდეს საკუთარი თავის, შენ უფრო მეტი შეგიძლია“, – და ა.შ. კეთილგანწყობა, სიყვარული, ნდობა, თანადგომა ბავშვს ხშირად შეუძლებელს აკეთებინებს.

დაბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, რომ შეფასების პროცესის სწორად წარმართვა მხოლოდ აკადემიური წარმატებების მისაღწევად არ არის საჭირო; ის თვითშეფასებისა და შეფასების უნარების ჩამოყალიბების თავისებურ ინსტრუმენტსაც წარმოადგენს, ვინაიდან როგორც ერთი, ისე მეორე მხოლოდ შეფასებითი ურთიერთობის პროცესში ყალიბდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული უნარები განვითარების პიროვნულ დონეზე მდგომი ადამიანის მახასიათებლებად არის მიჩნეული, ადვილი მისახვედრი იქნება, რაოდენ მნიშვნელოვანია პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში შეფასებითი ურთიერთობების სწორი მიმართულებით წარმართვა.

შეფასების პრინციპების (სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა) დაცვა გაცილებით უმტკივნეულოს ხდის აღნიშნულ პროცესს და მოსწავლეს საკუთარი შეფასების მიმართ სამართლიანობის გრძნობას ულვივებს.



ნინო ლომიძე

თავისუფალი წერის ტექნიკა

ჩვენი მოსწავლეებისგან ხშირად გაგვიგონია სევდანარევი და უიმედო ფრაზები: „ამაზე რა დავწერო?“ „ეს რა თემაა, რა უნდა მოვიფიქრო?“ „გუშინ დავიწყე საშინაო დავალების შესრულება და არ ვიცოდი, როგორ დამეწყო“, – და ა.შ. დავალების შეუსრულებლობის გასამართლებელი საბუთების ძიებისას მათი ფანტაზია ნამდვილად უკიდეგანოა, აი, მითითების მიხედვით წერითი დავალების შესრულებისას კი ეს უნარი უკვალოდ აორთქლდება ხოლმე.

წერითი უნარის გასაუმჯობესებლად მრავალი ტექნიკა და სავარჯიშო არსებობს. ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე, თავისუფალი წერის ტექნიკაზე ვისაუბრებთ. ეს ტექნიკა საუკეთესო საშუალებაა ზემოთ აღწერილი განწყობის აღსაკვეთად, რადგან მოსწავლე სწორედ იმ კითხვაზე პასუხის გაცემით იწყებს მუშაობას, რაც, მისივე თქმით, ხელს უშლის დავალების შესრულებაში.

რისთვის გამოგვადგება თავისუფალი წერის ტექნიკა?

- „თეთრი ფურცლის შიშის“ დასაძლევად
- „არ ვიცოდი, რაზე მეწერა“ არგუმენტის გასაბათილებლად
- სტატიის, მოხსენების, პრეზენტაციის ტექსტის დასაწერად
- მოცემული თეზისის მიხედვით სხვადასხვა თვალსაზრისის ჩამოსაყალიბებლად
- საკუთარი განცდების, ემოციების, განწყობის ფურცელზე გადმოსატანად და „დასალაგებლად“
- საზოგადოდ, წერითი უნარის გასაუმჯობესებლად

მეთოდის შესახებ

თავისუფალი წერა არსით „იდეების გენერირების“ პროცესსაც წააგავს. ეს მეთოდი გულისხმობს 10-15 (დასაწყისისთვის კი 5-10) წუთით მექანიკური ჩანაწერების კეთებას ყოველგვარი რედაქტირებისა და წინასწარი მომზადების გარეშე. მოსწავლე სუფთა ფურცლის დანახვისთანავე იწყებს წერას და ყოველგვარი „შემაკავებელი ფაქტორის“ (მაგალითად, ორთოგრაფიაზე, კალიგრაფიაზე, ფორმასა და ნაშრომის სტრუქტურაზე ფიქრისა და ზრუნვის) გარეშე მუშაობს. წერს ყველაფერს, რაც აზრად მოუვა. მთავარი ამოცანაა გონებაში არსებული სურათხატების, მოსაზრებების, შეხედულებების გამოტარება „ტვინიდან ხელში, ხელიდან ფურცელზე“. საინტერესოა, რომ ამგვარ მეთოდს იყენებდა გოგოლი. ერთ ახალბედა მწერალს, რომელიც აპათიას და შემოქმედებით კრიზისს უჩიოდა და წუწუნებდა, ვერაფერს ვწერო, მან ურჩია: „აიღეთ კალამი, დაიდეთ წინ ფურცელი და დაიწყეთ წერა: „დღეს ვერაფერს ვწერ... ვერაფერს ვწერ...“ – და ასე, სანამ რაიმე საინტერესო აზრი არ დაგებადებათ. ეს კი უცილობლად მოხდება. შემოქმედთა უმრავლესობა სწორედ ასე მუშაობს, რადგან შთაგონება იშვიათი სტუმარია“.

მნიშვნელოვანი და აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობები:

- თავისუფალი წერა აუცილებლად დროში ლიმიტირებული უნდა იყოს.
- შესაძლებელია რაოდენობრივი ლიმიტირებაც (დაწერთ ორ გვერდს – არც მეტს, არც ნაკლებს).

- არ ღირს მეთოდის მეტისმეტად ხშირად გამოყენება. შეგიძლიათ, მოაწყოთ „განტვირთვის დღეები“ თქვენ მიერვე შემუშავებული პერიოდულობით და საკლასო ოთახშივე დააწერინოთ მოსწავლეებს.
- ნამუშევარი არ ფასდება ნიშნით და არ სწორდება (გაცნობა სავსებით საკმარისია).
- მოსწავლეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაძალოთ ნამუშევრის წარდგენა კლასის წინაშე, თუ თავად არ სურს.
- მეთოდის პირველად გამოყენებამდე შეიძლება ზოგადი მიმართულების მიცემაც: „წერეთ იმაზე, რაც თქვენ ირგვლივ ხდება, დაიწყეთ ოთახის აღწერით, გაიხედეთ ფანჯარაში, მოიფიქრეთ კითხვები და უპასუხეთ, გაიხსენეთ განვლილი დღე...“ ამასთან, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ლოგიკური კავშირი აბზაცებს შორის აუცილებელი არ არის, ისევე როგორც, საზოგადოდ, ტექსტის აბზაცებად დაყოფა.
- ყველაზე მარტივი გამოსავალია ერთი კონკრეტული, თუნდაც უმნიშვნელო საგნის აღწერა. თუ ესეც გაძნელდა, შეიძლება „დამხმარე კითხვების“ დასმა: „რა მიშლის ხელს? რატომ ვერ ვიწყებ წერას? როგორ მოვიქცე, რომ თუნდაც ერთი გვერდი დავწერო?“ – და ა.შ.
- აუცილებელია შეუსვენებლად წერა. დაწერილის გადაკითხვა არ შეიძლება.

თავის წიგნში „გენიალურობა შეკვეთით“ ფრანგი მწერალი მარკ ლევი აყალიბებს რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლებიც ამ მეთოდით ხელმძღვანელობისას უნდა გავითვალისწინოთ:

არ დაიძაბო

ნუ დაატან თავს ძალას და ნუ იქნები ორიენტირებული კონკრეტულ შედეგზე ან რაიმე ტიპის სარგებელზე (ნიშანზე, თავის მოწონებაზე, აზრების „დავარცხნაზე“...). მოეშვი და გათიშე „შინაგანი კრიტიკოსი“, რომელიც რაღაცებს გკარნახობს. ჩაეშვი წერის პროცესში. არ აქვს მნიშვნელობა, რას წერ და როგორ.

წერე სწრაფად და სხვა რამეზე ნუ გადაერთვები

თავისუფალი წერის თავისებურება ისაა, რომ უნდა წერო სწრაფად და შეუჩერებლად. არ

> **“** **თავისუფალი წერის თავისებურება ისაა, რომ უნდა წერო სწრაფად და შეუჩერებლად. არ გააკეთო ხანგრძლივი პაუზები, არ გადაიკითხო დაწერილი, არ გაასწორო პოსტ ფაქტუმ შემჩნეული შეცდომები.** **“**



„თავისუფალი წერა საკუთარი თავის რწმენასაც მატებს მოსწავლეს. მოკლე ხანში, მარტივად და ძალდაუტანებლად შესრულებული წერითი სამუშაო, რომელიც არც დაბალი შეფასების რისკს შეიცავს და არც წითელი კალმით აჭრელდება, სასარგებლოსა და სასიამოვნოს იშვიათ ტანდემსაც ქმნის.“

გააკეთო ხანგრძლივი პაუზები, არ გადაიკითხო დაწერილი, არ გაასწორო პოსტ ფაქტუმ შემჩნეული შეცდომები. დაიჭირე იმ წამს გონებაში გაელვებული აზრი და გადმოალაგე სიტყვების წყებად. მიჰყევი შინაგან ინერციას და დაივიწყე „მაკონტროლებლები“.

ერთადერთი შეზღუდვა დრო ან რაოდენობაა!

თუ ხელით წერ, წინასწარ განსაზღვრე რაოდენობა. დაიწყე ერთი გვერდით, შემდეგ თანდათან მოუმატე. თუ ბეჭდავ, განსაზღვრე დრო. დაიწყე მინიმალური ლიმიტით. არავითარ შემთხვევაში არ შეჩერდე, სანამ დრო არ ამოიწურება. ეს ერთადერთი რამაა, რაც გეკრძალება.

წერე ისე, როგორც შეგიძლია

წერა კი უცილობლად შეგიძლია. რასაც აკეთებ, არც მოხსენებაა და არც აუდიტორიის წინაშე წარსადგენი საპასუხისმგებლო ტექსტი. წერე ისე, როგორც ლაპარაკობ, როგორც ფიქრობ, ოღონდ ერიდე დაუკონკრეტებელ ფრაზებს (მაგალითად, ნაცვლად „რაღაცნაირი სახლისა“, დაწერე „მრავალსართულიანი სახლი“). შეეცადე, გონებაში მოიძიო სიტყვები, რომლებიც ზუსტად აღწერს კონკრეტულ მოცემულობას.

მიჰყევი ფიქრებს

საითაც არ უნდა გაუტიონ მათ. აზრი უცნაური ან გიჟურიც რომ მოგეჩვენოს, ჩაინიშნე.

გამოიყენე „გადამრთველი კითხვები“

„გადამრთველს“ ისეთ კითხვებს ვუწოდებ, რომლებიც ყურადღების გადასართველად და ფიქრების მიმართულების შესაცვლელად გამოგადგება. აი, რამდენიმე ნიმუში: „როგორ აღვუწერდი ამ სიტუაციას სრულიად უცნობ ადამიანს?“ „ამ სიტუაციაში სერიოზული შეცდომის დაშვება რომ მომესურვებინა, როგორ მოვიქცეოდი?“ „რაზე ვფიქრობდი, როცა?..“ „კიდევ რისი თქმა შემიძლია ამ სიტუაციაზე?“ „რა დამრჩა უთქმელი ან აღუწერელი?“

„თავისუფალი წერა საკუთარი თავის რწმენასაც მატებს მოსწავლეს. მოკლე ხანში, მარტივად და ძალდაუტანებლად შესრულებული წერითი სამუშაო, რომელიც არც დაბალი შეფასების რისკს შეიცავს და არც წითელი კალმით აჭრელდება, სასარგებლოსა და სასიამოვნოს იშვიათ ტანდემსაც ქმნის.“

თვითეფექტიანობისა და თვითრეგულირებული სწავლის სწავლება

ცვატა ბერძენიშვილი

მასწავლებელთა უმრავლესობა თანხმდება, რომ მოსწავლეებმა უნდა განივითარონ უნარ-ჩვევები დამოუკიდებელი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის (თვითრეგულირებული სწავლა და სწავლის მიმართ თვითეფექტიანობის განცდა). საბედნიეროდ, არსებობს მრავალი კვლევა, რომლებიც ერთგვარი გზამკვლევის როლს ასრულებს და გვაწვდის ინსტრუქციებს იმის შესახებ, როგორ შევადგინოთ დავალებები, სტრუქტურირებული საკლასო ინტერაქციები მოსწავლეებისთვის თვითრეგულირებული სწავლის უნარის განსავითარებლად. კვლევებმა ცხადყო, რომ მოსწავლეებს მაშინ უვითარდებათ აკადემიურად უფრო ეფექტიანი თვითრეგულირებული სწავლის უნარი და სწავლის ეფექტიანობის განცდა, როცა მასწავლებლები რთავენ მათ ხანგრძლივ პერიოდზე გაწერილ კომპლექსურ შინაარსიან დავალებებში. თვითრეგულირებული სწავლისა და თვითეფექტიანობის განსავითარებლად მოსწავლეები ერთგვარად უნდა აკონტროლებდნენ კიდეც საკუთარი სწავლის პროცესსა და პროდუქტებს. ვინაიდან თვითშეფასება და თვითმონიტორინგი მნიშვნელოვანია ეფექტიანი თვითრეგულირებული სწავლისა და თვითეფექტიანობის განცდის ფორმირებისთვის, მასწავლებლებს შეუძლიათ, დაეხმარონ მოსწავლეებს ამ უნარების განვითარებაში. ამისთვის უნდა ჩართონ ისინი სასწავლო პროცესისა და შედეგების შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში და შემდეგ მათვე მისცენ საშუალება, ამ სტანდარტების მეშვეობით გამოიტანონ დასკვნები საკუთარი პროგრესის შესახებ. დაბოლოს, ეს ეხმარება მოსწავლეებს, დაამყარონ თანამშრომლობითი ურთიერთობა თანატოლებთან, ეძებონ უკუკავშირი.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული ეს ნაბიჯი.

კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებს არ სურთ, მისცენ მოსწავლეებს მეტისმეტად ძნელი დავალებები და ამით მათი სასოწარკვეთილება გამოიწვიონ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა მოსწავლეებს უჭირთ სწავლა ან დარღვეული აქვთ დასწავლის უნარი. მეტიც – კვლევა გვიჩვენებს, რომ მოტივაციის ყველაზე მეტად გამაძლიერებელი და აკადემიურად მომგებიანი დავალება ის არის, რომელიც დააფიქრებს, მაგრამ ზედმეტად არ დატვირთავს მოსწავლეს.

კომპლექსური დავალებები მეტისმეტად რთული არ უნდა იყოს. ტერმინი „კომპლექსური“ ეხება დავალების დიზაინს (ჩანაფიქრის გაფორმებას) და არა მისი სირთულის დონეს. დიზაინის თვალსაზრისით

> **„თვითრეგულირებული სწავლის მხარდასაჭერად ყველაზე ეფექტიანია ის გზები, რომლებიც ასახავს თანამშრომლობითი ურთიერთობების გამოყენებას, ერთობის კლიმატს და პრობლემების ერთობლივ გადაჭრას.“**

დავალებები კომპლექსურია, როცა მათში რამდენიმე კითხვაა დასმული და მოიცავს შინაარსის დიდ ნაწილებს. ასეთებია პროექტები და თემატური თავები. ამასთან, კომპლექსური დავალებები დიდხანს გრძელდება და რთავს მოსწავლეს მთელ რიგ მეტაკოგნიტურ და კოგნიტურ პროცესებში. მაგალითად, ეგვიპტის პირამიდების შესწავლამ შესაძლოა მოითხოვოს წერილობითი მოხსენებების, რუკების, დიაგრამებისა და მოდელების მომზადება.

ნაკლებად მნიშვნელოვანი კომპლექსური დავალებებიც კი საკმაო ინფორმაციას აწვდის მოსწავლეს მისივე სასწავლო პროგრესის შესახებ. ეს დავალებები მისგან მოითხოვს ღრმა აზროვნებას და საგულდაგულოდ დამუშავებული პრობლემების გადაჭრაში ჩაბმას. ამ პროცესში მოსწავლეები ვითარდებიან და ხვეწენ თავიანთ კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს. მეტიც – ამგვარ დავალებაში წარმატების მიღწევა ზრდის მოსწავლის თვითეფექტიანობის განცდას და შინაგან მოტივაციას.

კონტროლი. მოსწავლეებისთვის არჩევანის მიცემით მასწავლებლებმა მათ შეიძლება მიანიჭონ თანაკონტროლის უფლება. როცა მოსწავლეებს აქვთ არჩევანი (მაგალითად, როგორ, სად, ვისთან ერთად იმუშაონ და ა.შ.), უფრო მოსალოდნელია, წარმატებას მიაღწიონ (ეს ზრდის თვითეფექტიანობას). ისინი უფრო და უფრო მეტი ძალისხმევით, უფრო და უფრო შეუპოვრად ეჭიდებიან პრობლემებს. ასევე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსწავლეთა ჩართვით დაგეგმვის, მიზნების დასახვის, პროგრესის მონიტორინგისა და შედეგების შეფასების დროს მასწავლებლები უნაწილებენ მათ სწავლის პასუხისმგებლო-



ბას. სწორედ ამას გულისხმობს მაღალეფექტიანი თვითრეგულირებული შემსწავლელის თვისებების გამომუშავება.

არჩევანის უფლება მოსწავლეს საშუალებას აძლევს, შეცვალოს მოცემული დავალების სირთულის დონე (მაგალითად, აირჩიოს უფრო მარტივი ან რთული საკითხავი მასალა, განსაზღვროს წერითი დავალების სახეობა და ოდენობა, გამოიყენოს წერისას ნასწავლი გამოთქმები და ა.შ.). მაგრამ რა ხდება, როცა მოსწავლე მცდარ არჩევანს აკეთებს? მაღალეფექტიანი, მაღალი დონის მასწავლებლები ძალიან ფრთხილობენ იმ არჩევანის განხილვისას, რომელსაც მოსწავლეს აძლევენ. ისინი თავდაპირველად რწმუნდებიან, რომ მოსწავლეს აქვს დამოუკიდებლად მოქმედებისთვის და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცოდნა და უნარები. მაგალითად, როცა მოსწავლეები სწავლობენ ახალ უნარ-ჩვევებსა და რუტინულ ქცევებს, მასწავლებლებმა მათ შესაძლოა გარკვეულ საზღვრებში მოქცეული არჩევანი მისცენ (მაგალითად, დაწერონ, სულ მცირე, ოთხი წინადადება, აბზაცი, თავი, ფურცელი და ა.შ., მაგრამ შეუძლიათ დაწერონ მეტიც).



ამასთანავე, მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლები მოსწავლეებს ასწავლიან სწორი გადაწყვეტილების მიღებას და აჩვენებენ ამის ნიმუშს. მაგალითად, როცა მოსწავლე პარტნიორს, მეწყვილეს ირჩევს, მასწავლებელი სთხოვს, დაფიქრდეს და გაითვალისწინოს, რას მოელის მისგან (მაგალითად, საერთო ინტერესსა და მონდომებას თუ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელთა განვითარებაც თავად სჭირდება). როცა მოსწავლე დროის რაციონალური გამოყენების თაობაზე აკეთებს არჩევანს, მასწავლებელი ეკითხება: „რა შეგიძლია გააკეთო, როცა საქმეს დაასრულებ? რა შეგიძლია გააკეთო ჩემი დახმარების მოლოდინში?“ ხშირად სამუშაო გრაფიკი კედელზეა გამოკრული, რათა მოსწავლეებმა გამოიყენონ მუშაობის დროს.

დაბოლოს, მაღალეფექტიანი მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ უკუკავშირს მათ მიერ გაკეთებული არჩევანის შესახებ და საკუთარ რჩევებს მიუსადაგებენ შემსწავლელის უნიკალურ ხასიათსა და თავისებურებებს. მაგალითად, შესაძლოა წაახალისონ ზოგი მოსწავლე, შეარჩიონ მოხსენების თემა იმ მომენტისთვის ადვილად ხელმისაწვდომი და მისაღები რესურსებიდან, ზოგი – ერთობლივი მუშაობისთვის, ნაცვლად დამოუკიდებლად მუშაობისა, იმაში დასარწმუნებლად, რომ მათ წარმატების მისაღწევად მეტი მხარდაჭერა აქვთ.

თვითშეფასება. მოსწავლეები აჩენენ, რომ თვითრეგული-

> **კვლევებმა ცხადყო, რომ მოსწავლეებს მაშინ უვითარდებათ აკადემიურად უფრო ეფექტიანი თვითრეგულირებული სწავლის უნარი და სწავლის ეფექტიანობის განცდა, როცა მასწავლებლები რთავენ მათ ხანგრძლივ პერიოდზე გაწერილ კომპლექსურ შინაარსიან დავალებებში.**

რებული სწავლის მეთოდების გამოყენება არ არის სახიფათო. ისინი ჩართულნი არიან მიმდინარე საქმიანობაში, აანალიზებენ როგორც თავად პროცესს, ისე მის შედეგებს, კონცენტრირდებიან პიროვნულ პროგრესზე და ეხმარებიან მათ შეცდომების ინტერპრეტაციაში. ეს მომავალში სწავლის გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა. ამ კონტექსტში მოსწავლეებს მოსწონთ და ეძებენ კიდეც რთულ დავალებებს, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში მონაწილეობის საფასური მცირეა. შეფასების კრიტერიუმების დადგენასა და საკუთარი პროგრესის შეფასებაში ჩართვა ამცირებს მოსწავლეთა შფოთვას, რომელიც ხშირად ახლავს თან შეფასებას, რადგან მოსწავლეებს შედეგის კონტროლის შესაძლებლობას აძლევს. მოსწავლეებმა შესაძლოა თვითონვე შეაფასონ თავიანთი ნამუშევარი იმ ნამუშევრის კრიტერიუმებთან მიმართებით, რომლებიც თავად, მასწავლებლებთან ერთად, აღიარეს „კარგად“. ისინი განიხილავენ სწავლის მათეულ მიდგომათა ეფექტიანობას და ცვლიან საკუთარ ქმედებას მის გასაუმჯობესებლად.

მაღალი დონის თვითრეგულირებული სწავლის კლასებში მოსწავლეებს საკუთარი სწავლის შესაფასებლად აქვთ როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური შესაძლებლობა. მაგალითად, ერთმა მასწავლებელმა სთხოვა მეოთხე-მეხუთეკლასელებს, ეწარმოებინათ რეფლექსიის ჟურნალი, სადაც აღწერდნენ მეწყვილესთან ან მცირე ჯგუფთან ერთად შექმნილ ალბათობისა და სტატისტიკის თამაშებს. ამ ჟურნალებში აღწერილი იყო ჯგუფურ პროცესსა და შედეგებში მათ მიერ შეტანილი წვლილი, ასევე – რა ასწავლა მათ ამ პროცესში მონაწილეობამ. თამაშების შეფასებისას მასწავლებელმა გაითვალისწინა ეს რეფლექსიები.

მასწავლებლები მოსწავლეებს უსვამენ არაფორმალურ კითხვებს: „რა შეიტყვე დღეს საკუთარი თავის როგორც მწერლის შესახებ?“ „რას აკეთებენ კარგი მკვლევრები და მწერლები?“ „რა შეგიძლია ისეთი, რაც წინათ არ შეგეძლო?“ ამ და სხვა ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემა მოსწავლეებს მეტაკოგნიციის, მოტივაციისა და სტრატეგიული მოქმედებისკენ უბიძგებს, რომლებიც თვითრეგულირებული სწავლის კომპონენტებია.

თანამშრომლობა. საშუალო სკოლის მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლების კომიტეტმა 2004 წელს დაასკვნა, რომ აზრების ურთიერთგაზიარებისას მოსწავლეები უკეთესად ითვისებენ, ადვილად აღიქვამენ რთულ და გამომწვევ დავალებებს – დავალებებს, რომლებიც თვითრეგულაციას ავითარებს.

დასკვნის თანახმად, *ჯგუფურ სამუშაოს ასევე შეუძლია, მოსწავლეებს თანამშრომლობის უნარების განვითარებაში დაეხმაროს. მეტიც – ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ერთობის შექმნას, სადაც მოსწავლეები პასუხს აგებენ ერთმანეთის სწავლაზე და არ იქნებიან ორიენტირებულნი კონკურენტულ გარემოზე, რომელიც აუცხოებს ბევრ მოსწავლეს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც თანატოლებივით წარმატებულნი არ არიან.*

თვითრეგულირებული სწავლის მხარდასაჭერად ყველაზე ეფექტიანია ის გზები, რომლებიც ასახავს თანამშრომლობითი ურთიერთობების გამოყენებას, ერთობის კლიმატს და პრობლემების ერთობლივ გადაჭრას. ამ კონტექსტში მოსწავლეები მასწავლებლების დახმარებით რეალურად არეგულირებენ ურთიერთსწავლას, სთავაზობენ ერთმანეთს დახმარებას, განურჩევლად იმისა, ინდივიდუალურად მუშაობენ, წყვილებად თუ მცირე ჯგუფებად. ეს ინდივიდუალური განვითარების პრაქტიკული მხარდაჭერაა. ის მეტაკოგნიციის, შინაგანი მოტივაციისა და სტრატეგიული მოქმედებისთვის (მაგალითად, იდეათა გაზიარებისთვის, პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შესადარებლად, თითოეულის ექსპერტობის არეალის დასადგენად) გამოიყენება. მაღალი დონის მასწავლებლები ყოველი წლის დასაწყისს რუტინების სწავლასა და გაკვეთილში მონაწილეობის ნორმების დადგენას უთმობენ (მაგალითად, როგორ განახორციელოს მოსწავლემ კონსტრუქციული უკუკავშირი და როგორ მოახდინოს თანატოლის მოსაზრების ინტერპრეტაცია, რა რეაქცია ჰქონდეს მასზე). მას შემდეგ, რაც რუტინებსა და ურთიერთქმედების ნიმუშებს გაითავისებენ, მოსწავლეებს უკვე ძალუძთ სწავლაზე კონცენტრაცია, მასწავლებლებს კი შეუძლიათ დაიწყონ აკადემიური უნარ-ჩვევების სწავლება და სასწავლო გეგმის შესრულება.

როგორ განვსაზღვროთ განათლება XXI საუკუნეში



ლევან ალფაიძე

ერთი კითხვა და 11 პასუხი

ტერმინი „XXI საუკუნის უნარები“, როგორც წესი, იმ საკვანძო კომპეტენციებისთვის გამოიყენება, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას, ციფრულ წიგნიერებას, კრიტიკულ აზროვნებას და პრობლემების გადაჭრის უნარებს. ამ ჩამონათვალის ქომაგებს სჯერათ, რომ სკოლებში მათი სწავლება საჭიროა. მათი აზრით, ეს დაეხმარება მოსწავლეებს, ფეხი აუწყონ თანამედროვე სამყაროს. თუმცა ნათელია, რომ XXI საუკუნისთვის საჭირო განათლების „განსაზღვრება“ ღია საკითხია და ჯერ კიდევ ელის სხვადასხვა მოაზროვნისა თუ სპეციალისტის ინტერპრეტაციებს. ბუნებრივია ისიც, რომ მიმდინარე საუკუნისთვის ადეკვატური განათლების სისტემის გააზრება-ჩამოყალიბება მრავალ წინააღმდეგობასაც შეიცავს.

ამ საინტერესო საკითხზე სასაუბროდ ამერიკული ელექტრონული ჟურნალი http://www.edweek.org-ი განათლების თერთმეტ ამერიკელ სპეციალისტს დაუკავშირდა. ქვემოთ გთავაზობთ თანამედროვე განათლების წამყვანი სპეციალისტების მოსაზრებას XXI საუკუნის განათლების თავისებურებების, მოთხოვნებისა და პრობლემების შესახებ.

რიჩარდ ალინგტონი (Richard Allington), პროფესორი, განათლების თეორია, ტენესის უნივერსიტეტი (აშშ):

– მე ასაკოვანი კაცი ვარ. არ ვიყენებ ტვიტერს, სკაიპს, ფეისბუქსა თუ იუთუბს. რა უცნაურიც უნდა მოგეჩვენოთ, თავს არ ვვრძნობ ტექნოლოგიის მიერ მიტოვებულად. თქვენს კითხვაზე პასუხს ჩემს ლეპტოპში გიმზადებთ. ასევე ხშირად (თუმცა არა ყოველდღე) ჩემი Blackberry-სა და წერილებისთვის ელექტრონულ ფოსტას ვიყენებ.

ამავე დროს, კვლავ დაკავებული ვარ XVIII საუკუნის საქმიანობით - მოქალაქეებს შორის წერა-კითხვის გავრცელებით. განვმარტავ: XXI საუკუნეში მცხოვრები წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი იმიტომ დარჩა ამ ცოდნის გარეშე, რომ მათ XVIII საუკუნის დროინდელი წერა-კითხვის კურსი არ გაუვლიათ.

მიმაჩნია, რომ წერა-კითხვა ნებისმიერს შეიძლება ასწავლო (ძველებურად) და გულწრფელად არ მესმის, რატომ უნდა დახარჯონ სკოლებმა თანხები კომპიუტერებზე, როდესაც მათ ბიბლიოთეკებში არ არის ის წიგნები, რომელთა წაკითხვაც შესაძლოა მოსწავლეს მოუნდეს. არ მესმის, რაში სჭირდებათ საკლასო ოთახებში თეთრი საწერი დაფები, როდესაც არ არსებობს საკლასო ოთახის ბიბლიოთეკა. გამოკვლევებს ჯერ არსად უჩვენებია, რომ თეთრი საწერი დაფა ან კომპიუტერები დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა წერა-კითხვის უნარების განვითარებაზე.

ამავე დროს, უამრავი გამოკვლევა გვიდასტურებს, რომ სასკოლო და საკლასო ბიბლიოთეკები ძალზე პოზიტიურად მოქმედებს განათლებული მოქალაქის ჩამოყალიბებაზე. თუმცა რეალობაა ისიც, რომ

ამავე დროს, უამრავი გამოკვლევა გვიდასტურებს, რომ სასკოლო და საკლასო ბიბლიოთეკები ძალზე პოზიტიურად მოქმედებს განათლებული მოქალაქის ჩამოყალიბებაზე. თუმცა რეალობაა ისიც, რომ წიგნებზე ახლა ბევრს არავინ ლაპარაკობს.

წიგნებზე ახლა ბევრს არავინ ლაპარაკობს.

ბარნეტ ბერი (Barnett Berry), სწავლების ხარისხის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი:

– სწავლება XXI საუკუნეში ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეები უნდა დახელოვნდნენ შინაარსის (გამოყენებულია ტერმინი „კონტენტი“, ანუ არსი, შემადგენლობა, შინაარსი – მთარგმნ.) გადმოცემაში მისი წარმოების, სინთეზირების დროს და იმ ინფორმაციის შეფასებაში, რომელიც მოედინება სხვადასხვა წყაროდან და რომელიც სხვადასხვა თემას მოიცავს.

ამავე დროს, მათ უნდა განუვითარდეთ სხვადასხვა კულტურის აღქმისა და მათდამი პატივისცემის უნარები.

მოსწავლეები ამ საუკუნეში გვიჩვენებენ სამ ძირითად უნარს: შემოქმედებითობას (კრეატიულობას), კომუნიკაციასა და თანამშრომლობას. მათ ასევე უყალიბდებათ ციფრული წიგნიერებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის უნარებიც. ვირტუალური საშუალებები (ხელსაწყოები) და უფასო საპროგრამო შესაძლებლობები ქმნის უსაზღვრო სასწავლო „ტერიტორიას“ მოსწავლეთათვის, განურჩევლად მათი ასაკისა, მდებარეობისა თუ დროისა.

ასეთი მძლავრი სასწავლო ველი მოითხოვს კარგად მომზადებული მასწავლებლების არსებობას, რომლებიც ყურადღებას გაამახვილებენ შემეცნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აღქმაზე, გამოხატვაზე, მეხსიერებაზე, ყურადღებაზე და რომლებიც სტრატეგიულ ჯგუფებად იქნებიან ორგანიზებულნი როგორც ვირტუალურ, ისე ფიზიკურ გარემოში.

ალბათ გაჩნდებიან მასწავლებელი-მეწარმეებიც (ახალი ამერიკული ტერმინი – teacherpreneur, რომელიც teacher-ისა და entrepreneur-ის ნაზავია), რომლებიც მჭიდროდ იმუშავებენ მოსწავლეებთან ადგილობრივ თემში და მოემსახურებიან მათ როგორც სასწავლო თანაშემწეები, ვირტუალური ქსელის მეგზურები, თამაშების ექსპერტები, თემის ორგანიზატორები და პოლიტიკის მკვლევრები.

სარა ბრაუნ უესლინგი (Sarah Brown Wessling), მასწავლებელი აშშ-ში 2010 წელს:

– XXI საუკუნის სწავლება აერთიანებს ისეთ მიდგომებს, რომლებშიც უნარები შინაარსს უკავშირდება. უნარების გარეშე მოსწავლეები მხოლოდ ფაქტების დამახსოვრების, სამუშაო ფურცლების შევსებისა და დეტალების გახსენების ამარა დარჩებიან, რაც მათ პასიურობისკენ ჩამოაქვეითებს.

კონტენტის (არსის, შინაარსის) გარეშე, მოსწავლეებს მოუწევთ პრობლემების გადაჭრა ან ჯგუფური მუშაობა მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რომლებიც დეტალებისა თუ წვრილმანების გახსენებით შემოიფარგლება და ხელში შეგვრჩება მხოლოდ შესაბამისობა სიზუსტის გარეშე.

ალბათ ამიტომაც მგონია, რომ XXI საუკუნის განათლების პარადიგმა იძლევა საშუალებას, მოხდეს ერთგვარი სინერგია **კონტენტი vs უნარების** დისკუსიაში და გაიფანტოს ამ ორის დიქოტომია.

XXI საუკუნის მოდელი მოიცავს დამოკიდებულებებს, რომლებიც მოითხოვს ისეთი ელემენტების ურთიერთქმედებას, როგორებიცაა ინტელექტუალური რისკების გაწევა, სასწავლო დისპოზიციები და თემში სასკოლო სწავლება, სადაც ყველა მოსწავლეს წარმოადგენს.

კარენ ქეთორი (Karen Cator), დირექტორი, სასწავლო ტექნოლოგიების ოფისი, აშშ-ის განათლების დეპარტამენტი:

– XXI საუკუნეში წარმატების მისაღწევად საჭიროა ვიცოდეთ, როგორ უნდა ვასწავლოთ. სავარაუდოდ, დღევანდელ მოსწავლეებს თავიანთი ცხოვრების განმავლობაში რამდენიმე პროფესიული კარიერა ექნებათ. მათ უნდა განივითაროონ კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის ძლიერი უნარები. ეს აუცილებელია, რათა მიაღწიო წარმატებას დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ, ცვალებად და ერთგვარად მედინ, საკმაოდ რთულ გარემოში.

დღეს ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, დღე–ღამეში 24 საათი და კვირაში 7 დღე მივიღოთ ინფორმაცია, გვქონდეს სოციალური ურთიერთქმედება და ადვილად შევქმნათ და გავცვალოთ ციფრული ინფორმაცია, შინაარსი და, საზოგადოდ, ციფრული კონტენტი.

ამ გარემოში განმანათლებლებს ხელეწიფებათ ტექნოლოგიების გამოყენება მიმზიდველი და პერსონალიზებული გარემოს

შესაქმნელად, რაც ასე მოთხოვნადია მომავალი თაობის სასწავლო საჭიროებებისთვის.

ახლა უკვე შეუძლებელია განათლების იმ მეთოდების გამოყენება, როდესაც საკლასო ოთახში სთავაზობდნენ „ერთი ზომა ყველას მოერგება“ სქემებს.

შესაძლებლობები, რომლებიც გააჩინა ტექნოლოგიებმა, უნდა გამოიყენებოდეს XXI საუკუნის

მილტონ ჩენი (Milton Chen), ჯორჯ ლუკასის საგანმანათლებლო ფონდის წამყვანი მკვლევარი და აღმასრულებელი დირექტორი, ავტორი წიგნისა Education Nation: Six Leading Edges of Innovation in Our Schools:

– XXI საუკუნის სწავლების მეთოდები და იდეოლოგია არ შეიძლება წინააღმდეგობრივი იყოს. ამ საუკუნის შესაბამისი სწავლების დასადგენად

საგრძნობლად წინაა წასული და 2000 წელი ამ გადასახედიდან უკვე გასულ საუკუნედ გვეჩვენება).

XXI საუკუნის განათლება ემყარება სწავლების ისეთ კონცეფციებს, როგორებიცაა „სასწავლო საგნის ძირეული ცოდნა“ და რომლებიც დღევანდელი სამყაროს საჭიროებების მიხედვითაა „გადაკეთებული“. სამყაროსი, რომელშიც გლობალური პერსპექტივა და

განათლების თავიდან წარმოსადგენად. ყურადღება კი უნდა გამახვილდეს დღევანდელი მოსწავლეების იმისთვის მომზადებაზე, რომ მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოუწევთ სწავლა.

საჭიროა განისაზღვროს თანამედროვე საშუალებები თანამედროვე სწავლებისთვის (პრობლემა ის გახლავთ, რომ რაც „თანამედროვე“ იყო 2010 წელს, 2000 წლის ტექნოლოგიასთან შედარებით

ურთიერთთანამშრომლობის უნარები უმნიშვნელოვანესია. დღეს უკვე აღარ არის საკმარისი, „იცოდე საგანი“; უფრო მნიშვნელოვანია, ცნობისმოყვარეობით იყო აღსავსე ამ „საგნის“ მიმართ.

ინტერნეტი, რომელმაც გლობალური კომუნიკაციისა და გლობალურ ინფორმაციაზე წვდომის საშუალება მოგვცა, ფლობს იმ გასაღებსაც, რომელიც ახალი განათლების სისტემის კარს გაგვიღებს. ამ ახალ სივრცეში მოსწავლეები შეძლებენ, ერთად, ჯგუფებად იმუშაონ ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც ერთი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ასეთი ურთიერთობები გვაძლევს XXI საუკუნის სამუშაო ადგილის მონახაზს. თუ XXI საუკუნის სწავლების სისტემაზე კამათი 10 წლის შემდეგაც გაგრძელდა, ეს იქნება აშკარა ნიშანი იმისა, რომ ახლომხედველობა კვლავ გვიშლის ხელს რეალობის სწორად დანახვაში.

სტივენ ფარი (Steven Farr), ორგანიზაცია Teach For America–ს წამყვანი სპეციალისტი, ავტორი წიგნისა Teaching as Leadership: The Highly Effective Teacher's Guide to Closing the Achievement Gap:

– XXI საუკუნის სწავლება უნდა მოიცავდეს XX საუკუნის იმ იდეალებს, რომლებიც ნათლად აისახა სასამართლო საქმეში „ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ“.

სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ ვერ შევასრულეთ ეს ამოცანა. ჩვენი სისტემა ჯიუტად აგრძელებს რასობრივი და სოციოეკონომიკური ნაპრალის შენარჩუნებას, რაც ასამარებს ჩვენს იდეალებს თავისუფლების, თანასწორობისა და შესაძლებლობის თავისუფლების შესახებ.

როდესაც აშშ-ის ყველაზე წარმატებული მასწავლებლების შემთხვევებს ვიკვლევთ, ნათლად ვხედავთ, რომ კარგ მასწავლებელს სხვებისგან მხოლოდ უნარების ჩამონათვალი არ გამოარჩევს.

ჩვენ საკლასო ოთახში ისეთი ლიდერები გვჭირდება, რომლებიც საკუთარ თავს ამბიციურ მიზნებს უსახავენ, ხელს უწყობენ სხვების დარაზმვას ამ მიზნების მისაღწევად, გეგმავენ და აღასრულებენ ამ გეგმას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მასალის კარგად შესწავლა და, რაც მთავარია, თვითონვე განსაზღვრავენ, რას ნიშნავს იყო მასწავლებელი, რომელიც მოსწავლის ცხოვრებისეულ გზას უკეთესობისკენ ცვლის.

> ჩვენ საკლასო ოთახში ისეთი ლიდერები გვჭირდება, რომლებიც საკუთარ თავს ამბიციურ მიზნებს უსახავენ, ხელს უწყობენ სხვების დარაზმვას ამ მიზნების მისაღწევად, გეგმავენ და აღასრულებენ ამ გეგმას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მასალის კარგად შესწავლა და, რაც მთავარია, თვითონვე განსაზღვრავენ, რას ნიშნავს იყო მასწავლებელი, რომელიც მოსწავლის ცხოვრებისეულ გზას უკეთესობისკენ ცვლის.

სტივ ჰარგადონი (Steve Hargadon), Classroom 2.0-ის დამფუძნებელი, სოციალური სწავლების კონსულტანტი:

– XXI საუკუნეში სწავლა აუცილებლად მოსწავლეთა მიერ იქნება მართული.

ჩვენი ძველი ისტორიები და სქემები განათლებაზე (საქარხნო მოდელი, ზემოდან ქვემოთ, შესაბამისობაზე დამყარებული სქემა) უკვე დაიმსხვრა. ასე იმიტომ მოხდა, რომ ინტერნეტი ათავისუფლებს იმ ინტელექტუალურ ენერგიას, რომელიც ჩვენი ფარული სურვილებიდან მომდინარეობს. ეს სურვილები მოიცავს საკუთარი აზრის გამოთქმას, შემოქმედებას და მონაწილეობას. ცოდნაზე დამყარებული შედეგები ხშირად თავისუფალი ბაზრის მიერ ან დემოკრატიულ მთავრობების მიერ შექმნილ სისტემებს ჰგავს. მცირე მმართველობისა და თვითმართული სწავლების პირობებში უკვე მიმდინარეობს თვითსწავლების პროცესი სანქციებისა თუ კონტროლის გარეშე, რომლებსაც ადრე საგანმანათლებლო ინსტიტუტები ახორციელებდნენ.

დარწმუნებული ვარ, პოლიტიკური და ინსტიტუციური გამოხმაურება დღევანდელი განათლების თვითმართულ პროცესებზე განათლების არსებული სისტემისგან იქნება და მათი რეაქცია კვლავ მკაცრად სტრუქტურირებულ და ზემოდან განსაზღვრული სტანდარტების აუცილებლობას შეეხება.

თუმცა განათლების ინსტიტუტებისგან, რომლებიც საკუთარი თვალით აკვირდებიან მიმდინარე ინტერნეტრევოლუციას, ასეთი დამოკიდებულება არაადეკვატური მგონია. ინსტიტუტებში არა მარტო მშობლებს, განათლების სპეციალისტებსა თუ ადმინისტრატორებს ვგულისხმობ, არამედ მოსწავლეებსაც, რომლებიც საკმაოდ მომზადებულნი არიან თვითმართული განათლებისთვის.

ლინ მანსონი (Lynne Munson), არამომგებიანი ორგანიზაცია Common Core-ის პრეზიდენტი (აშშ):

– განათლებას XXI საუკუნეში განვიხილავ როგორც XX (ან XIX) საუკუნის განათლების

სისტემის გაგრძელებას, ოღონდ უკეთესი საშუალებებით.

დღევანდელ მოსწავლეებს გაცილებით მძლავრი სასწავლო საშუალებები აქვთ. ეს საშუალებები მათ უზრუნველყოფს სასწავლო მასალით, რომელიც შეიძლება მოიძიო, მიიღო და შექმნა კიდეც გაცილებით სწრაფად, ვიდრე წინათ იყო შესაძლებელი.

თუმცა მიმაჩნია, რომ გუგლის გამოყენება არ არის საკმარისი საკითხების ნამდვილად სიღრმისეული აღქმისა და გაგებისთვის.

მოსწავლეებს დღესაც სჭირდებათ იმ ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა, რომელმაც ისინი და ჩვენი სახელმწიფო დღემდე მოიყვანა.

მათ სჭირდებათ იმის გაგება, რას მიაღწია ადამიანმა ხელოვნებასა თუ მეცნიერებაში. სჭირდებათ დედაენის გარდა სხვა ენების ცოდნაც.

XXI საუკუნის სწავლების ქომაგთა მოსაზრების თანახმად, მოსწავლეებს სჭირდებათ ამ საუკუნის უნარები, რომელთა მიხედვით, საკმარისია იცოდე, როგორ იპოვო ის, რაც გჭირდება.

მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. XXI საუკუნის ტექნოლოგია განხილულ უნდა იქნეს როგორც მეტი ცოდნის მიღების შესაძლებლობა და არა მცირე ცოდნის გამართლება.

კით ო. მური (Keith Moore), ინდიელთა განათლების ბიუროს დირექტორი, აშშ-ის შინაგან საქმეთა დეპარტამენტი:

– XXI საუკუნის მოსწავლეები, შეიძლება ითქვას, გლობალურ საკლასო ოთახში სწავლობენ და არ არის აუცილებელი, ეს ოთხ კედელში ხდებოდეს.

დღევანდელი ახალგაზრდები ინფორმაციის მოსაპოვებლად უფრო ინტერნეტსაიტებს ან სოციალურ მედიას იყენებენ, რომლებშიც ფიჭური ტელეფონითა და კომპიუტერებით შედიან.

ბევრი მასწავლებელი დავალებების მისაცემად და მათ განსახილველად ვირტუალურ საკლასო ოთახს იყენებს.

ამერიკელ ინდიელთა განათლების ბიუროს ბევრი სკოლა ძნელად მისადგომ და დაბალგანვითარებულ დასახლებებში მდებარეობს.

ჩვენი ბიურო აქტიურად მუშაობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, რათა უზრუნველყოს ჩვენი სკოლებისთვის ერთნაირად განვითარებული სამუშაო გარემო და პირობები, რაც ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს მისცემს საშუალებას, ინფორმაციაზე საკლასო ოთახის გარეთაც მიუწვდებოდეთ ხელი. ამერიკელ ინდიელთა განათლების ფედერალური ბიუროს სასკოლო სისტემის შიგნით ჩვენ ვეყრდნობით ჩვენი ტომების ლიდერების, მოსწავლეთა მშობლებისა და ბავშვების საერთო ხედვებსა და შესაძლებლობებს, რათა განათლება ჩვენი ფედერალური საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი იყოს.

დაიან რავიჩი (Diane Ravitch), განათლების ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „ამერიკის დიადი სასკოლო სისტემის სიკვდილი და ცხოვრება“:

– XXI საუკუნისთვის მზადყოფნა ჩვენმა ბავშვებმა შემდეგი ცოდნითა და უნარებით უნდა გამოხატონ: ისტორიის, გეოგრაფიის, მათემატიკისა და მეცნიერებების გაგებით, რათა შეეძლოთ გაუთვალისწინებელი მოვლენების არსის აღქმა და შესაბამისად მოქმედება; ინგლისურად მეტყველებისა და წერის უნარებით; უცხო ენების დაუფლებით; ხელოვნების შესწავლით მათი ცხოვრების სიმდიდრისთვის; დიდ ლიტერატურასთან ახლო ნაცნობობით ადამიანის ცხოვრების მუდმივი დილემებისა და პიროვნების მდგომარეობის გასაგებად; სწავლის სიყვარულით, რათა შეძლონ გონების განვითარება ფორმალური სასკოლო განათლების დასრულების შემდეგ; თვითდისციპლინით, რომელიც მათ მიზნების მისაღწევად დასჭირდებათ; ეთიკური და მორალური პრინციპების ცოდნით; სოციალური უნარების განვითარებით სხვებთან თანამშრომლობისთვის; შესაძლებლობით, გონივრულად გამოიყენონ ტექნოლოგიები; საჭირო ნივთების შეკეთების უნარებით პერსონალური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად; მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის უნარით პირადი კმაყოფილებისთვის.

სიუზან რანდელ ზინგერი (Susan Rundell Singer), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროფესორი, ლოურენს მაკკონლი გულდის საპატიო პროფესორი, კარლტონის კოლეჯი (აშშ):

– ადაპტირება, კომპლექსური საკომუნიკაციო უნარები, პრობლემების არარუტინული გადაწყვეტა, თვითმართვა და სისტემური აზროვნების უნარი – ეს ის აუცილებელი ნაკრებია, რომელიც საჭიროა XXI საუკუნის შრომითი ძალისთვის. ჩემი როგორც მეცნიერისა და განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანის აზრით, უნივერსიტეტისა თუ შრომითი ბაზრისთვის მოსწავლეთა მოსამზადებლად ყველაზე ეფექტური გზა იმის განხორციელებაზე გადის, რაც უკვე ცნობილია და დანერგილია ეფექტური სწავლებისთვის.

დაპირისპირება „შინაარსი პროცესის წინააღმდეგ“ სქემებზე ისტორიას უნდა გადავულოცოთ, რადგან ეს უკვე ნათელია სასწავლო მეცნიერებების კუთხით.

ძირეული კონცეფციების ინტეგრირება მთავარ უნარებთან მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, კარგად მოემზადონ საუნივერსიტეტო განათლებისა და შრომითი ბაზრისათვის. ჩვენ გვჭირდება საკლასო საგნების მუდმივად გაფართოებადი შინაარსის შესაბამისი მოქმედება.

იმ უნარების განვითარება, რომლებიც ძირეული კონცეფციების შესასწავლადაა საჭირო, კარგი პრაქტიკული მიდგომაა. უკვე დროა, თავი დავანებოთ პოლარიზებულ დებატებს, გავითვალისწინოთ ფაქტები და, უბრალოდ, დავუბრუნდეთ ჩვენს სამუშაო პროცესს.

წყარო:
http://www.edweek.org/tsb/articles/2010/10/12/01panel.h04.html

შეფასება საკლასო და სასკოლო დონეზე

თამთა კობახიძე

მიუკერძოებელი და გამჭვირვალე შეფასების სისტემის ჩამოყალიბება აუცილებელია როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე. კვლევები ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა/პერსონალის დემოტივაციის, კლასში/ორგანიზაციაში კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობისა და არადამაკმაყოფილებელი შედეგების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი შეფასების სისტემის გაუმართაობაა. შეფასების კრიტერიუმები მხოლოდ მოსწავლეთათვის კი არ უნდა იყოს ნათელი და გასაგები, არამედ მასწავლებელმაც ზუსტად უნდა იცოდეს, რა მექანიზმებით ხდება შეფასება და როგორ გამოიყენოს მისი შედეგები. ასევე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეფასების საკითხი განიხილოს ფართო ჭრილში და გაიაზროს, რა ძირეულ პრობლემებს შეიძლება წააწყდეს პრაქტიკული მუშაობის დროს.

სტატიაში შევეხებით შეფასების ძირითად ასპექტებს საკლასო დონეზე.

ამ საკითხს ფართოდ განიხილავს რობერტ ჯ. მარზანო თავის წიგნში „Transforming Classroom Grading". იგი აღნიშნავს, რომ შეფასების მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს უკუკავშირი, რომელსაც სასწავლო პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. უკუკავშირი ეფექტური რომ აღმოჩნდეს, ის კონკრეტული უნდა იყოს. შეფასების ნათელი და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება ერთი შეხედვით იოლი ჩანს, მაგრამ კვლევები ცხადყოფს, რომ შეფასების სისტემის შემუშავებისას მასწავლებლები მრავალ ფაქტორს ითვალისწინებენ. ფაქტობრივად, ეს ერთ-ერთი ძირეული პრობლემაა.

შეფასების სისტემის აგებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ 4 ფაქტორს, რომელთაგან პრიორიტეტი მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას ენიჭება.

როგორც ავტორი აღნიშნავს, აკადემიური მოსწრება ყველაზე გავრცელებული ფაქტორია, რომელიც შეფასების სისტემაში შედის. იგი სკოლებისთვის ყველაზე ღირებულ შედეგს წარმოადგენს - თუ მოსწავლეები წარმატებას მიაღწევენ, სკოლების მუშაობა ეფექტიანად ჩაითვლება. შეფასებები უნდა ასახავდეს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონეს სათანადო მასალის ათვისებაში. როდესაც მასწავლებლები შეფასების კრიტერიუმად აკადემიურ მოსწრებას იყენებენ, ისინი შეფასებას მოსწავლეთა მიერ დასწავლილი მასალის მოცულობის პროპორციულად გასცემენ. ამრიგად, თუ მოსწავლეები დიდი რაოდენობის მასალას დაისწავლიან, მაღალ შეფასებას დაიმსახურებენ, ხოლო მცირე მოცულობის მასალის დასწავლის შემთხვევაში – დაბალს.

რას გულისხმობს აკადემიური მოსწრება?

პასუხი კითხვაზე, რას გულისხმობს აკადემიური

> მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეფასების საკითხი განიხილოს ფართო ჭრილში და გაიაზროს, რა ძირეულ პრობლემებს შეიძლება წააწყდეს პრაქტიკული მუშაობის დროს.

მოსწრება, ერთი შეხედვით, ერთმნიშვნელოვანია, მაგრამ პედაგოგები განსხვავებულ პასუხებს იძლევიან. ისინი ითვალისწინებენ ინფორმაციის სამ კატეგორიასა და უნარებს: 1. კონკრეტული საგნის მოცულობას; 2. ფიქრისა და გააზრების უნარებს; 3. საერთო კომუნიკაციის უნარებს.

საგნის კონკრეტული შინაარსი

როგორც დასახელებიდან ჩანს, საგნის კონკრეტული შინაარსი მოიცავს კონკრეტული დისციპლინისთვის დამახასიათებელ ინფორმაციასა და უნარ-ჩვევებს. საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ მასწავლებლები, რომლებიც ერთსა და იმავე



სახელმძღვანელოს იყენებენ, მოსწავლეებს ასწავლიან ამა თუ იმ კონკრეტული საგნის ერთსა და იმავე მოცულობას, თუმცა კვლევები ცხადყოფს, რომ ცალკეული მასწავლებლები გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებას იყენებენ და საგნის ფაქტობრივ მოცულობასთან დაკავშირებით იმდენ გადაწყვეტილებას იღებენ, რომ ძნელი სათქმელია, რას შეეჯახებიან მოსწავლეები. უმაღლეს დონეზე შედგენილი პროგრამული სახელმძღვანელოების შემთხვევაშიც კი მასწავლებლები იღებენ დამოუკიდებელ და უჩვეულო გადაწყვეტილებებს იმასთან დაკავშირებით, რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რა უნდა დაემატოს ან გამოაკლდეს პროგრამას. შინაარსის თანამიმდევრობაში ეს დიდ შუალედებს წარმოქმნის. ამ პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ საშუალებად შეგვიძლია განვიხილოთ კონკრეტული საგნობრივი სტანდარტები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავს, რა უნდა

იცოდეს მოსწავლემ სასწავლო წლის დასასრულს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტები მასწავლებელს დაეხმარება, დააფუძნოს შეფასება საგნის კონკრეტულ შინაარსს.

აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები

მეორე ფაქტორი, რომელსაც ხშირად მოიცავს აკადემიური მოსწრება, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევებია. მასწავლებლები საგნის კონკრეტული შინაარსის მრავალმხრივად გააზრების უნარს საგნის შინაარსის დაუფლების აუცილებელ პირობად მიიჩნევენ. აკადემიურ მოსწრებასა და აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევებს შორის კავშირს კი არამხოლოდ სკოლის მასწავლებლები მოითხოვენ. ზოგ ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ აზროვნებასა და დასაბუთებაზე შინაარსისგან იზოლირებულად საუბარი არალოგიკურია. ისინი ამტკიცებენ, რომ აზროვნებისა და დასაბუთების ზოგადი უნარ-ჩვევების გამომუშავება ვერ იქნება ორიენტირებული ერთ საგანზე – ისინი დისციპლინათაშორისი უნდა იყოს. ქართულ რეალობაში ასეთ უნარებად შეგვიძლია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტული და გამჭოლი კომპეტენციები დავასახელოთ.

კომუნიკაციის (გადმოცემის) ზოგადი უნარ-ჩვევები

ზოგადი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები წარმოადგენს საგნის მასალის ბოლო კატეგორიას, რომელიც განიხილება როგორც აკადემიური მოსწრების კომპონენტი. კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმის გამოყენების შემთხვევაში მნიშვნელოვანია შემდეგი უნარ-ჩვევები, რომლებიც კომუნიკაციის ყველა ფორმაზე ვრცელდება:

1. აზრის მკაფიოდ გადმოცემა;
2. კომუნიკაციის ხერხების შეცვლა აუდიტორიის შესაბამისად;
3. კომუნიკაციის ხერხების შეცვლა მიზნების შესაბამისად.

საგნის სფეროები სამ მთავარ უნარ-ჩვევას გამოყოფს:

1. აზრის წერილობით გადმოცემის უნარს;
2. აზრის ზეპირად გადმოცემის უნარს;
3. წერილობითი და ზეპირი ფორმისგან განსხვავებული ერთი ან მეტი სხვა საშუალებით გადმოცემის უნარს.

დასასრულ, ავტორი აზუსტებს, რომ აკადემიური მოსწრება განისაზღვრება როგორც კომპეტენცია შემდეგ სამ სფეროში:

1. კონკრეტული საგნის შინაარსის ათვისებაში,
2. აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევებსა და
3. კომუნიკაციის ზოგად უნარ-ჩვევებში.

მიუხედავად იმისა, რომ ესენი ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებსაც შეფასებები ემყარება, უკუკავშირი მიზნობრივად დამოკიდებულია მოსწავლეების მოტივაციაზე, ყოფაქცევასა და დასწრებაზე. ავტორი დასძენს, რომ მასწავლებელმა ეს უკუკავშირი, იდეალურ შემთხვევაში, აკადემიური მოსწრების თაობაზე მიწოდებული უკუკავშირისგან განცალკევებით უნდა გასცეს. შეფასების პროცესის ხელის შემშლელი არსებითი ფაქტორების გარკვევა კი პედაგოგს საკუთარი პრაქტიკის სრულყოფაში დაეხმარება.

> **„აკადემიური მოსწრება განისაზღვრება როგორც კომპეტენცია შემდეგ სამ სფეროში: 1. კონკრეტული საგნის შინაარსის ათვისებაში, 2. აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევებსა და 3. კომუნიკაციის ზოგად უნარ-ჩვევებში.“**



თამთა დოლიძე

მასწავლებლის დღიური

> **მასწავლებლის მთავარი იარაღი აქტიური მოსმენაა (თომას გორდონი აქტიური მოსმენის მეთოდს „კარის გაღებას" უწოდებს). მას უნდა შეეძლოს დაშიფრული სათქმელის ამოცნობა, თავად კი ყოველთვის ცხადად და გარკვევით ილაპარაკოს.**

მე დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ვარ!

ბევრს ჰგონია, ყველაზე ადვილი დაწყებითი კლასების მასწავლებლობაა. განა რა არის იმაში ძნელი, ანბანი და წერა-კითხვა ასწავლო?! ჩემი აზრით კი სკოლის პირველ მერცხლებთან მუშაობა საძირკვლის გაჭრას ჰგავს – თუ საფუძველი სათანადოდ არ გაამაგრე, სახლს სუსტი ქარიც კი ჩამოანგრევს.

დავიწყებ თავიდან...

პირველკლასელთა მშობლები ყველაზე რთული საზოგადოებაა მათ შორის, ვისაც შევხვედრივარ. ეჩქარებათ შედეგის დანახვა, ერთი სული აქვთ, სანამ მათი შვილი სქელტანიან წიგნებს სხაპასხუპით წაიკითხავს და მაღაზიაში ხურდას ელვის სისწრაფით დაითვლის. შვილის წარუმატებლობას ხშირად მასწავლებელს აბრალებენ, გამუდმებით ცდილობენ პასუხისმგებლობის ჩამოცილებას და კლასის დამრიგებლისთვის გადაბარებას, განსაკუთრებით – კერძო სკოლებში: მიაჩნიათ, რომ რაკი ბავშვი ანაზღაურებად სასწავლო დაწესებულებას მიაბარეს, არც შვილების პირადი ნივთების მოწესრიგება ევალებათ და არც საშინაო დავალების შესრულების პროცესში ჩართვა. გაკვირვებული შეჰყურებენ მასწავლებელს, რომელიც მათ სახელმძღვანელოებისთვის დამცავი ყდის შემოკვრას ან დამატებითი სასწავლო ნივთების შეძენას სთხოვს (საჭირო ნივთებს სკოლა არ დაგვახვედრებს? დამრიგებელი ჩანთას არ აწესრიგებს?). გამოდის, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ ჯერ მშობელი უნდა „მოამზადოს" მოსწავლეობისთვის, აუხსნას ორმხრივი ვალდებულებები და წინასწარ განსაზღვროს სკოლის/მასწავლებლის ფუნქციებში მათი ჩარევის დოზა.

მშობლები ხშირად აპროტესტებენ სკოლის შინაგანაწესის სხვადასხვა პუნქტს: საგაკვეთილო პროცესიდან საპატიო მიზეზის გარეშე ბავშვის გაყვანას, სკოლის მენიუს, გარემოსა და სანიტარიულ ნორმებს, მერხსა და დაფას შორის მანძილს, ყველაზე ხშირად კი – სასკოლო ფორმას, რომელშიც უმეტესად თეთრი მაისური ფიგურირებს. გამოგიტყდებით, როგორც მშობელს, მეც ხშირად გამიპროტესტებია ეს საკითხი, რადგან ძნელია, თეთრი ტანსაცმლისა და ბავშვის შეუთავსებლობას დიდხანს გაუძლო. არადა, სასკოლო ფორმა ყოველ ნაბიჯზე გვახსენებს, რომ „ჩვენ ერთი გუნდი ვართ". ასეთი მესიჯები მოსწავლეს საგრძნობლად უადვილებს ადაპტირებას. გარდა ამისა, ვის არ ახსოვს, როგორი ამრეზით შესცქეროდნენ შეძლებული ოჯახების გამოპრანჭული შვილები ერთი ზომით დიდ ფეხსაცმელსა და გაცრეცილ ქურთუკში ჩამალულ თანატოლებს?! ასეა თუ ისე, სასკოლო ფორმა დღემდე აქტუალურია მთელ მსოფლიოში.

ბევრს ავიწყდება, რომ სკოლა არა მარტო საგნობრივი ცოდნით, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებითაც ამარაგებს ადამიანს. დედისა და მამის „ყველაზე ნიჭიერი" ნებიერები პირველად სკოლაში ხვდებიან, რომ ყველა გზა მათკენ არ მიდის და ძალიანაც უჭირთ

ამასთან შეგუება. სკოლა კი მათ ჯანსაღი კონკურენციისა და თანამშრომლობის უნარების გამომუშავებაში უნდა დაეხმაროს.

მარტო ბავშვებს კი არა, ხშირად მშობლებსაც ეჩვენებათ, რომ მათ შვილებს უსამართლოდ ექცევიან (ნიშანს/ყურადღებას აკლებენ) და ნამდვილ „უფროს ძმებად“ გვევლინებიან, იწუნებენ ყველაფერს: სასწავლო მასალას, სწავლების მეთოდს, მასწავლებლის ფიზიკურ თუ გონებრივ შესაძლებლობებს... სწორედ ასეთი მშობლები ქმნიან კონფლიქტურ სიტუაციებს, რომელთა განეიტრალებაც უმეტესად მასწავლებლებს უწევთ.



მოუსმინე, თანაუგრძნე და განმუხტე!

მასწავლებლის მთავარი იარაღი აქტიური მოსმენაა (თომას გორდონი აქტიური მოსმენის მეთოდს „კარის გაღებას“ უწოდებს). მას უნდა შეეძლოს დაშიფრული სათქმელის ამოცნობა, თავად კი ყოველთვის ცხადად და გარკვევით ილაპარაკოს, რადგან არ არსებობს გარანტია, რომ მის მიერ დაშიფრულ ინფორმაციას სწორად „თარგმნიან“.

მაგალითად, თუ მშობელი გეუბნებათ, რომ მის შვილს ჯერ კიდევ უჭირს კითხვა, ამით მიგანიშნებთ, რომ მეტი დრო უნდა დაუთმოთ ბავშვს ან თქვენს პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ აყენებს. ასეთ დროს თქვენი ინფორმაცია მოსწავლის განსხვავებული სასწავლო უნარების შესახებ კონტრარგუმენტად არ გამოდგება, რადგან მშობლების უმრავლესობა შვილის წარუმატებლობას სკოლას აბრალებს.

პირადი გამოცდილების საფუძველზე გეტყვით: თუ მასწავლებლობას აპირებთ, კამათის ხელოვნებასაც უნდა დაეუფლოთ. ყველაზე დაძაბულ ვითარებაშიც კი სიმშვიდე მთავარ იარაღად გამოიყენეთ. რაც უნდა აბსურდული მოგეჩვენოთ მშობლის პრეტენზია, შეეცადეთ, ბოლომდე მოუსმინოთ – დაე, უარყოფითი ენერგიისგან დაიცალოს. პასუხი დაიწყეთ ჯადოსნური სიტყვებით: „მესმის თქვენი“ (თანაგრძნობა), – მერე აუცილებლად გამოხატეთ საკუთარი მოსაზრება საკითხის შესახებ (დაასაბუთეთ ფაქტებით) და ბოლოს ისევ ჯადოსნური სიტყვები მოიშველიეთ: „აუცილებლად გავითვალისწინებთ/განვიხილავთ თქვენს შენიშვნას“ (განმუხტვა). მრავლობით რიცხვში ნათქვამი წინადადებები მშობელს ტაქტიანად შეახსენებს, რომ თქვენ სკოლის ერთი პატარა ნაწილი ხართ და მის შვილზე ერთი ადამიანი კი არა, პროფესიონალთა გუნდი ზრუნავს.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, როგორი განწყობით ამზადებთ სათქმელს. საუბრისას აუცილებლად გაგცემთ სიტუაციისადმი თქვენი ნამდვილი დამოკიდებულება, რომელიც მზერიდან, ჟესტებიდან, დგომის მანერიდან დაუკითხავად ჟონავს და კიდევ უფრო აღრმავებს კონფლიქტის უფსკრულს. ნათქვამია, რომ „თუ ვერ ცვლი გარემოს, უნდა შეიცვალო დამოკიდებულება მის მიმართ“. ურთიერთობის წარმართვისას განწყობას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. საკუთარ თავზე მუშაობა კი არა მარტო სკოლაში, არამედ ყოველგვარ გარემოში ადამიანის პიროვნული ზრდის უმთავრესი კომპონენტია.

მასწავლებელი მოსწავლეები

მასწავლებლის მთავარ აუდიტორიას ბავშვები წარმოადგენენ. მათი ყურადღების



> ბევრს ავიწყდება, რომ სკოლა არა მარტო საგნობრივი ცოდნით, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებითაც ამარაგებს ადამიანს. დედისა და მამის „ყველაზე ნიჭიერი“ ნებიერები პირველად სკოლაში ხვდებიან, რომ ყველა გზა მათკენ არ მიდის და ძალიანაც უჭირთ ამასთან შეგუება.

მობილიზება გაუხედნავი ცხენის მორჯულებასავით ძნელია. ბევრს ჰგონია, რომ მოსწავლეთა მუდმივი კონტროლის ფონზე კლასი მართული ხდება. სინამდვილეში საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში აღვირის მოწევა-მიშვება ერთმანეთს ისე უნდა ენაცვლებოდეს, როგორც ამას გაწაფული მხედარი აკეთებს. გამიგონია, ცხენზე ჯდომისას მის ნაწილად უნდა იქცე, თუ გსურს, შენგან კარგი მოჯირითე დადგესო. სკოლაშიც ასეა, მასწავლებელი კლასის გულისცემას უნდა გრძნობდეს – ისინი ხომ ერთად უნდა მივიდნენ ფინიშამდე.

მეორე მხრივ, კლასის მართვა არც კი დაგჭირდება, თუ გაკვეთილის დაწყებამდე სწორად განსაზღვრავ მოტივაციას. მასწავლებელი, რომელიც სათანადოდ აფასებს მოსწავლეთა მოტივირების მნიშვნელობას, გაკვეთილის ბოლოს ყოველთვის სასურველ შედეგს იღებს.

ჩაგიტარებიათ გაკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით? გიკითხავთ ბავშვებისთვის, რისი შესწავლა სურთ? გიფიქრიათ, რას ნიშნავს ბავშვისთვის „სწავლის პროცესი“ ან სად გადის ზღვარი სავალდებულოსა და საინტერესოს შორის? ეს ის კითხვებია, რომლებიც ყველა მასწავლებელმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს, რადგან სწავლა თითოეული ბავშვისთვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს. საგაკვეთილო პროცესი უფრო სასიამოვნო გახდება, თუ მოსწავლე მასში თავის წვლილს შეიტანს. ბავშვებს ძალიან მოსწონთ მასწავლებლის როლის მორგება, ამ დროს ერთსა და იმავე დროს სწავლობენ და ასწავლიან. მოზარდები ხომ საუკეთესო მაძიებლები არიან – თუ სკოლა მუდმივად დაუკმაყოფილებს მათ ძიების წყურვილს, სასწავლო პროცესში მათი ჩართულობა სტაბილური იქნება.

ზემოაღნიშნული საკითხები განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სწავლების დაწყებით საფეხურზე, რადგან თვითგამოხატვა და პროცესის თანამონაწილეობა პატარებს და მათ მშობლებს სკოლისადმი ნდობას უნერგავს და თანამშრომლობისთვის განაწყობს. სამწუხაროდ, სკოლის ძირითადი რესურსი ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე იხარჯება, არადა დაწყებით კლასებში თითოეული ინდივიდის შესწავლას, მისი განსხვავებული უნარებისა და ინტერესების აღმოჩენასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მე დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი ვარ და წელს ისევ თავიდან ვიწყებ ყოველი ახალი კარის გასაღების მოსაპოვებლად ბრძოლას. წარმატება მისურვეთ!

მომდევნო ორმოცდახუთი წელი

ანი კოპალიანი

ჯონ მარკუსი, რომელიც ჟურნალ „ტაიმსის“ ავტორია და „ბოსტონ გლოუბსა“ და „ვაშინგტონ მანთლიშიც“ ბეჭდავს სტატიებს, მიმოიხილავს იმ პერსპექტივებს, რომლებიც საერთაშორისო განათლებას მომდევნო 45 წლის განმავლობაში ელოდება.

საერთაშორისო განათლება მუდამ ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე დგას. მისი სტანდარტები და მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ხშირად სრულიად სხვადასხვანაირია. ერთადერთი რამ, რაც ჩვენს დროში სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემებსა და ინსტიტუტებს საერთო აქვთ, ისაა, რომ ისინი გამუდმებით იცვლებიან.

ამ ცვლილებებს, რომელთაც ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო განათლების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ფერნანდო რეიმერი „კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ტრანსფორმაციას“ უწოდებდა, ჯერ კიდევ 70 წლის წინ, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ჩაეყარა საფუძველი. თუ მაშინ მსოფლიოს ბავშვების უმეტესობას სასკოლო განათლებაზე ხელი არ მიუწვდებოდა, დღესდღეობით ყველაფერი სხვაგვარადაა. „უზარმაზარი პროგრესის მოწმენი ვართ, – ამბობს რეიმერი, – და არა მხოლოდ მდიდარ, არამედ ღარიბ ქვეყნებშიც“.

წარმოგვიდგენია, როგორი შეიძლება იყოს განათლების სისტემა 45 წლის შემდეგ? ახალი ტექნოლოგიები სრულიად ცვლის ცოდნის მიღების საშუალებებს, განათლება მომავალში ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, თანაც უფრო იაფი. დღესაც კი უკვე უპრეცედენტოდ ბევრ ადამიანს შეუძლია, სწავლის ყველა საფეხური გაიაროს. მას შემდეგ, რაც სახელმწიფოთა შორის საზღვრები სულ უფრო პირობით ცნებად იქცა, სწავლისა და სწავლების პროცესიც უდავოდ უფრო გლობალური მოვლენა გახდა. ქვეყნები დღეს უფრო იოლად აღიარებენ სხვა სახელმწიფოთა მიერ გაცემულ აკადემიურ დიპლომებს, რამაც განათლების მობილობა გაზარდა. უკვე მთავრობებიც კი აცნობიერებენ იმ ფუნდამენტურ კავშირს, რომელიც განათლებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს.

თუმცა ამ საიმედო პერსპექტივების გვერდით, უეჭველია, მრავალ სირთულესაც ვხვდებით. ზოგი მათგანი უკვე მთელი მსოფლიოს ქვეყნების განათლების სისტემებზე ახდენს ზეგავლენას, ზოგი კი უახლოეს ან ოდნავ უფრო შორეულ მომავალში წამოყოფს თავს.

სწავლების პირველსა და მეორე საფეხურებზე სტანდარტიზებული საგამოცდო სისტემის დანერგვამ უკვე მრავალი ქვეყნის სკოლებში მიიყვანა საქმე იქამდე, რომ მოსწავლეებს უშუალოდ ტესტირებისთვის ამზადებენ და, აქედან გამომდინარე, აქცენტს იმაზე სვამენ, რომ მოსწავლეს განუვითარონ არა პრობლემაზე ორიენტირების უნარი, არამედ მეხსიერება. პედაგოგები იხლიჩებიან

სწავლების ინოვაციურსა და ტრადიციულ მეთოდებს შორის. მრავალ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ განათლება სულ უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ხელმისაწვდომი და ხელისუფლებებმაც აღიარეს მისი აუცილებლობა, ის მაინც ხშირად ეწირება მსხვერპლად ე.წ. „ქამრების შემოჭერის პოლიტიკას“.

მაშინ, როდესაც ბავშვების უპრეცედენტო რაოდენობას ეძლევა განათლების მიღების საშუალება, დაწყებითი და საშუალო კლასების მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი გამოცდებს ვერ აბარებს. ამასთანავე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რაოდენობის ზრდამ განათლების ხარისხის დაქვეითება გამოიწვია.

„რამხელა ინვესტიციებიც არ უნდა ჩაიდოს ამ საქმეში, სახელმწიფო ინსტიტუტებს უბრალოდ არ შესწევთ ძალა, დააკმაყოფილონ უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა მოთხოვნები. შეიძლება, 18 თვეში შენობა ავაგოთ, მაგრამ 18 თვეში ფაკულტეტის შექმნა შეუძლებელია, – ამბობს ალან გუდმენი, საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის

პრეზიდენტი, – ეს აუცილებლად დააზარალებს ხარისხს“.

საკითხავია, რამდენად ხარისხიანად და ადეკვატურად ამზადებს არსებული კურიკულუმი სტუდენტებს თანამედროვე, თავბრუდამხვევი სისწრაფით ცვალებად სამყაროსთან შესაგუებლად. რეიმერი ამტკიცებს, რომ სტანდარტული გამოცდები „მთლიანად მეოცე საუკუნის მოვლენაა“, ვინაიდან იგი საერთოდ არ ითვალისწინებს განათლების ისეთ უმნიშვნელოვანეს მეთოდებს, როგორებიცაა მიზნის დასახვა, თვითმართული სწავლა, ეტაპობრივი დაგეგმვა, ფოკუსირება, გამოცდილებით სწავლა...

ოცდამეერთე საუკუნის განათლება ბევრისთვის ახალი ტექნოლოგიების უკეთ გამოყენებას და ონლაინ რეჟიმით სწავლებას ნიშნავს. ამ უკანასკნელს აქვს პოტენციალი, მალე საყოველთაოდ გავრცელდეს და განათლების ხარჯებიც საგრძნობლად შეამციროს.

ტრადიციული საკლასო ოთახის გარეთ მიმდინარე სასწავლო პროცესი სრულიადაც არ არის ახალი მოვლენა. სწავლების დისტანციურმა კურსებმა და

ოცდამეერთე საუკუნის განათლება ბევრისთვის ახალი ტექნოლოგიების უკეთ გამოყენების დაუფლებას და ონლაინ რეჟიმით სწავლებას ნიშნავს. ამ უკანასკნელს აქვს პოტენციალი, მალე საყოველთაოდ გავრცელდეს და განათლების ხარჯებიც საგრძნობლად შეამციროს.



ახალი ტექნოლოგიები სრულიად ცვლის ცოდნის მიღების საშუალებებს, განათლება მომავალში ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, თანაც უფრო იაფი. დღესაც კი უკვე უპრეცედენტოდ ბევრ ადამიანს შეუძლია, სწავლის ყველა საფეხური გაიაროს.

„ღია“ უნივერსიტეტებმა რა ხანია მოიკიდა ფეხი. ტექნიკის განვითარებამ შესამჩნევად გააფართოვა დისტანციური სწავლების პოტენციალი და მას სწავლების ქვედა საფეხურებზე დამკვიდრების საშუალება მისცა. დაბალბიუჯეტიანი საერთაშორისო კომპანიები იყვნენ პირველნი, რომლებმაც შექმნეს უფასო ონლაინკურსები და ისინი სწავლების პროგრამაში დანერგეს. დღეს კი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები (ისინიც კი, რომლებიც თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდნენ უფასო კურსების დამკვიდრებას) მძაფრ კონკურენციაში არიან ჩაბმულნი „საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ონლაინ-კურსებთან“, რომლებიც ერთდროულად ათასობით სტუდენტს ემსახურება. და თუმცა ონლაინ-სწავლების ეფექტურობა ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და, როგორც ჩანს, დიდხანს აღარ დარჩება უფასო (ვინაიდან მისი მწარმოებლები ეძებენ საშუალებას, გამოცდები და რამდენიმე სხვა მომსახურება ფასიანი გახადონ), ის უკვე რადიკალურად ცვლის და უფრო მეტად ინტერნაციონალურს ხდის მსოფლიო განათლებას.

შეუძლებელია, ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ, როგორი იქნება სწავლება 2060 წლისთვის. შესაძლოა, საკლასო ოთახი წარსულს ჩაბარდეს და ის შინ მიღებულმა ონლაინ განათლებამ შეცვალოს. ქვეყნებმა, რომლებსაც ახლა ჩამორჩენილი განათლების სისტემები აქვთ, შესაძლოა, დაჯაბნონ ტრადიციული ლიდერები და სწავლების განვითარებისთვის ბრძოლის წინა ხაზზე აღმოჩნდნენ. დაზუსტებით მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგვიძლია – საერთაშორისო განათლების სამყარო ერთი ადგილის ტკეპნას არ აპირებს.